


საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი




მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4 (22)
2014



ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე)

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4 (22)•2014



ქრნალი გამოცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

ფესტივალი	
ნარგიზა გარდაფხაძე. ჰიმოფორმის ფესტივალი	2
ხელოვნება დინასტიები	
რუსუდან ქუთათელაძე	
საკვირვებელი ძალა ბენედიკტისა!	13
გამოსაუბრება	
გულბათ ტორაძე	
ფუნდამენტური გამოცემა ფრიდ დანანანი სარკვით	22
ფოლკლორი	
თეონა ლომსაძე	
სამეცნიერო და სპეციალურად	
სტადიონების გაფორმება	25
პროსტრუქცია	
ნატო მოსწრადიშვილი.	
ჩემი უპირატესი უფროსი მემკვიდრე	29
ქრონიკა	
ACADEMIA BELCANTO – ზ. ფალიაშვილის	
სახელოვნების პრიზი; მანსტრუა; სასიკეთო ნაშრომები	39
დილოგი ხელოვნებას	
მზია ჯაფარიძე. „რა მითხრა მე ჩემმა ძმამ“.....	44
თარიღი	
შოი აბრახამია. ვივიწყებული ლირიკოსი	54
განათლება	
მანანა ანიკაშვილი.	
ალეოზ მიხანდარის სახელოვნების სკოლის	
140 წლის იუბილე	58
მომხილველი	
მამუკა დოლიძე. სათავაშობის სიმღერები	62
რეპლიკა	
მზია ჯაფარიძე	
„მოსწრის ჩანახატი ვერ ვაკეთებ“	66
თვალსაზრისი	
სოფო კოტრიკაძე	
„საღმარე“ საკრავთა ორკესტრი –	
სტადიონი თუ სიხლე?	70
სსოვნა	
თამარ კოკია. გაღვივა	73
ფოლკლორი	
გიორგი კრავიშვილი	
ლაგეთის, ტალსა და შავთის	
მუსიკალური ფოლკლორი	77
WWW	80
Summary	82

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანაწარმოებელი: მზია ჯაფარიძე, თამარ ნულუკიძე
დირექტორი: ვახტანგ რურუა, ვანო კვიციანი
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ: (+995 32) 295 41 64; ფაქსი: (+995 32) 296 86 78



25 ოქტომბერს „პარღების ბაღში“
საზეიმოდ გაიხსნა თბილისის
მერიის ბიზ-ბენდის
სარეპერტიტორი დარბაზი
და უახლესი აპარატურით აღჭურვილი
ხმის ჩამწერი სტუდია



იარონ გომბოვიჩის ჯაზ-სიმონი

შემოდგომის ფესტივალი

ნარგინა გარდაფხაძე

21 სექტემბერი – 18 ოქტომბერი

მოვიდა შემოდგომა და ფესტივალებით დახუნძლული თბილისი, ზაფხულთან განშორების დარდის გაქარწყლებაში ისევ დაგვეხმარა. ჩემთვის პირადად სხვადასხვა ფესტივალებს შორის ყველაზე ძვირფასი მაინც „შემოდგომის თბილისია“, რომელიც ჯანსუღ კახიძის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში წელს უკვე 22-ედ ჩატარდა. ძვირფასია იმიტომ, რომ მას, სულ დასაწყისიდან, 1993 წლიდან ვესწრები. იმ ურთულეს წლებში, სიცვიისა და უშუქობის პერიოდში, მუსიკალურ ცენტრში კონცერტებზე მისვლა მომავლის იმედს და სიცოცხლის გაგრძელების სურვილს გვინერგავდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბატონი ჯანსუღი მისმა ვაჟმა, ვახტანგმა ღირსეულად ჩაანაცვლა მთავარი დირიჟორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე და „შემოდგომის ფესტივალიც“ იზრდება, ვითარდება და სულ უფრო პოპულარული ხდება. წლევიანდელი ფესტივალი მიეძღვნა ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის 25 წლის იუბილეს. 12 კონცერტი ტრადიციულად გამოირჩეოდა ჟანრული მრავალფეროვნებით: სიმფონიური, კამერული, ფოლკლორის და ჯაზის საღამოები ენაცვლებოდა ერთმანეთს...

ფესტივალის გახსნაზე მონვეული იყო სახელგანთქმული ისრაელელი მუსიკოსი, კომპოზიტორი და დირიჟორი იარონ გომბოვიჩი თავისი ჯაზ-ტრიოთი. ამ მუსიკოსის ბიოგრაფია მდიდარია საერთაშორისო ფილდოებით. მის დატვირთულ გრაფიკში შედის, როგორც დიდი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორობა, ასევე აკადემიური პრაქტიკა და გასტროლებიც მთელს მსოფლიოში. იგი მულტიდისკოპლინარულ მუსიკოსად არის აღიარებული, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან კლასიკურ, თანამედროვე და ჯაზურ მუსიკას. „შემოდგომის ფესტივალის“ გახსნის დღეს მან შემოგვთავაზა გერშვინის, ელინგტონის და მუსორგსკის ნაწარმოებები დანერგილი ჯაზური ტრიოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ფორტეპიანოს პარტიას თავად კომპოზიტორი ასრულებდა. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან – რიმიკი“ აღმოჩნდა.

ნ.გ. – გვითხარით მუსორგსკის შესახებ. თქვენს შემთხვევაში რა ინსპირაცია უძღოდა წინ კლასიკური მუსიკის ჯაზურ რიმიკად დაწერას?

იარონ გოტფრიდი (კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი) – მე მუსიკალურ ოჯახში დავიბადე. მამაჩემი ძალიან კარგი ჯაზის მუსიკოსია, თუმცა ბავშვობიდანვე კლასიკურ მუსიკას მამიარეს და პროფესიონალი დირიჟორი, შემსრულებელი და კომპოზიტორი ვავხდები. ჯაზი ცალკე არ მისწავლია, რადგანაც მისი მუსიკალური ენა ბავშვობიდანვე სისხლში მქონდა გამჯდარი. მე მიყვარს ზოგადად ჯაზი, რადგანაც ეს ერთგვარი თავისუფლებაა მუსიკოსისთვის, მაგრამ იმდენად ბევრი სამუშაო მქონდა ჩემს ორკესტრთან ერთად სადირიჟორო პრაქტიკაში, რომ არასდროს მეცალა ჯაზისთვის. ერთ მომენტში გადავწყვიტე: მოდი, დავწერ ნაწარმოებს ჯაზ-ტრიოსთვის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად! ამგვარად, გავაერთიანე ჩემი ინტერესის ეს ორი სფერო და ახლა ჩემი კომპოზიციები წარმატებით სარგებლობს მსოფლიოში. მიწვეული ვიყავი ბევრ ფესტივალზე. მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ ჩემი მეხუთე კომპოზიციაა და ერთ-ერთი დიდი ნამუშევარი. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მე, როგორც კომპოზიტორს, მაქვს ძალიან ბევრი სხვა ნაწარმოები, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ჯაზთან. ასე რომ, ჯაზური რიმიკები არის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ჩემი შემოქმედებისა. არ მინდა რომელიმე მიმართულებას შეველიო, მინდა, რომ ერთდროულად ყველა ჟანრში ვიმუშაო.

ქართველმა მსმენელმა ძალიან ემოციური მიღება მოუწყო იარონ გოტფრიდის ჯაზ-ტრიოს, ვახტანგ კახიძეს და მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრს. დარბაზი იმ დღეს გადაჭედული იყო და ასე გავგრძელდა ფესტივალის თითქმის ყველა კონცერტზე.

ვახტანგ კახიძემ ფესტივალის მეორე კონცერტზე გერმანიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი, დუდანა მამზანიშვილი მიიწვია. დირიჟორმა ფესტივალზე მონაწილე თითქმის ყველა სოლისტს შეთავაზების პირობად ორი კონცერტის შესრულება მოსთხოვა. ამით მთლიანი კონცერტის პროგრამა უფრო სავსე და მრავალფეროვანი აღმოჩნდა. იმ დღესაც ჯერ შესრულდა

რაველის „ალბორადა დელ გრაციოზო“ სიმფონიური ორკესტრისათვის და სენ-სანსის საფორტეპიანო კონ-



დუდანა მამზანიშვილი, ვახტანგ კახიძე

ცერტი № 2 პირველ განყოფილებაში, მეორეში კი რახმანიშვილის „რაფსოდია პაგანინის თემაზე“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. დასასრულს კი პოლ დიუკას „ჯადოქრის მონაფე“.

დამეთანხმებით, რომ თითოეული ამ ნაწარმოებთან ნებისმიერი პროგრამის მშენებელი ვახდებოდა და ამიტომაც ყველა ერთად, ერთ საღამოში მოწოდებული, მართლაც ძლიერი ემოციური და ენერგეტიკული მუხტის მომტანი იყო. დუდანა მამზანიშვილმა ამ ორი, ურთულესი კონცერტის შესრულებისას გვასაიმოვნა თავისი გრაციოზული ტექნიკითა და ელევანტურობით. ტოლი არ დაუდო მას ორკესტრმაც, ვახტანგ კახიძის დირიჟორობით, რომელმაც დასასრულს, პოლ დიუკას „ჯადოქრის მონაფეში“ ნამდვილი ზღაპრული ფოიერვერკი შექმნა ვირტუოზული აღმაფრენითა და სიმსუბუქით.

დუდანა მამზანიშვილი (პიანისტი) – ჩემთვის ყოველთვის ამალეღვებელია თბილისში დაკვრა. ბოლოს ამ ორკესტრთან ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით დავუკარი. ეს იყო ბევრი წლის წინ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვახტანგ კახიძესთან მუშაობის საშუალება მომეცა!

ნ.გ. – ხშირად გინვეთ ორი კონცერტის შესრულება ერთ საღამოში?



საქართველოსა და ლაზვიის შვიარაღაუპული კალაზის ერთოზლივი ორკესტრი (დირიჟორი ჰოზა მირმანიშვილი)

დ.მ. — მინდა ვითხრათ, რომ ზოგადად ეს იშვიათია პრაქტიკაში. ორივე, რახმანინოვიც და სენ-სანსიც, მოტორული ნაწარმოებია და რასაკვირველია, საკმაოდ შრომატევადია შემსრულებლისთვის, მაგრამ, ამავე დროს, ეს საინტერესო გამოწვევაა და მე კმაყოფილი ვარ დღეს შემდგარი კონცერტის შედეგით.

ნ.გ. — კულისებში გავიგეთ, რომ ახალი, საინტერესო მიზატიუება მიიღეთ. ხომ არ გავგიზიარებთ?

დ.მ. — დიას, გერმანიაში არის ძალიან ცნობილი — რურის ფესტივალი. იქ მიმინვიეს დანიელ ბარნბოიშის რეკომენდაციით. ზუსტად ახლა, როდესაც დასრულდა კონცერტი, ჩემს ტელეფონს დაჯხედე და მოსული იყო ეს შეტყობინება! 2015 წლის აპრილში იქნება კონცერტი და ძალიან ბედნიერი ვარ ამით!

ფესტივალის შემდეგი კონცერტი კამერული მუსიკის საღამოს დაეთმო, რომელშიც „საქართველოს სიმფონიეტა“ მონაწილეობდა. საღამო მთლიანად ერთ კომპოზიტორს, ედვარდ გრიგს მიეძღვნა. შესრულდა სამი ნაწარმოები: „ჰოლბერ სიუიტი“, „ორი ელეგიური მელიოღია“ და სიმებიანი კვარტეტი №1 (ვერსია კამერული ორკესტრისათვის). ჩაბნელებულ დარბაზში რომან-

ტიკულმა ატმოსფერომ დაისადგურა. როდესად გაისმა გრიგის მელიოღია, მსმენლები მაშინვე რაღაც იდუმალმა სამყარომ მოიცვა, რომელიც მედიტაციისკენ და თვითჩაღრმავებისკენ მიგვიძღვოდა. „საქართველოს სიმფონიეტას“ უკვე კარგად იცნობს ჩვენი მსმენელი და მათ გამოსვლას ყველა დიდი ინტერესით ელოდება.

ნ.გ. — რატომ აირჩიეთ დღევანდელი კონცერტისთვის „მონობროგრამა“?

გიორგი ქერულაშვილი (ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი) — ედვარდ გრიგი მართლაც გენიალური კომპოზიტორია და ჩვენ მართლა ვვიყვარს! ამასთან, სამწუხაროდ, რომანტიზმის მუსიკაში არც ისე ბევრი ნაწარმოებია კამერული ორკესტრისათვის დაწერილი და გრიგი ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია. ეს კომპოზიციები მან ჯერ ფორტეპიანოსთვის დაწერა და შემდეგ კი კამერული ორკესტრისათვის გადაამუშავა. ეს კვარტეტიც, რომელიც ჩვენ დავუკარით, ჩემი აზრით, უფრო კარგად კამერულ ორკესტრში უღერს, ვიდრე კვარტეტში. ეს კონცერტი იგეგმებოდა გრიგის 170 წლის საიუბილეო თარიღისათვის, მაგრამ არა უშავს, ჩვენ ერთი წლით დავაგვიანეთ მიძღვნა.

რაც შეეხება პროგრამის მონოავტორულობას, ძალიან ძნელია ერთი კომპოზიტორის დაკვრაც და მოსმენაც, როგორც მუსიკოსისთვის, ისე მსმენლისთვის, მაგრამ ეს კონცერტი ნამიერ ეფექტზე არ იყო ვათვლილი, არამედ უფრო პროფესიულ მსმენელზე. ჩვენი ამრით, საქართველოს აკლია ასეთი, ერთი კომპოზიტორის შემოქმედებაზე აგებული კონცერტები. მართალია, ცოტა ძნელი გზა ავირჩიეთ მსმენლისთვის.

ფესტივალის 27 ოქტომბრის კონცერტი მიეძღვნა საქართველოსა და ლატვიის ეროვნული შეიარაღებული ძალების სამხედრო ორკესტრების გამოსვლას, რომლებსაც კობა მერმანიშვილი დირიჟორობდა. სამწუხაროდ, ამ კონცერტზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი მსმენლის დადებითი შეფასება მოვისმინე, როგორც ახლა, ისე 2014 წლის გაზაფხულზე, როდესაც მათ ლექსო თორაძესა და ედიშერ სავიციკისთან ერთად დაუკრეს. ასე რომ, წლევანდელი ფესტივალის პალიტრა ახლა უკვე სასულე ორკესტრის რეპერტუართაც გამდიდრდა.

ვახტანგ კახიძემ 29 ოქტომბერს კვლავ ძალიან საინტერესო კონცერტი შემოგვთავაზა. პირველ განყოფილებაში მხოლოდ მოცარტი, მეორეში კი მხოლოდ პროკოფიევი. სოლისტი იყო სამხრეთ კორეელი პიანისტი, 20 წლის სეონგ-ჯინ ჩო. თავიდან ორკესტრმა ბრწყინვალედ დაუკრა მოცარტის 31-ე „პარიზის“ სიმფონია, შემდეგ კი სოლისტმა მოცარტის №21 საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა. ამ უკანასკნელის ინტერპრეტაციაზე მსმენელების შთაბეჭდილება ერთგვაროვანი არ იყო. ცნობილია, რომ მოცარტის დაკვრა სწორედ იმიტომაა ყველაზე რთული, რომ ყველას საკუთარი, ერთადერთი ინტერპრეტაცია მოსწონს და სხვისი ინტერპრეტაციის მიღება უძნელდება. შეიძლება ასე იყო ამ შემთხვევაშიც, მაგრამ ის, რაც მან მეორე განყოფილებაში პროკოფიევის №2 კონცერტის შესრულებისას გააკეთა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საოცარი ენერჯია, სიღრმე, მასშტაბი და აღმაფრენა... ეს ყველაფერი ერთდროულად გადმოსჩქეფდა ამ, ფიზიკურად თითქოსდა სუსტი, მუსიკოსისგან. დარბაზი ვერ მაღავდა თავის აღფრთოვანებას. კორეელმა პიანისტმა უდავოდ დაიპყრო გადაჭედული დარბაზი თავი-

夢見のように美しい音の粒、吹き上がる怒濤の力。作品に深く潜り、血肉にし、強烈な密度で放出する。
 チョ・ソンジン、彼そのものがまるごと音楽だ。

浜離宮
ピアノ・レシタル

気鋭の『今』を聴く

■ モーツァルト W.A. Mozart
 幻想曲 短調 K.397
 Fantasy in D Minor, K.397
 ピアノ・ソナタ 第3番 変ロ長調 K.281
 Piano Sonata No.3 in B-Flat Major, K.281

■ シューベルト F. Schubert
 即興曲集 D.915 29 第3番 変ロ長調 Op.142-3
 Impromptu D.915, No.3 in B-Flat Major, Op.142-3

■ バルトーク B. Bartok
 『野外にて』 BB 89 / Sz.81
 Out of doors, BB.89 / Sz.81

■ ショパン F. Chopin
 即興曲 第1番 変イ長調 Op.29
 Impromptu No.1 in A-Flat Major, Op.29
 幻想曲 短調 Op.49
 Fantasy in D Minor, Op.49
 4つのマズルカ Op.33
 4 Mazurkas, Op.33
 バワド 第4番 短調 Op.52
 Rhaps. No.4 in F Minor, Op.52

5,000円 (全席指定・税込) シヤパン・アーツ夢楽部会員料金 4,500円

■ 朝日ホール チケットセンター 03-3267-9990 (休: 日・C: 15:00-18:00)

■ 朝日ホール 朝日ホール チケットセンター 03-3267-9990

■ シヤパン・アーツ 03-5774-3040 (休: 日・C: 15:00-18:00) www.japanarts.co.jp

■ イープラス eplus.jp/

■ ローンチケット 0570-000-407 (休: 日・C: 15:00-18:00) http://r-ticket.com/ 0570-084-003 (Lコード 36952) 自動車料別途 24時間

■ チケットぴあ piapia 0370-02-9999 IPコード 233-9222

主催: 朝日新聞社 / シヤパン・アーツ
 お問い合わせ: 朝日ホール・チケットセンター 03-3267-9990 (休: 日・C: 15:00-18:00)

浜離宮朝日ホール
 東京都千代田区千代田 1-1-1 朝日ホールビル 1F
 観劇券の取扱: TEL: 03-5541-8770

一般発売: 6/28(土)

シヤパン・アーツ夢楽部会員WEB: 6/13(金)

シヤパン・アーツ夢楽部会員TEL: 6/14(土)

シヤパン・アーツ夢楽部会員WEB: 6/15(日)

საქმეს - ჩინ ჩო

სი ენერჯეტიკით. სოლისტის ასეთ ძლიერ გამოწვევას თბილისის სიმფონიური ორკესტრი და ვახტანგ კახიძე არანაკლები მასშტაბის ძალით აჰყვამ. ძნელია ითქვას, რომ ორკესტრი პიანისტს აკომპანირებას უწევდა; ორკესტრი აქ ისეთივე მონაწილე იყო დრამისა, როგორც სოლისტი.

სეონგ-ჯინ ჩო (პიანისტი) – ჩემთვის ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ერთ საღამომი ორი კონცერტის დაკვრა მომიწია. როდესაც ვახტანგ კახიძემ თბილისში მომიწვია, მოცარტის დაკვრა შემომთავაზა და კიდევ ერთი კონცერტი, რომელშიც რუსი კომპოზიტორების შემოქმედებიდან რაიმეს შევასრულებდი. მე ავირჩიე ჩემი საყვარელი ქმნილება, პროკოფიევის მეორე კონცერტი. ამჟამად ვსწავლობ პარიზის კონსერვატორიაში და ამასთან, დატვირთული საკონცერტო ცხოვრება მე-ლის: ოქტომბერში – კორეა და იაპონია, ნოემბერში – ბუდაპეშტი, დეკემბერში – ისრაელი.



პარსტინ ფალსი, ვახტანგ პახიძე

მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, სეონგ-ჯინ ჩოს უკვე სოლიდური საფესტივალო პორტფოლიო გააჩნია და მან უკვე დაიკვიდრა მონინავე ადგილი მისი თაობის პიანისტებს შორის.

სამწუხაროდ, მომდევნო, 2 ნოემბრის კონცერტი მე ისევ გამიცდა. ამჯერად ვახტანგ კახიძეს მონვეული ჰყავდა გერმანელი ჩელისტი, კერსტინ ფელცი. სენსანსი, ლალო, რაველი – კარგი არჩევანი იყო იმ საღამოსთვისაც, რომლის დამსწრე არაერთი კმაყოფილი ადამიანი ვიხილე.

5 ოქტომბერს ძალიან იშვიათი შემადგენლობა გველოდა საფესტივალო მაყურებელს. მონანილეობდნენ ტყუპი ძმები, კლარნეტისტები, ალექსანდრე და დანიელ გურფინკელი და მათი მამა, ასევე კლარნეტისტი, მიხეილ გურფინკელი. პროგრამა მთლიანად შედგენილი იყო საკლარნეტო რეპერტუარისგან. პირველ გან-

ყოფილებაში ძმებმა დაუკრეს ნაწარმოებები 2 კლარნეტისა და ორკესტრისათვის: კრომერის კონცერტი და ბიზე-ლევიტასის ფანტაზია. ერთი სიამოვნება იყო მათი ყურება სცენაზე. ორი შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდა, ცხადია, ერთნაირად ჩაცმული – ლურჯ კოსტიუმებში, წითელი ჰალსტუხებით, ერთი და იგივე საკრავით, ორივე ერთნაირი ნიჭიერებით დაჯილდოებული... ასეთი დუეტი, თითქოსდა სარკისებურად არეკლილი, პირველად ვნახეთ ჩვენს საკონცერტო სცენაზე.

მეორე განყოფილებაში მათ ასევე ბრწყინვალედ და ახალგაზრდული ცეცხლოვანებით დაუკრეს გერმანიის „ცისფერი რაფსოდია“ და ბოლოს, სცენაზე გამოვიდა მათი მამა, მიხეილ გურფინკელი, გამოჩენილი ებრაელი კლარნეტისტი, რომელმაც დიდი ხანია დაიკვიდრა ადგილი მსოფლიოს ნამყვან მუსიკოსებს შორის. საოჯახო კლარნეტისტთა ტრიომ შესარულა სპეციალურად მათთვის დანერგილი ებრაელი კომპოზიტორის შლომო გრონიხის ნაწარმოები „მოზაიკა“ კამერული ორკესტრისა და სამი კლარნეტისთვის. მამა გურფინკელი, იმ საღამოს ბას-კლარნეტზე უკრავდა. მოკლედ, ძნელი გადმოსაცემია ის ემოცია, რაც ამ ანსამბლმა გამოიწვია მაყურებელში. მამა გურფინკელი აღმოჩნდა მართლაც გასაოცარი მუსიკოსი. ასეთები მთელი ცხოვრება გამახსოვრდება ხოლმე. შვილებიც ტოლს არ უდებდნენ მამას და გვერდს უმშვენებდნენ. აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა მათ სცენიდან. ძმებმა ბისზეც დაუკრეს; დასასრულს კი მამამ და შვილებმა ორკესტრთან ერთად შესარულეს ქართული სიმღერა „ო, რერო, რერო!“, რასაკვირველია კლარნეტებზე და შემდეგ იმღერეს კიდეც. დირიჟორმა დარბაზიც მოიხმო და აყიტირებული პუბლიკა სამხმიანობით აჰყვა სოლისტებს. თავად გურფინკელები ერთ ხმაში მღეროდნენ და როგორც მოგვიანებით გვითხრეს, „ვერაფრით ვერ შევძელით რამდენიმე ხმაში გვემღერაო“. კულისებში რომ შევედი, მამა გურფინკელს ვკითხე, – როგორ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორივე ტყუპი შვილი ერთ საკრავზე მიეპარებინა სასწავლებლად, რაზეც მიპასუხა, რომ მას თავად არ უნდოდა, მაგრამ უარი ვერ უთხრა მამამისს, არცაღი გურფინკელს, რომელიც ასევე ცნობილი კლარნეტისტი იყო რუსეთში. გურფინკელების ოჯახი 1990 წელს ისრაელში გადავი-

და საცხოვრებლად და ძმები, 1992 წელს, უკვე იქ დაიბადნენ. როგორც აღმოჩნდა, დღესდღეობით ძმები სულ ერთად გამოდიან მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე. მუსიკალური ლიტერატურაც საკმაოდ ბევრი ყოფილა ორი კლარნეტისთვის. თანაც, სპეციალურად მათთვის ცნობილი ნაწარმოებების არანაყოფიერებაც კეთდება. ამგვარად, არაპოპულარობას ისინი ნამდვილად არ უჩივიან. ჩემს შეკითხვაზე, — რომელი იყო სცენაზე პირველი კლარნეტი და რომელი მეორე — ერთ-ერთმა მიპასუხა: „ჩვენში არ არის პირველობა — ორივე პირველიც ვართ და მეორეც!“

შემდეგ კონცერტზე, რომელშიც მევიოლინე რომან სიმოვიჩი და ნათელა იაშვილი-პოლიტკოვსკაია მონაწილეობდა, სამწუხაროდ, ასევე ვერ მოვხვდი. არადა, თბილისელები ნამდვილად მოხიბლულები დარჩენილან მათი გამოსვლით. საბედნიეროდ, სიმოვიჩს კიდევ ერთი კონცერტი ჰქონდა უკვე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად და მისი ოსტატობის, ნიჭიერების მომსწრე მეც გავხდი. რომან სიმოვიჩი ერთ-ერთია, რომელიც ყველაზე აღიარებულ მევიოლინეთა რანგში მოიაზრება. გამოდის მსოფლიოს საუკეთესო დირიჟორებთან, საუკეთესო დარბაზებში და პრესტიჟული საკონკურსო ფილდოების მფლობელიცაა (თავს არ შეგანწყენ ჩამონათვალთ). დღეს ახალგაზრდა მევიოლინე ლონდონის სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლინოა, რაც, ცხადია, მის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ჩვენთვის ძვირფასია ისიც, რომ სიმოვიჩი გენიალური ქართველი მევიოლინეს, მარინე იაშვილის აღზრდილია.

10 ოქტომბრის კონცერტი ჩაფიქრებული იყო შოსტაკოვიჩის სალამოდ. რომან სიმოვიჩმა შეასრულა კომპოზიტორის პირველი სავიოლინო კონცერტი, ხოლო ვახტანგ კახიძემ ორკესტრთან ერთად მისივე მეხუთე სიმფონია. შოსტაკოვიჩის ეს სავიოლინო კონცერტი პროფესიონალიზმთან ერთად დიდი სულიერი ძალების კონცენტრაციას მოითხოვს. რომან სიმოვიჩმა განგვაკვიფრა თავისი ემოციური სიღრმით, შოსტაკოვიჩისეულ სამყაროში წვდომით. ეს იყო ინტერპრეტაცია, რომელიც ყველა სხვას დაგავიწყებდა — გაქრა რეალობა და ჩვენ კოსმოსური მარადიულობის სამყაროში ჩავიძირეთ. მაყურებლის ოვაციები



ალექსანდრე და დანიელ გურფინოვალაძე

მუსიკით გამოწვეული ემოციების სრული პასუხი იყო. დღეს თბილისს, მუსიკოსთა თაობების მიერ გამოზრდილი, კლასიკური მუსიკის ძალიან დახვეწილი მსმენელი ჰყავს, ხოლო მამა-შვილმა კახიძეებმა მას კიდევ უფრო დაუხვეწა გემოვნება. პუბლიკა ითხოვდა ბის სოლისტისგან. სიმოვიჩმა ბისზე დაკრული ჯოზეფ სუკის პიესა მარინე იაშვილის ნათელ სსოვნას მიუძღვნა. შესრულებამ მდიდარი გრძნობათა პალიტრით კვლავ მონუსხა დარბაზი.

ასეთივე სიძლიერის აღმოჩნდა თბილისის სიმფონიური ორკესტრი შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიის შესრულებისას. დარბაზის მსმენელი სიმოვიჩის შესრულების შემდეგ ასროლილი სადღაც სულიერ მწვერვალებზე, ახლა უკვე მეორე მწვერვალზე აღმოჩნდა, საიდანაც სამყაროს შემოქმედებითი ჭკრეტა კვლავ აუტანლად მტკივნეული პროცესი იყო.

ამ ხარისხის კონცერტი მსოფლიოს წებისმიერ საკონცერტო სცენას დაამშვენებდა. სამწუხაროდ, ეს დაუვინყარი მოვლენა არცერთმა სატელევიზიო არხმა არ გადაიღო.

ნ.გ. — გილოცავთ წარმატებულ გამოსვლას თბილისში! რას გვეტყვი მარინე იაშვილზე, რომელიც თქვენი პედაგოგი იყო?

რომან სიმოვიჩი (მევიოლინე) — მარინე იაშვილ-

თან მხოლოდ ერთი წელი ვისწავლე, მაგრამ მან იმდენი მომცა ამ ხნის განმავლობაში, რომ მთლიანად შემცვალა, როგორც მუსიკოსი და პიროვნება. სულ სხვანაირად დავიწყე ფიქრი მარინეს შემდეგ. მაშინ 19-20 წლის ვიყავი. დღეს რომ მე ლონდონის სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლინო ვარ, ეს ყველაფერი დაკავშირებულია მოსკოვთან და მარინესთან. მას შეეძლო ყველა სტუდენტთან საკუთარი მიდგომა გამოემუშავებინა. ის მხოლოდ პედაგოგი არ იყო, ის ჩემთვის დედასავით ვახდა. როდესაც მოსკოვში ჩავედი, მან თავის სახლში მიმიღო, მასთან ვცხოვრობდი, ის მივლიდა და საჭმელსაც კი მიზადებდა, თან ყოველდღე მამეცადინებდა. ასეთი რამ არ ხდება ხოლმე! და ამაში არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა. ერთხელ ვიკითხე, — რამდენი უნდა გადავიხადოთ ამდენი მეცადინეობის შემდეგ? — მან მითხრა — გაჩუმდი, თორემ ახლა ამ ნოტებს თავში მიიღებო! მას არასდროს ესმოდა თუ როგორ უნდა აელო მონაფეებისგან გასამრჯელო. თითქმის ყველა მისი ვაკვეთილი დღესაც მახსოვს. გენიალური გემოვნების მუსიკოსი იყო, არაჩვეულებრივი პედაგოგი! ძალიან დიდი დანაკლისია მისი დაკარგვა ჩვენთვის, ყველასთვის, მაგრამ, ალბათ, ის სადაც არის, იქიდან გვისმენს და უხარია, როდესაც ჩვენ მას ვიგონებთ!“

ნ.გ. — თქვენ მარინეს სტუდენტი მისი სიცოცხლის ბოლომდე იყავით?

რ.ს. — არა! მე ახალგაზრდა და სულელი ვიყავი და არაფერი მესმოდა მაშინ. ერთი წლის შემდეგ სახლში, მონტენეგროში დავბრუნდი იმიტომ, რომ ერთ ვოგონაში ვიყავი შეყვარებული. რასაკვირველია, მარინეს ძალიან დანყდა ვული, მით უმეტეს, რომ მან მიშუამდგომლა და მოსკოვის კონსერვატორია სტიპენდიასაც მიხდიდა, ამიტომ მე სხვებზე ნაკლები მქონდა გადასახადი. ამ სიტუაციაში კი მე წავედი მოსკოვიდან. მარინე მამზადებდა ვენიავსკის კონკურსისათვის (ამ კონკურსზე მეორე პრემია მომანიჭეს). მარინეს, რასაკვირველია, ვული დანყდა. შემდეგ ბოდიშები ვუხადე და გამიგო, ცხადია, მაპატიე.

ნ.გ. — თქვენი მეგობარი ვოგონა როგორ არის, მეგობრობთ კიდევ?

რ.ს. — არა, იმას დიდი ხანია დავშორდი და ახლა

სხვასთან ვმეგობრობ (იკინის); ასეთი სისულელე კი ჩავიდინე მაშინ! მართალია, მარინემ მაპატიე.

წინ კიდევ ფესტივალის სამი კონცერტი იყო დარჩენილი, მაგრამ, პირადად ჩემთვის, კულმინაცია ეს კონცერტი აღმოჩნდა, რომელიც დროის მიხედვით, ერთთვიანი ფესტივალის ოქროს კვეთი აღმოჩნდა.

ფოლკლორული საღამო ტრადიციული მოვლენაა „შემოდგომის ფესტივალზე“ და ესეც, სამუხაროდ, გამიცდა. მით უფრო დასანანია, რომ ვიცოდი, ანსამბლი „რუსთავი“ ახალი პროგრამის წარდგენას აპირებდა. სავალალოა, რომ არც ეს კონცერტი ყოფილა ჩანერილი ტელევიზიების მიერ. ერთადერთი იმით უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ ყველა კონცერტის ერთი კამერით ჩანერას თავისი არქივისთვის თავად მუსიკალური ცენტრი აწარმოებდა.

ფესტივალის ბოლოს წინა საღამო არჩილ კერესელიძის კინომუსიკას მიეძღვნა. ასეთი საღამო ზაფხულშიც გაიმართა და იმდენად დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ ვახტანგ კახიძემ საჭიროდ ჩათვალა მისი გამოჩენა, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა მისი მოსმენის საშუალება. საღამო კომპოზიტორის 100 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი და მისი იდეა მუსიკოლოგ ნია ბახტაძეს ეკუთვნის.

ნია ბახტაძე (რადიოს მუსიკალური გადაცემების წამყვანი) — არჩილ კერესელიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რადიოში მოვიძიე მასალა და ვაკეთე გადაცემათა ციკლი, რომელმაც დამანახა, რომ კომპოზიტორს აქვს უამრავი ნაწარმოები, რომელიც დღეს ბევრისთვის არამეტო მივიწყებული, არამედ უცნობიც კია. ძალიან საინტერესო ნაწარმოებებია, საოცარი ორკესტრობით! მომინდა უფრო ფართო აუდიტორიისთვის აჟღერებულიყო ეს ყველაფერი. დავუკავშირდი ჯერ არჩილ კერესელიძის შვილიშვილს, ეკას. მან გადმომცა ბებიაამისის დაწერილი წიგნი არჩილ კერესელიძეზე. ამ წიგნმა დამატებითი იმპულსი მომცა, რათა ჩემი პროექტი განმეხორციელებინა. ამ წიგნით აღმოვაჩინე, რომ არჩილ კერესელიძე არა მარტო ძალიან ნიჭიერი კომპოზიტორი, არამედ განსაკუთრებული პიროვნებაც იყო. ძალიან კოლორიტული, იუმორის



რომან სიმოვიჩი, ნათელა იაშვილი- პოლისაოვსკაია

გრძნობით აღსავსე. როდესაც ვუსმენდი ფრაგმენტებს კინოფილმებიდან, იმნუთსავე გავიფიქრე: ეს ორკესტრში უნდა აქლერდეს-მეთქი. აქამდე ეს მუსიკა ცოცხლად არ შესრულებულა. მერე მოვიხიეთ სანოტო მასალა. აღმოჩნდა, რომ კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ყოფილა უამრავი ფოტომასალა კომპოზიტორზე. ჩვენ ძალიან კარგი ალბომი გამოვეცით ამ ფოტოსურათებით და აღწერილობებით. შემდეგ ჩემი იდეა, კერესელიძის კინომუსიკის ცოცხლად შესრულების შესახებ, ვახტანგ კახიძეს გავუზიარე. მასაც, რასაკვირველია, იდეა ძალიან მოეწონა. პარტიტურები ვეძებეთ არქივებში, გაკეთდა პარტიტები ორკესტრის ცალკეული ჯგუფებისთვის. მოკლედ, ეს დიდი შრომა აღირდა იმად, რომ ჩვენ, ქართველი მსმენელისათვის, ასეთი არაჩვეულებრივი კომპოზიტორი გავგვხსენებინა!

კონცერტი ძალიან ხალისიანად წარიმართა. ნაჩვენები იყო ბევრი ფრაგმენტი კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან. კინოეკრანზე დანყებულ მუსიკა ზოგჯერ

ორკესტრში ლაივ რეჟიმში გადადიოდა და ჩვენს რეალობაში გვაბრუნებდა. ძველი ქართული კინოშედეგების ხილვა მაყურებელს სიამოვნებდა და უკვე გარდაცვლილ ჩვენ კინოვარსკვლავებს ტამით ეგებებოდა. კონცერტზე ბრწყინვალედ გამოვიდნენ მომღერლები ნატალია ქუთათელაძე და დავით გველეხიანი.

ვახტანგ კახიძე ამ კონცერტზე ორ ამპლუაში გამოდიოდა – როგორც დირიჟორი და როგორც კონფერანსიე. უნდა აღვნიშნო, რომ ეს უკანასკნელი მას იმდენად საინტერესოდ გამოსდის, რომ ვისურვებდი ეს როლი რიგით კონცერტებზეც ეტვირთოს. საქმე ის არის, რომ, მაგალითად, ამერიკის სცენებზე დღეს დირიჟორები პუბლიკასთან უფრო ინტერაქტიულები არიან, ვიდრე ძველად – კონცერტის წინ ერთი-ორი წინადადებით, პატარა წინასიტყვაობით გამოსვლა უკვე ჩვეულებად იქცა. დარბაზში ხშირად არაპროფესიონალი მსმენელია, რომელსაც, განსაკუთრებით თანამედროვე მუსიკის კონცერტებზე, დამატებითი ინფორმაციის მიღება ესაჭიროება. არ ვიცი რატომ, მაგრამ შემსრულებლის ხმა, სანამ ის

მუსიკას გვაზიარებს, თითქოს რაღაც დამატებითი ხიდა მის სულში მოსახვედრად. ეს ჩემი კეთილი სურვილების ნუსხაში მიითვალოს „შემოდგომის ფესტივალმა“.

ფესტივალის დახურვაზე თბილისის ბიგ-ბენდი და სიმფონიური ორკესტრი ერთობლივად წარდგენენ ჩვენს წინაშე. თუ ფესტივალის გახსნაზე სიმფონიური ორკესტრი ჯაზ-ტრიოსთან ერთად გამოვიდა, დახურვაზე ბიგ-ბენდთან ერთად გამოსვლამ მთლიან ფესტივალს ერთგვარი თაღის ფორმა მისცა.

პირველ განყოფილებაში მხოლოდ ბიგ-ბენდი გამოვიდა, რომელმაც გივი გაჩეჩილაძის მიერ არანჟირებული ცნობილი კომპოზიციები წარმოგვიდგინა. სოლისტები იყვნენ: მაია ბარათაშვილი, მარი პავლიაშვილი, მარიკო ებრაღიძე. თავი გაჩეჩილაძე. დირიჟორობდა კომპოზიტორი და ბიგ-ბენდის მხატვრული ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე. მეორე განყოფილებაში ორივე შემადგენლობა გაერთიანდა და ახლა უკვე ვახტანგ კახიძე დირიჟორობდა. აქაც ნაცნობი და ყველასათვის ნოსტალგიური კომპოზიციები შესრულდა. კონცერტის დასასრულს, ვახტანგ კახიძემ ორკესტრთან ერთად ჰოლივუდის ფილმების ცნობილი საუნდტრეკები შეასრულა. მასეტრო კახიძე თავს იმდენად ორგანულად გრძნობდა ამ მასალაში, რომ საცეკვაო ილეთებსაც იყენებდა ორკესტრანტების და საკუთარი ისწირაყის ხაზგასასმელად. ეს ნაწილი ფესტივალის ერთგვარი საზეიმო კოდა გახდა. დასასრულს დარბაზმა იფეთქა აპლოდისმენტებით. მაყურებელი დირიჟორსა და ორკესტრს დიდხანს არ უშვებდა სცენიდან და ბისიკ დაიმსახურა. აი ასეთი, მხიარული და გრანდიოზული ზემის ვითარებაში დასრულდა 22-ე, ძალიან მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი და დაუვინყარი კიდე ერთი „შემოდგომის თბილისი“.

ირმა სოსხაძე (მომღერალი) – დამთავრდა 22-ე შემოდგომის ფესტივალი, რომელიც წელს ჯანსუღ კახიძის ცენტრში ვახტანგ კახიძემ გვაჩუქა. შემსრულებლები, რომლებიც ყოველთვის ჩამოდიან ამ ფესტივალზე, უმრავლეს შემთხვევაში იმ რანგის მუსიკოსები არიან, რომლებსაც შეუძლიათ დღესასწაული აჩუქონ მუსიკის მოყვარულებს. „კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო“ ნათქვამია და მგონია, რომ ჩვენი მაყურებელი კარგა-

დაა მომზადებული. პირადად მე მინდა მართლაც უღრმესი მადლობა გადავუხადო ვატოს!

ნ.გ. – ხომ არ გამოყოფდი განსაკუთრებით რომელიმე კონცერტს?

ი.ს. – მე გამოყოფდი კლარნეტისტების ტრიოს – მამას, თავისი კლარნეტისტი შვილებით – ტყუპი ძმებით! ჩვენ გერმანიის „ცისფერი რაფსოდის“ სამი ვერსია მოვისმინეთ: გახსნაზე, დახურვაზე და ტყუპების შესრულებით. როგორი მუსიკა გვაჩუქეს მათ! მართლა შედევრის დონეზე იქნა აყვანილი გერმანიის ფენომენალური მუსიკოსები არიან! კულისებში როდესაც მიგულოცე, სიტყვებიც არ მყოფნიდა, რაღას აპირებთ-მეთქი ვუთხარი და მიპასუხეს „წინსვლას და განვითარებას“-ო. რაღა უნდა დახვეწოთ-მეთქი, გამეცინა. იცით, რა მიპასუხეს?: „მამა რომ გამოვიდა, ხომ ნახეთ, რომ გვაქვს კიდეც ლუფტი სადამდეც უნდა განვითარდეთ; ბაბუა უნდა მოგესმინათ, ის იყო სულ სხვა იპოსტასში, სხვა განზომილებაში“. ეს იყო ზემის ჩვენთვის და კიდე ერთხელ უღრმესი მადლობა აი, ამ კედლებს, მუსიკის ამ საოცარ ტაძარს და პირადად ვახტანგ კახიძეს!“

ვახტანგ კახიძე (ჯ.კახიძის. სახ. მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, დირიჟორი, კომპოზიტორი) – ძალიან კმაყოფილი ვარ. მე მგონი ძალიან მაღალ დონეზე ჩაიარა ფესტივალმა. ამ ფესტივალის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ მისი ბურჯი და საყრდენი თბილისის სიმფონიური ორკესტრია. მსოფლიოში, სხვათა შორის, არ არის ბევრი ასეთი ფესტივალი, რომლის მთავარი მოქმედი პირი სიმფონიური ორკესტრი იყოს. ეს არის გენერალური ხაზი და ამას ვარშემო ახლავს სხვადასხვა ჟანრის კონცერტები. წელს, ჩვენი ცენტრის 25 წლისთავთან დაკავშირებით, კიდე უფრო გავაფართოეთ სპექტრი; იყო სამხედრო ორკესტრი, კამერული ორკესტრი – „საქართველოს სიმფონიეტა“; არაჩვეულებრივი მევიოლინე რომან სიმოვიჩი კამერული საკონცერტო პროგრამით წარდგა მცირე დარბაზში. გახსნა უჩვეულო იყო იმიტომ, რომ იარონ ვოტფრიდის ჯაზ-ტრიო და სიმფონიური ორკესტრი ერთად უკრავდნენ და დახურვაც თბილისის „ბიგ-ბენდით“ და სიმფონიური ორკესტრით ჩატარდა... აი, ასეთი მრავალფეროვნება იყო წლევიანდელ ფესტივალზე.“

ნ.გ. — ყველა ფესტივალისთვის მთავარი ფაქტორია დაფინანსება. არის ამ თვალსაზრისით რაიმე თქვენთვის პრობლემური, რასაც თქვენ ვერ ახერხებთ გამოყოფილი ბიუჯეტით?

ვ.კ. — რასაკვირველია! ვაპირებ მერიის ახალ ხელმძღვანელობას დაველაპარაკო, რომ ჩვენი ბიუჯეტი მინიმუმ გაორმაგდეს იმიტომ, რომ იმ სახსრებით რაც ჩვენ ვვაქვს, ამაზე უკეთესად ვერ ვააკეთებ. შარშანაც ამას ვამბობდი, შარშანწინაც და თუ არ მოვემეტება, მომავალ წელსაც ამას ვიტყვი. კი, მაღალ დონეზე იქნება ყოველთვის, მაგრამ არ ვაფართოვდება სპექტრი და გეტყვით რა მხრივ: მიმაჩნია, რომ ძირითადი ხაზი, ფესტივალის ძირითადი საყრდენი ორკესტრი უნდა იყოს მომავალშიც, მაგრამ ჩამოსაყვანია ძალიან ბევრი კარგი კამერული ორკესტრი და კამერული ანსამბლი. კვარტეტი, ტრიო, 9 კაცი, 8 კაცი, 15- 20 კაცი, აი ამ ფარგლებში თავისუფლად შეიძლება ფესტივალმა გაფართოება დაიწყო. მე არ ვლაპარაკობ დიდ სიმფონიურ შემადგენლობებზე — „ბერლინის სიმფონიური ორკესტრის“ ან „ისრაელ ფილარმონიკის“ ჩამოყვანა ისეთ ფულთან არის დაკავშირებული, რომ ამას ვერცერთი ფესტივალი ვერ უზრუნველყოფს; ძალიან დიდი სპონსორული დახმარებისა და სახელმწიფო გადამწყვეტილების გარეშე. ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით ამის საშუალება არა აქვს და მე მგონი, რომ უახლოეს წლებში არც ექნება, თუმცა, რომ ვუყურებ რამდენი ხალხი დადიოდა ჩვენ ფესტივალზე, ვიცი, რამდენი ხალხი დადიოდა თეატრალურ ფესტივალზე, რამდენი ხალხი ივლის ახლა მეორე თეატრალურ ფესტივალზე, მერე არის ჯამ-ფესტივალი, კინოფესტივალი. აი, ეს სექტემბერი-ოქტომბერი-ნოემბერი სავსეა ძალიან კარგი დონის ფესტივალებით. მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ ფესტივალს კიდევ უფრო მეტი საშუალება მიეცეს, რათა თბილისში წარმოადგინონ საზღვარგარეთული კულტურის მაღალი დონის ნიმუშები. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართული კოლექტივები, რომლებიც იმსახურებენ და შეესაბამებიან მსოფლიო დონეს, გაემგზავრონ საზღვარგარეთ და იქ წარმოაჩინონ ჩვენი ქვეყანა, რადგანაც, არ შეიძლება მხოლოდ იმპორტი იყოს, უნდა იყოს ექსპორტიც.

ნ.გ. — ალბათ, გარდა ანსამბლებისა, შეიძლება ფესტივალის გაზრდა მეტი „ა“ კლასის ვარსკვლავების ჩამოყვანითაც?

ვ.კ. — რასაკვირველია! მაგრამ კლასი, არ ვანსაზღვრავს ფასს — ეს პიარის მომენტია. ჩვენთან რა დონის სოლისტებიც ჩამოდიან — მაგალითად, მევიოლინე რომან სიმოვიჩი, არაფრით ნაკლები არ არის არც ვენგეროვზე, არც რეჰინზე, მაგრამ პიარით, ანუ თავისი ფასით ისინი ბევრად წინ არიან წასულები — ვერც შეადარებ, ალბათ, ერთი მეათედის არ ღირს აქ ჩამოსული მუსიკოსი იმათთან მიმართებაში. ამის გარდა, საერთოდ ძალიან აინია ფასებმა მსოფლიოში. ადრე, ასე თუ ისე, დაახლოებით ერთ ფარგლებში იყო ანაზღაურებები, მერე და მერე აინია და ახლა არის ძალიან დიდი განსხვავება: არის რაღაც ელიტარული, ძალიან ძვირი, მაგალითად, ჰონორარი — 50,000 ევრო, და მერე მოდის ქვევით და ქვევით. ვთქვათ, 5 000 ევროდ შეიძლება ჩამოიყვანო ფანტასტიკური სოლისტი. უბრალოდ, უნდა იცოდეს ვინ ჩამოიყვანო.

ნ.გ. — ალბათ, პიროვნულ ფაქტორსაც აქვს მნიშვნელობა — ვისთან, სად ჩამოდიან...

ვ.კ. — კი! იყო პერიოდი, როდესაც ჩვენთან ხინკლის საჭმელად ჩამოდიოდნენ, მეგობრულად, მხარი რომ დაეჭირათ ფესტივალისთვის მაშინ, როდესაც ვერ ვუხდით საერთოდ. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მერიამ ამაში ძირითადი წვლილი შეიტანა და დღეს შემიძლია არცთუ ისე სიმბოლური, მაგრამ მაინც მცირე ჰონორარი გადავუხადო მონვეულ სოლისტებს. ეს უკვე ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მეტია საჭირო, რადგანაც ეს არა მხოლოდ ქალაქს, არამედ ქართულ კულტურას წაადგება. ეს ხომ მხოლოდ თბილისისთვის არ კეთდება; ძალიან ბევრი ვიცი, ვინც რაიონებიდან ჩამოდის კონცერტებზე. ბევრი უცხოელიც დადის. ერთი ასეთი შემთხვევა გვქონდა, რომ ერთი ადამიანი ავსტრალიიდან გვიკვეთავდა ბილეთებს.

ნ.გ. — ფესტივალიდან ფესტივალამდე რითი იცხოვრებს თბილისის სიმფონიური მუსიკის ცენტრი?

ვ.კ. — ახლა, რასაკვირველია, ჯერ დავისვენებთ, რადგანაც ორკესტრი უკვე იმ ზღვრამდეა მისული, რომ ლამის ორკესტრანტებმა პროფესია გამოიკვალონ! ცოტა უნდა მოვიდნენ აზრზე და მეც, სხვათა შორის,



ფასტივალის დასკვნითი კონცერტი. მარიკო აბრალიძე, გივი გაჩეჩილაძე, თაკო გაჩეჩილაძე, მანია გარათაშვილი

დავისვენებ. მერე ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს, მაგრამ წინასწარ არ მიყვარს ლაპარაკი. მომავალი კვირიდან დავიწყებ შეხვედრებს, რათა მომავალი გეგმების განხორციელებისთვის საშუალებები მოვიძიო და ა.შ. ასე რომ, წელსვე, ახალ წლამდე, საინტერესო კონცერტებს შემოგთავაზებთ.

მომავალი წელი ჩვენთვის მნიშვნელოვანი საიუბილეო წელია, მამჩემი, ჯანსუღ კახიძე, 80 წლის გახდებოდა და ფაქტია, რომ უნდა აღვნიშნოთ და იქაც, აუცილებლად საინტერესო პროგრამას შემოგთავაზებთ.

თეკა კახიძე (ფ.კახიძის. სახ. მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზის მენეჯერი) – ჩვენ ყოველწლიურად ვაკვირდებით, ვიკვლევთ ჩვენ გარემოს, ვუსმენთ ხალხის კომენტარს – თუ რას ისურვებდნენ. ბევრი სამუშაოა მარკეტინგის თვალსაზრისით: უფრო ცნობადი გვირგვინი ვახდეს ეს ფესტივალი. თითქოს არ გვაკლია ცნობადობა, მაგრამ ეს ცნობადობა უფრო მუსიკის მოყვარულთა წრეშია; შეიძლება უფრო გაფართოვდეს


წრე – მეტი ახალგაზრდა, სხვა პროფესიის ადამიანები რომ ჩაერთონ ამაში. რა თქმა უნდა, თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც არის ინტერნეტი, იგივე სოციალური ქსელები, მედია და ა.შ., მაქსიმალურად ჩართული გვყავს. წელს გაიხსნა ჩვენი ფესტივალის ვებგვერდიც – <http://www.kakhidzemusiccenter.com>, რაც საშუალებას აძლევს ყველას უკვე ინტერნეტით გაეცნოს როგორც წინა, ასევე მიმდინარე ფესტივალს, მაგრამ, ყველაზე მეტად რაც გვჭირდება, ეს არის ბილეთების ელექტრონული გაყიდვა. ამას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება, იმედი გვაქვს, რომ შემდეგი წლიდან ეს ჩვენ ბიუჯეტში გათვალისწინებული გვექნება. ამით უფრო მეტ კომფორტს შევუქმნით მუსიკის მოყვარულებს, რომლებიც უკვე 22 წელია ჩვენთან ერთად არიან და მათი სიმრავლე დარბაზში იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი საზოგადოება მაღალი ღირებულებების მატარებელია, ისეთის, როგორიც კლასიკურ მუსიკის სტანდარტებს შეესაბამება!



მელიტონ ბალანჩივაძე (1862-1937) — კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი

დაგოვის, ქართველ კომპოზიტორთა თაობების ამგვარი აღმზრდელის, საზოგადო მოღვაწის სახელით დამკვიდრდა ეროვნული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. ეს ფაქტები ფართო საზოგადოებისთვისაც კარგადაა ცნობილი. ზემოხსენებულმა გამოთენამ კი გაგვაცნო მელიტონ ბალანჩივაძის კიდევ ერთი შვილის, თამარის სახელი და შემოქმედება. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჯორჯ ბალანჩინი, ანუ ერთი პატარა ქვეყნის, მცირერიცხოვანი ერის შვილმა, დიდ ქვეყანას, ამერიკას, საბალეტო სკოლა დაუფუძნა, მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში სრულიად ახალი, მკვეთრად ინდივიდუალური სიტყვა თქვა, უკვდავი საბალეტო დადგმები ჩაიფქრა და განახორციელა, ახალ იმგვარ ქორეოგრაფიულ მეტყველებას მისცა დასაბამი, მიმდევრები რომ გაიჩინა. აქ როგორ არ ვასხენო, რომ ამ პატარა ქვეყნის,



ანდრია ბალანჩივაძე (1906-1992) კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე



გიორგი ბალანჩივაძე (ჯორჯ ბალანჩინი — 1904-1983) მსოფლიოში აღიარებული ბალეტმეცნიერი, აკადემიკოს კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი



თამარ ბალანჩივაძე
კომპოზიტორ მელისტონ ბალანჩივაძის ქალიშვილი,
ანდრიას და გიორგის და.
დაიბადა 1902წ., პატიარკურგში. გარდაცვალების ზუსტი
თარიღი უცნობია. 1942 წელს დააბრუნა ლენინგრადში,
რის შემდეგ მისი კვალი ქრება. სავარაუდოდ,
დაიღუპა 1943წ. ლენინგრადის ბლოკადის დროს.
მუშაობდა ოპერათმბის თოჯინების თეატრში მხატვარ-
დაკორასტორად. თბილისის სახელმწიფო სახასპვრო
აკადემიის არქივში დაცულია თამარ ბალანჩივაძის
ერთადერთი, მაღალი მხატვრული ღირებულების
ფარდობული ნამუშევარი

ამ მცირერიცხოვანი ერის კიდევ ერთმა დიდმა ხელოვანმა, ვახტანგ ჭაბუკიანმა, ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ერთი, ლამის რევოლუციური ნაბიჯი გადადგა — მოცეკვავე ვაჟის როლი ქალისას გაუტოლა (თავად მან — გადააჭარბა კიდევ!), სცენაზე ბალერინას მრავალწლიან ჰეგემონიას ფრთა შეუკვეცა და ამით უამრავ ბალერუნს, დღეს რომ ბრწყინავენ, საკუთარი ნიჭიერების გამოსავლენად ასარეზი გაუხსნა. მაგრამ ეს საკითხი წინამდებარე წერილს უშუალოდ არ ეხება, უბრალოდ ერთი მცირერიცხოვანი ერის მიერ მსოფლიო ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილის გასახსენებლად აღვნიშნე. ჯორჯ ბალანჩინის დაბადების 110 წლისთავს დიდი პატივით ზეიმობს მსოფლიო. სწორედ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საქართველოს



თამარ ბალანჩივაძის ფარდობა


ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში გამართული ბალანჩივაძეების საგვარეულოს ჩინებულ წარმომადგენელთა გამოფენა.

ბალანჩივაძეთა გვარის სადიდებლად ზემოხსენებული ფაქტებიც სავსებით საკმარია. მაგრამ გამოფენამ სხვა ღვანლიც წარმოაჩინა, ამ მამულიშვილური ღვანლითაც არ ამოინურება, თურმე, მათი წვლილი, შვილებისა, შვილიშვილებისა, შვილთაშვილებისთვისაც გადაუციათ ნიჭიერება, თაობიდან თაობაში ძალუმად რომ ძვერს გენებში. საკვირველია გენეტიკის ძალა! რა ხელგამლილია უფალი რჩეულთა მიმართ!

საქართველოს ისტორიის მუზეუმის ორმა დარბაზმა ვერც დაიტია ბალანჩივაძეების სახელოვანი გვარის



ნატუსია (ზანა) გალანშივაძე (1916-1999) კომპოზიტორ ანდრია გალანშივაძის მეუღლე. თვითნასწავლი მხატვარი, პროფესიით მსახიობი. ჰქონდა რამდენიმე გამოფენა თბილისსა და გერმანიაში. ჰავერი მისი ნამუშევარი გერმანიისა და ჰოლანდიის კარგო კოლექციონერების მფლობელობაშია.



ამირან გალანშივაძე (1934-1995) კომპოზიტორ ანდრია გალანშივაძის უფროსი ვაჟი. პროფესიით ფიზიკოსი. მუშაობდა უს-კა-ვა-ში, მთავარ ინჟინერად. თვითნასწავლი მხატვარი. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ჯგუფურ გამოფენაში. ჰქონდა ერთი პარსონალური გამოფენა საქართველოში

წარმომადგენელთა ფერწერული ნამუშევრების ექსპოზიცია. ჩემთვის (და, ალბათ, ბევრი სხვისთვისაც) ეს აღმოჩენა იყო! ბ-ნ ანდრისა შვილები — ამირან, ცისკარი, ჯარჯი — ხელოვნების მსახურებად აღუზრდია. საოცარი ისიცაა, მათ შვილებშიც ასევე მძლავრად ასხივებს ნიჭიერების გენეტიკური კოდი. ყოველ ნახატს ავტორის ინდივიდუალური ხელწერის ტვიფარი ადევს, და, ამავედროულად, ცხადად ამოიკითხება ნათესაური კავშირი. ეს ჩანს თემატიკაში, ალეგორიათა სიუჟეტში, ფერთა შეხმატებლებულ ჰარმონიულობაში, სიკეთის პიიტეტით რომაა გაჟღერებული. ეს სამყაროს ნათელი აღქმის მაჩვენებელია. პეიზაჟი იქნება ეს თუ ნატურმორტი, ფლორა თუ ფაუნა, ზღაპარი თუ სინამდვილე, რეალური პიროვნების პორტრეტი, თუ ავტორის უშრეტი ფანტაზიის ნაყოფი, და, რაც მთავარია, ადამიანი — ყველაფერი ნათელს, სიკეთეს ასხივებს, თუმც ეს არ ვახლავთ

მარტივი მსოფლალქმა, ღრმა, ტევადია ნახატებში დაუნჯებული მხატვრულ-ემოციური შინაარსი. უმდიდრესია ფანტაზია. საოცრად მეტყველ თვალეებში, ადამიანისა თუ ცხოველის, ფრინველისა თუ პეპლის, სევდა და კაემანი, ფიქრი და ჭმუნვა ჩაბუდებულია. ეს მეტყველი თვალეები უამრავს გვაუწყებს, ერთ უთქმელს, ბოლომდე ამოუნუნავს, შენც დაგაფიქრებს და ამ ფიქრს თან გამოგაყოლებს, თან ერთი და ორი საათით კი არა, დიდი, დიდი ხნით.

მელიტონ ბალანჩივაძეს ქალიშვილიც ჰყოლია — თამარი, საუცხოო მხატვარი. საკვირველია ადამიანის ბედი, ნიჭიერებასთან ერთად უცნაურ ცხოვრებისეულ ხვედრსაც რომ დაანათლავს. მხატვარ თამარ ბალანჩივაძის სახელი საქართველოში, ალბათ, თითქმის აღარავის სმენია — თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილი პირველი თაობის წარმომადგენელი ყოფი-



აიხრან ბალანჩივაძის ფერწერა

ლა. ხოლო მისი სიცოცხლე ლენინგრადის ბლოკადას უმსხვერპლია. ტეშმარიტად – სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხრი, სადით ძირსა! ამ მშვენიერი ქალბატონის საფლავიც კი ჩვენთვის დაკარგულია. ერთადერთი შემორჩენილი ფერწერული ტილო კი ცხადყოფს მის ნიჭიერებასა და უტყუარ პროფესიონალიზმს, იმას, დიდი გიგო გაბაშვილის სკოლის ღირსეული აღზრდილი რომაა.

კიდევ ერთი ქალბატონი ამშვენებს ბალანჩივაძეების საგვარეულოს – ნატუსია (პანა) ბალანჩივაძე, ბ-ნი ანდრიას ცხოვრების ერთგული მეგობრი. მსახიობისა და მხატვრის ნიჭი ოჯახის გაძლოლას, შვილების აღზრდას რომ ანაცვალა, ხატვა ჰობიდ მიიჩნია, ნიჭი კი რარივი ჰქონია! აბა შეხედეთ, რაოდენ სინაზეს გამოხატავს, რა ლამის ჯოკონდასეული ღიმილით შემოგვცქერის მისეული ფუნჯით შექმნილი ნითელბერეთიანი მანდილოსანი, ან გვირგვინოსანი დედოფალი, ან კიდევ ავ-


ტოპორტრეტები... რა ზუსტადაა დაჭერილი მეუღლის პორტრეტში ბ-ნი ანდრიას თავის ჩვეული მოძრაობა და მგზნებარედ ანთებული თვალები.

ჯარჯი ბალანჩივაძე, მრავალმხრივი პიროვნება – პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი, საქართველოში არაერთი ნაწარმოების (ოპერის, ვოკალურ-ინსტრუმენტული, კამერულ-ინსტრუმენტული) პირველი შემსრულებელი თუ შესრულების ორგანიზატორი. ეს ყველაფერი აფიშირების, ხმაურის, თავის გამოჩენის წადილის გარეშე ხდებოდა. არ შემიძლია არ გავიხსენო ჯარჯი ბალანჩივაძის ერთ-ერთი გამოსვლა, სადაც მან ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი შემოგვთავაზა. უთვალავჯერ მოსმენილი ეს გენიალური თხზულება, ლამის გაცვეთილი უბადლო თუ სამუალო პიანისტთა ხელში, სრულიად ახლებურად გაჟღერდა. თითოეული, ხაზგასმით ვამბობ – თითოეული ნოტი გაისმა და თითოეულში პოეტური, უფაქიზესი განცდა დაინიხა. ცალკეულთათვის ეს არ



ჯარჯი ბალანჩივაძე (1941- 2011)
ანდრია ბალანჩივაძის ვაჟი.
პიანისტი, ღირსიერი, მხატვარი

იყო ეტალონური შესრულება (სხვათა შორის, თავად მათი შესრულება არავის დახსომებია!), არც უნდა მოსწონებოდათ, რამეთუ მათი სმენა დაშტამპულ შესრულებასა ჩვეული, ის მოსწონთ. ჩემთვის კი ჯარჯი ბალანჩივაძემ ახლებური ჩაიკოვსკი წარმოადგინა. ჩვენი გავლურებული, აკრობატობას მიტანებული ტექნიკით გატაცების ხანისათვის, ჯარჯისეული ტემპები, მართლაც, წელი იყო, პიანისტი კი არ ეჯიბრებოდა ორკესტრს, ტექნიკური განაფულობით კი არ გვანონებდა თავს, არამედ თავად ჩაიკოვსკისთან ჰქონდა გამართული დიალოგი და დიდი კომპოზიტორის ფიქრსა და განცდებს გვზიარებდა. ხომ ხედავთ, ეს კონცერტი, ძალიან დიდი ხნის უნინ შედგა, ხოლო ჩემმა სსოვანამ იგი ცინცხალად შემოინახა. თურმე არც ყოფილა გასაკვირი, თურმე ჯარჯი ბალანჩივაძეს სხვა სამყაროც ჰქონია, ასევე „საკუთარი“, ასევე ღრმად ინდივიდუალური ხელნერის მქონე... რა უჩვეულო არსე-



ჯარჯი ბალანჩივაძის ფერწერა





სისკარი ბალანჩივაძე (1939) — ანდრია ბალანჩივაძის ქალიშვილი. ბალერინა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1939- 1988)

ბები იმზირებიან მისი ფერწერული ტილოებიდან თუ აკვარელეებიდან, რა ამოუნურავია ალეგორია, რა იდუმალეა, რა უძირო ფიქრია მათში დაუნჯებული. რამდენს იუნყება არა მარტო ადამიანთა, არამედ ჩიტის, უცნაური ცხოველის თვალეები!




გიორგი და სისკარი ბალანჩივაძეები. 1962

ხელდასხმით გამოიწრთო ამ ნიჭიერი ყმანვილის ოსტატობა. უნარი, მართალია მემკვიდრეობით გადმოეცა, მაგრამ ასეთ უნიკალურ გარემოცვაში აღზრდილმა, საკუთარი ხელწერის გამომუშავება რომ შეძლო, ესეც ხომ ნიჭიერების მანიშნებელია. რა მშვენიერებას, რამდენ



ანდრია ბალანჩივაძე უმცროსი (1969), ამირან ბალანჩივაძის ვაჟი. მუსიკოსი, მხატვარი

ანტონ ბალანჩივაძისთვის, ჯარჯის ვაჟიშვილისათვისაც, ხელგაშლით ჩამოუბერტყავს უფალს ნიჭი. ეს უკვე პროფესიული მხატვარია, აკადემიური სწავლა აქვს გამოვლილი. აქ როგორ არ ვთქვა, ფერწერაში მისი მოძღვრები ყოფილან ყარამან ქუთათელაძე და გოგი თოთიბაძე, რაც ნიშნავს, რომ ქართულ სახვით ხელოვნებაში ცნობილი დინასტიის ღირსეული მემკვიდრეების



ანდრია ბალანჩივაძე უმცროსის ფერწერა

სალონანთა დინასტია

სიკეთეს, ნატივ იუმორს აზიარებს ბავშვებს ქართული ზღაპრები, კიდევ სხვა ზღაპრების ანტონისეული სერია! სხვა ნამუშევრებს აღარ ჩამოვთვლი, ბევრი და ჩინებულ! ევროპულ სახელოვნებო ცენტრებში გამართულ მის პერსონალურ გამოფენებს წარმატება რომ ჰქონია



ანსონ გალანდინი (1978). ჯარჯი გალანდინიას ვაჟი. მხატვარი. გამოფენები: საპარტიკული, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში. მათ შორის: "CARROUSEL DU LOUVRE" IN LOUVRE MUSEUM, "GALLERIE CHRISTINE COLAS", "GALLERY AT BASILIQUE DU SACRE-COEUR DE MONTMARTRE" (PARIS, FRANCE); "CAMDEN ART GALLERY", "PARALLAX ART FAIR AT CHELSEA OLD TOWN HALL" (LONDON, ENGLAND), "JMA GALLERY" (VIENNA, AUSTRIA) და სხვ. გაფორმებული აქვს რამდენიმე ნიშნი და თეატრალური ფაფგა.

გასახარია, ხოლო ის, პიკასოსა და შაგალის, დალის ნამუშევრებთან ერთ სივრცეში ქართველი ახალგაზრდის შემოქმედების წარდგინება რომ შემდგარა, ეს კიდევ უფრო საამაყოა.

ამირან ბალანჩივაძე, ბ-ნი ანდრეას უფროსი ვაჟი, პროფესიით ფიზიკოსი ასევე გაუტაცნია მხატვრობას. ამ მოყვარული მხატვრის გამოფენებიც გამართულა, თურმე. ცხადია, ამჯერადაც ღირსეულადაა წარმოდგენილი მისი შემოქმედება, საკუთარი, განსხვავებული, და, ამავე დროულად, თავის მოგვარების ხელწერასთან დანათესავებული...

უმცროსი ანდრეა ბალანჩივაძე, ამირანის ვაჟი, დიდი პაპის სახელს ღირსეულად რომ ატარებს, ჩემთვის მისი ფოტოდანაც ჩანს, სახეზე შთაგონება რომ აღბეჭდვია,

მუსიკოსობასა და მხატვრობას შორის ანანილებს თურმე ცხოვრებისეულ დროს, ოჯახურ ტრადიციასაც უდგას კვალში და, ამავედროულად, სათქმელს საკუთარი ხელწერით გამოთქვამს.

გამოფენას ახლავს ოჯახური არქივის ფოტოები. რომც არ იცოდე ძველებურ ფოტოებზე აღბეჭდილის ვინაობა, უეჭველად იტყვი — ხელოვანია! შთაგონება, ღრმა ინდივიდუალობა აზის ბეჭდად თითოეულ სახეს, ნებისმიერი ეპოქის მხატვრისათვის სანატრელი მოდელი რომ იქნებოდა. და ამას ემატება ჩვენი დროისათვის დაკარგული კეთილშობილება, სათნოება, სიღარბისლე, იშვიათი შინაგანი მშვენიერება, სულის სიმაღლე ... აი ასეთი იყო ქართველობა! ასეთებმა შეუნარჩუნეს ჩვენს ქვეყანას ღირსება! და ასეთებს ებრძოდნენ, ანადგურებდნენ!

ცხოვრებაში არაფერია შემთხვევითი. ეს არაჩვეულებრივი გამოფენა გაიმართა საქართველოს ისტორიის ეროვნულ მუზეუმში. დიას! სწორედ აქ უნდა გამართულიყო, რადგან ბალანჩივაძეთა გვარი საქართველოს ისტორიის კუთვნილებაა, მისი ღირსეული, საამაყო ნაწილია. და აი, ამ საგამოფენო დარბაზის ერთი სართულით ზევით სხვა გამოფენაა განთავსებული. გამოფენა, რომელიც ფარდას ხდის საქართველოს ისტორიის შავბუნელ ფურცლებს, საამაყარაოზე გამოაქვს საბჭოთა ოკუპაციის სისხლიანი ეპოქის შემზარავი სახე, მის უთვალავ მსხვერპლს, „განაჩენის“ ჯალათ-გამომტანთა და ჯალათ-შემსრულებელთა სახეებს წარმოადგენს (მე ამ გამოფენას სხვა, რუსეთის 200 წლიან ოკუპაციის სახელს დავარქმევდი და ისტორიის არეალს გავაფართოებდი. მასალა უხვადაა.). დოკუმენტების მრისხანე სიტყვები გვაუწყებს იმ ადამიანთა ბედს, ვინც თუნდაც ფიქრით არ იზიარებდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ იდეებს. აი ამ, ზვარაკად შეწირულ მსხვერპლთა უსაზღვრო სევდა ჩაბუდებულია ბალანჩივაძეებისეულ ნახატებში, იქ, სადაც მზიარულეა, ხალისი, იუმორია აღბეჭდილი, იქაც სევდა-ნაღველი, ტყუენვა და კაეშანი გამოსჭვივის.

რატომ? მკითხავს მიამიტი მავანი, განა რა დაუშავა ბალანჩივაძეებს ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ?! მელიტონ ბალანჩივაძეს, ერთ პირველთაგანს უბოძეს საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო ნოდება, ანდრეა ბალანჩივაძეს კი, ვკონებ,



ასოსე ბალანჩივაძის ფერწერა

საბჭოური ყველა ჩინ-მედალი ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ რას ნიშნავს ხელოვანისათვის ჯილდო, თუკი მას თავისუფლება, არჩევანის უფლება ჩამორთმეული აქვს?! ერთი ასეთი ჯილდოს გადაცემის პროცედურის მონაშე ვახლდით. ღირს გავიხსენო. უმაღლესი საბჭოური ჯილდო, სოციალისტური შრომის გმირის ორდენი უბოძეს მსკოვან კომპოზიტორს. რამდენიმე დღის დაგვიანებით ჯილდოს ასაღებად მისული „შრომის გმირი“ მაღალჩინოსანმა ჩინოვნიკმა დატუქსა – „რაო, ფულს აღარ მომცემთო“, იკითხა ბ-მა ანდრიამ. „Деньги и не предусмотрены, Андрей Мелитонович, разве в деньгах дело?“ “Так что это за орден, коли не имеет денежного выражения?” თავის მხრივ გაიოცა ბ-მა ანდრიამ და კვიმატი გამომეტყველებით დაამატა: “Вот Бетховен, настолько мне известно, не был Героем социалистического труда. А был просто Бетховен! Вот и я, буду просто Баланчивадзе”. ამ სიტყვებით უკან გაბრუნდა. სახტად დარჩენილი ჩინოვნიკი იძულებული შეიქნა დადევნებოდა, შეხვეწნოდა კიდევ, იწებოდა, წაიღეთ ჯილდო. ღვიძლ ძმასთან, ჯორჯ ბალან-

ჩინთან, ვისი სახელიც მსოფლიოში სტეკდა, შეხვედრაც კი ათწლეულების მანძილზე ეკრძალებოდა. აბა, წარმოვიდგინოთ, რარიგი იქნებოდა ორი უნიჭიერესი ძმის შემოქმედებითი ტანდემი? რარიგ გაბრწყინდებოდა ანდრია ბალანჩივაძის მუსიკა და მის საფუძველზე შექმნილი გიორგი ბალანჩივაძის ქორეოგრაფია?! ეს იშვიათი შესაძლებლობა მსოფლიო ხელოვნებას იდეოლოგიურმა შეუთავსებლობამ დააკარგვინა! იქნებ ამიტომ (და კიდევ უამრავ სხვა მიზეზთა გამო) ბალანჩივაძეებისეულ თითოეულ ნახატში სიღრმისეული სევდა-ნალველი, გამოუთქმელი კაეშანი, ამოუცნობი ფიქრი და გაუშიფრავი მინიშნება ჩაბუდებული.

ჩემთვის დაუვინყარია ეს გამოფენა, თითოეული ნამუშევარი, მასშტაბურიცა და პანიაც, მინიატიურულიც. ნახეთ, უსათუოდ ნახეთ, იშვიათი დინასტიის შესანიშნავი გამოფენა, სულში სიკეთე, ნათელი ჩაიღვენით!

ერთ სურვილსაც დავურთავდი – კულტურის სამინისტრომ დააფინანსოს ამ ღირსსახსოვარი გამოფენის ალბომი, რამეთუ ესაა სახე ჩვენი ქვეყნისა! ღირსეულად ეს წარმოაჩენს საქართველოს!

დიდი ხანია ქართული კულტურული მონაპოვრების, საქართველოს ისტორიის გაყალბება ხდება, რაც ჩვენი ფართო საზოგადოებისა და მეცნიერული წრეებისათვის კარგადაა ცნობილი. გავიხსენოთ, არცთუ დიდი ხნის წინ, ქართული ხალხური სიმღერების სომხურ სიმღერებად „გასაღების“ ფაქტი, ქართული ჩურჩხელისა და ღვინის სომხურ პროდუქციად წარდგენა ევროპულ ბაზრებზე და ა.შ. ინტერნეტ სივრცეში უამრავი ვებ-გვერდი, სადაც რუსულ და ინგლისურ ენებზე გაყალბებულია საქართველოს ისტორია. მართალია, ამის გამო არაერთხელ აგვიტყუებენ განგაში ქართულ მასმედიაში, მაგრამ „ქარავანი მიდის“ და იგივე გრძელდება... ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი საპირწონე ნაშრომების მომზადებაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი გადაუდებელ ამოცანად გვესახება ქართული მუსიკის ენციკლოპედიური გამოცემის მომზადება, რომელიც შემდგომ ითარგმნება ინგლისურ ენაზე და განთავსდება ინტერნეტში.

ამჯერად რედაქცია მკითხველს სთავაზობს ბ-ნ გულბათ ტორაძის წერილს, რომელიც ახლახან დაიბეჭდა მოსკოვში ჟურნალში «Музыкальная академия» (2014 №3). რაც, ცხადია, პრინციპულად ბრძის მის პროფესიულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ავტორი ეხება მოსკოვში გამოცემულ ენციკლოპედიას, რომელშიც XX საუკუნის მთელი ქართული მუსიკა, მხოლოდ ერთი კომპოზიტორით არის წარმოდგენილი.

(წერილი იბეჭდება მცირედი შემოკლებით)

ფუნდამენტური გამოცემა ფრიად დასანანი ხარვეზით

გულბათ სორაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი

ახლახან გავეცანი ფუნდამენტურ გამოცემას – ენციკლოპედიურ ლექსიკონს „XX საუკუნის მუსიკა“, რომლის ავტორია მუსიკისმცოდნე ლევონ აკოფიანი (მოსკოვი, საგამომცემლო სახლი „პრაქტიკა“ 2010. სამეცნიერო რედაქტორი ე.დვოსკინა).

ეს დიდტანიანი წიგნი (853 გვ.) გამოირჩევა მასალის განსაკუთრებული სიმდიდრით და სიხვლით და უდავოდ გახდება სპეციალისტებისა და მუსიკის მოყვარულთათვის დიდი დაინტერესების საგანი თავისი ძალზე მაღალი პროფესიული დონით.

მე კი, ჩემი მხრივ, თავს უფლებას მივცემ შევეხო მის მხოლოდ ერთ, ყოველი ობიექტური მკითხველისათვის ფრიად დასანანი ხარვეზს: ამ კაპიტალურ გამოცემაში XX საუკუნის ქართულ მუსიკას დათმობილი აქვს მხოლოდ

ერთი წერილი (კომპოზიტორ ვია ყანჩელის შესახებ), მაშინ როდესაც, მაგალითად, სომხურ მუსიკალურ კულტურას და მის წარმომადგენლებს – ათი წერილი.

დავასახელოთ ისინი ანბანური პრინციპით: 1. კ.ბერბერიანი. 2. „გაიანე“ – ა.ხაჩატურიანის ბალეტი. 3. ზ.დოლუხანოვა. 4. კომიტასი. 5. ტ.მანსურიანი. 6. ა.მელიქ-ფაშაევი. 7. „სპარტაკი“ – ა.ხაჩატურიანის ბალეტი. 8. ა.ტერტერიანი. 9. ა.ხაჩატურიანი. 10. ა.ჰოვანესი.

მაშ ასე – ათი წერილი ერთის საპირისპიროდ. საოცარი პროპორციაა!

რა თქმა უნდა, ყველა ზემოთჩამოთვლილი გამოჩენილი პიროვნება და მათი ნაწარმოებები იმსახურებენ წერილებს ენციკლოპედიაში „XX საუკუნის მუსიკა“. ცხადია, რომ საუბარია, არა ამის შესახებ, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ამასვე იმსახურებენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები (კომპოზიტორები და შემსრულებლები). ვისაუბროთ ახლა მათ შესახებ სომეხ კოლეგებთან მიმართებაში.

კ.ბერბერიანი და ზ.დოლუხანოვა – უდავოდ, გამოჩენილი მომღერლები (კამერული) არიან. მაგრამ, ნუთუ, ლ.აკოფიანს არაფერი სმენია გამოჩენილი ქართველი მომღერლების შესახებ, დაწყებული „საქართველოს ბუღბუღით“ – ვ.სარაჯიშვილით (1879–1924), რომელიც ბრწყინვალე წარმატებით გამოდიოდა არა მარტო საქართველოში, არამედ, იტალიასა და პეტერბურგში, სადაც კონკურენციას უწევდა სახელგანთქმულ ა.მაზინის და რომელიც აღტაცებული სიტყვებით არის მოხსენიებული გამოჩენილი დირიჟორის ა.მელიქ-ფაშაევისადმი მიძღვნილ წიგნში (ავტორი – მისი შვილი – ა.მელიქ-ფაშაევი. მოსკოვი, 1983). გთავაზობთ ციტატას: „ვანო სარაჯიშვილი დაჯილდოებული იყო ამაღლევებელი სილამაზის ტენორით, დახვეწილი მუსიკალობით და იმდენად შეუდარებელი სცენური მომხიბვლელობით, რომ მამაჩემს, რომელსაც მოსმენილი ჰყავდა მსოფლიო მასშტაბის არაერთი მომღერალი, უჭირდა დაეყენებინა მის გვერდით ვინმე სხვა“ (!!). წარმოგიდგენიათ?!


ნუთუ, ასევე არაფერი სმენია ლ.აკოფიანს ორი დიდი ზურაბის – ანჯაფარიძისა და სოტკილაშვილის შესახებ, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს სსრკ „დიდი თეატრის“ შემოქმედებით ცხოვრებაში.

დაბოლოს, კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი მომღერალი, რომლისთვისაც ადგილი არ აღმოჩნდა „ენციკლოპედიაში“ – პაატა ბურჭულაძე და რომელსაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჰ.ფონ კარაიანმა უწოდა „ბანი №1“ მსოფლიო საოპერო ხელოვნებაში!

დავუმატებ მათ მსოფლიოში აღიარებულ მუსიკოსებს – ე.ვირსალაძეს, ა.თორაძეს, ლ.ისაკაძეს, ა.კორსანტიას. ამ სიის გავრცელებაც შეიძლება...

ახაჩატურიანის „გაიანე“ და „სპარტაკი“. ვის შეიძლება რაიმე სანინააღმდეგო ჰქონდეს დიდი კომპოზიტორის შესანიშნავი ქმნილებების წინააღმდეგ (მე თვითონაც მიუძღვენი ბალეტ „სპარტაკს“ საჟურნალო წერილი).

მაგრამ ხომ მანამდე, უფრო ადრე, ორჯერ – 1939 და 1946 წლებში მოსკოვის „დიდი თეატრის“ სცენაზე, ასევე ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, საარბრიუკენში (გერ), ლოდში (პოლონეთი) დადგმულ იქნა ზაქარია



ფალიაშვილის დიდებული ოპერა „აბესალომ და ეთერი“ და ასევე მრავალ თეატრში (მათ შორის, ერევანში 1985 წელს), ასევე უცხოეთში, არაერთგზის დადგმულა მისი შესანიშნავი ოპერა „დაისი“. ყოველივე ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი „ენციკლოპედიაში“.

აღსანიშნავია, რომ ზაქარია ფალიაშვილსა და მის „აბესალომ და ეთერს“, ასევე ოთარ თაქთაქიშვილს და მის ოპერა „მინდიას“ დიდი ადგილი აქვთ დათმობილი ცნობილ გერმანულ მუსიკალურ-თეატრალურ ენციკლოპედიაში Pipers Enzyklopädie des Musiktheaters, Band 4,6 (München, Zürich, 1991).

ვთვლი, რომ სპეციალური წერილი უნდა მიძღვნოდა ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“, რომელსაც საბჭოთა ბალეტის ისტორიაში განსაკუთრებული წარმატება ხვდა. იგი ტრიუმფული წარმატებით იქნა წარმოდგენილი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის II დეკადაზე მოსკოვში (1958) და შემდეგ დაიდგა ლენინგრადში (1960), ოდესაში (1961), კუიბიშეევში (1962), მოსკოვში (1991!), საზღვარგარეთ – ტოკიოში

(1962), ჰელსინკი (1974), ბუქარესტი (1976)!

ვთვლი აგრეთვე, რომ წიგნში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც მინიმუმ, ორი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი: ოთარ თაქთაქიშვილი და სულხან ცინცაძე. პირველი — ლენინური პრემიის ლაურეატი (!), რომლის ოპერაც „მთვარის მოტაცება“ დაიდგა „დიდ თეატრში“ (1977), ხოლო ოპერა „მინდია“ თბილისში (1961), ერევანში (1970!), მინსკში (1973), ტარტუში (1973), რიგაში (1974), ქუთაისში (1975), უცხოეთში — საარბრეუკენში (გფრ), ოლომოუცში (ჩეხოსლოვაკია), მაინიგენში (გდრ).

დავძენ აგრეთვე, რომ ლენინური პრემიის ლაურეატა სიიდან (გვ. 437) სპეციალურად არის ამოშლილი ო.თაქთაქიშვილი, რადგანაც მაშინ ლ.აკოფიანს მოუხდებოდა მის შესახებ წერილის დაწერა! რა უსინდისობაა!

საერთაშორისო აღიარება მოიპოვა აგრეთვე სულხან ცინცაძის შესანიშნავმა საკვარტეტო შემოქმედებამ, იგი მრავალი (მათ შორის, საზღვარგარეთული) კონ-

კურსისა და ფესტივალის ლაურეატია! ასევე აბსოლუტური დუმილია მის შესახებ.

წიგნში ვაწყდებით კიდევ ერთ წარმოდგენელ ფაქტს. წერილების გარეშე დარჩნენ გამოჩენილი რუსი მუსიკისმკვდნეები, მათ შორის, ლეგენდარული ი.სოლერტინსკი, ლ.მაზელი, რ.გრუბერი, ი.ნესტიევი, მ.არანოვსკი, რომელიც არის ავტორი-შემდგენელი მონუმენტური გამოცემისა „რუსული მუსიკა და XX საუკუნე“(!)...

წერილის დასასრულს დასახელებული მაქვს ჩემი საყურნალო და საგაზეთო ნაწერები (20-ზე მეტი), რომლებიც მე მივუძღვენი სომეხ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს.

P.S. ჩემს წერილს დართული აქვს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მიმართვა, რომელსაც ახლა ვთავაზობ მკითხველს მცირე შემოკლებით. მამ ასე:

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მიმართვა

დიდი სინანულით გვიხდება ლაპარაკი ამ უღირს ფაქტზე, რომელიც სცილდება საკუთრივ მუსიკალური ხელოვნების საცნობარო-ენციკლოპედიური გამოცემის ფარგლებს და რომელსაც აქტუალური საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

მისდევს რა თავისი ზოგიერთი „წინამორბედის“ კვალს, აკოფიანი მიზნად ისახავს დაამციროს ქართული მუსიკალური კულტურის მნიშვნელობა, რაც მსოფლიოშია აღიარებული.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამგვარი უსინდისო ტენდენციურობა ძალზე ვნებს საქართველოსა და სომხეთის მოძვე ხალხებისა და, კერძოდ, მუსიკოსებისა და პოეტების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთიერთობას, რომელიც ისეთი დიდებული სახელებით არის გასხვივსნებული, როგორებიც არიან საიათ-ნოვა, ა.წერეთელი და ო.თუმანიანი, ზ.ფალიაშვილი და ა.სპენდიაროვი, საბჭოთა პერიოდის ქართველი და სომეხი მუსიკოსების სახელოვანი წარმომადგენლებით.

მეგობრული ადამიანური და შემოქმედებითი კონტაქტები ჩვენს მუსიკოსებს შორის დღესაც გრძელდება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ლ.აკოფიანის მსგავსი პიროვნებები თავიანთი პროვოკაციული ქმედებებით ზიანს აყენებენ ხალხთა საუკუნეობრივ მეგობრობას.

უნებურად გვახსენდება აღმამფოთებელი ფალსიფიკაციის კიდევ ერთი ფაქტი, როდესაც რამდენიმე წლის წინ გერმანიაში იყიდებოდა ქართული ხალხური სიმღერების კომპაქტ-დისკები წარწერით: „სომხური ხალხური სიმღერები“.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი იმედოვნებს, რომ ამ მიმართვას გაგებით შეხვდება სომხეთისა და სხვა მეგობრული ქვეყნების მუსიკალური საზოგადოებრიობა და, თავის მხრივ, იგი გამაფრთხილებლად იქცევა იმათთვის, ვინც მომავალშიც შეეცდება ისტორიული სინამდვილის დამახინჯებას.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობა

სამეცნიერო და საშემსრულებლო ტრადიციების გადაკვეთაზე

ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმი*

თეონა ლომსაძე

ჩვენში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება და როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრებისა თუ ხალხური მუსიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. ის ერთგვარი კუნძულივითაა, რომელსაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ხომალდისთვის თავისი ნავსაყუდელი აქვს, რაც მას განსაკუთრებულ ფერადონებასა და სიკოცხლეს სძენს. თავისი არსებობის მანძილზე სიმპოზიუმმა არაერთი ქვეყნის მეცნიერსა თუ ფოლკლორულ ანსამბლს უმასპინძლა, ქართული მრავალხმიანობის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და იგი მსოფლიო მრავალხმიანობის კონტექსტში წარმოაჩინა. სულ უფრო იზრდება მასში მონაწილე უცხოელი მეცნიერების ქართული მრავალხმიანობის ფენომენით დაინტერესება, რაც, ზოგჯერ, მათი სამეცნიერო საქმიანობის მთავარ საგნადაც ქცეულა. ამის მაგალითია ფრანგი ეთნომუსიკოლოგი სიმპა არომი და ესპანელი მეცნიერი პოლო ვალეპო, რომლებიც ქართული მრავალხმიანობის სინტაქსს უკვე წლებია იკვლევენ.

სხვადასხვა წლებში სიმპოზიუმებზე წარმოდგენილი იყო მსოფლიო მრავალხმიანობის უნიკალური



რე-ინის კალსუარისა და ხალხურების ახალი ტანისა

კულტურები, როგორებიცაა აინების (იაპონია), ამერიკელი ინდიელების, ლიტვური, აფრიკული, ტიბეტური, კორსიკული, ავსტრიული და სხვ., რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართველი ეთნომუსიკოლოგების თვალსაზრისი და ცოდნა მსოფლიო მრავალხმიანობის კერების შესახებ. ამ სამეცნიერო ფორუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ქართველი მკვლევრებისთვისაც, რომელთაც საშუალება ეძლევათ

* სიმპოზიუმი ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის პატრონაჟითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ფინანსური მხარდაჭერით. დამფუძნებლები: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. სიმპოზიუმს ამზადებს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. წლებიდან სიმპოზიუმის ფარგლებში გამართული კონცერტები მოაწყობს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა.



კონფერენციაზე ბრუნო ნაშლის სკაიპ-ჩართვა ილინოისიდან

პირადად გაეცნონ უცხოური ეთნომუსიკოლოგიური სკოლების წარმომადგენლებს, კვლევის თანამედროვე მიდგომებსა თუ მეთოდებს, რაც მათთვის მომავალი სამეცნიერო საქმიანობის გარკვეული იმპულსიც ხდება. რაც მთავარია, სიმპოზიუმი შანსს აძლევს დამწყებ მკვლევრებს, თავადაც მიიღონ მასში მონაწილეობა და საკუთარი მოხსენებები სიმპოზიუმის სქელტანიან კრებულში უკვე ტიტულოვანი მეცნიერების ნაშრომების გვერდით იხილონ.

ტრადიციული მრავალხმიანობის წლებანდელი, რიგით VIII სიმპოზიუმი ამავდროულად საიუბილეოც იყო: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საერთაშორისო ეთნომუსიკოლოგიური კონფერენციების ჩატარების ტრადიციას 1984 წელს გამართული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი კონფერენციით ჩაეყარა საფუძველი. მის სათავეებთან იდგნენ ისეთი სახელოვანი მეცნიერები, როგორებიც არიან იოსებ ჟორდანიას, კუკური ჭოხონელიძე, ანზორ ერქომაიშვილი და ცნობილი რუსი ეთნომუსიკოლოგი იზალი ზემკოვსკი, რომელიც წლებანდელი სიმპოზიუმის საპატიო მონაწილე და სტუმარი გახლდათ. 1990-იან წლებში დროებით შეწყვეტილი ტრადიცია თბილისის 1998 და 2000 წელს განახლდა. 2001 წელს იუნესკოს მიერ ქართული მრავალხმიანი სიმღერის კაცობრიობის ზეპირი და ხელთუქმნელი მემკვიდრეობის შედევრად აღიარების ფაქტმა კი 2002 წელს კონფერენციის მასშტაბი გაზარდა

და და მან სიმპოზიუმის სახელით განაგრძო არსებობა. სწორედ პირველმა სიმპოზიუმმა განსაზღვრა მომდევნო სიმპოზიუმების წარმომადგენლობა თუ ძირითადი გეზი, მანვე მოამზადა ნიადაგი კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაარსებისათვის.

წინა წლების მსგავსად, წლებანდელი სიმპოზიუმიც თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ოთხი დღის მანძილზე მასში 25 უცხოელმა და 18 ქართველმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. სიმპოზიუმის სპეციალური თემა იყო ეროვნული უმცირესობების მრავალხმიანობა, წარმოდგენილი მოხსენებებით ავღანეთის ნურისატანის, ტაივანელი ამისების, პანკისელი ქისტებისა და სხვ. მუსიკის შესახებ. სესიები მიძღვნა მრავალხმიანობის ზოგად თეორიასა და მუსიკალურ-ესთეტიკურ ასპექტებს, ტრადიციული მრავალხმიანობის რეგიონულ სტილებსა და მუსიკალურ ენას, მრავალხმიანობას საკრავიერ, სასულიერო მუსიკაში, შემსრულებლობას და ა.შ. ორი საპანელი მოხსენება შეეხებოდა ბერლინის ფონოგრამარქივისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ახლახან განხორციელებულ ერთობლივ პროექტს „ქართული ჩანაწერები გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან (1916-1918)“.

ტრადიციულად, კონფერენციის ცალკე ბლოკი დაეთმო სასტენდო მოხსენებებს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა მკვლევრებმა საკუთარი ნაშრომების მოკლე პრეზენტაციები წარადგინეს.

წლებანდელი სიმპოზიუმის განსაკუთრებული მოვლენა იყო ცნობილი ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, რამდენიმე საბაზისო ეთნომუსიკოლოგიური წიგნის ავტორის, ბრუნო ნეტლის სკაიპ-ჩართვა ილინოისიდან, რომელმაც თავისი მოსაზრებები გაგვაცნო ამერიკელი ინდიელების მრავალხმიანობის შესახებ და საკმაოდ საინტერესო დისკუსიაშიც ჩაება.

ნეტლი ყველაზე პრესტიჟული ეთნომუსიკოლოგიური ფილდოს, ფუმიო კოიკუმის პრემიის ლაურეატია. მის გარდა სიმპოზიუმს ამ პრემიის კიდევ სამი მფლობელი სტუმრობდა: ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის უცხოური ბიუროს ხელმძღვანელი იოსებ ჟორდანიას (ავსტრალია/საქართველო), გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგები სიმპა არომი (საფრანგეთი) და იზალი



უფლისციხეა. გორალეზისა და უხსოელი სსუპირეპის მიერ სკონსუნაჲრად გაგართული კონსერვაციონი

ზემოკოვსკი (აშშ/რუსეთი). ეს უკანასკნელი წელს სიმპოზიუმს საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვია და მრგვალ მაგიდას (თემა: *მოდის, ვისაუბროთ ბურდოშე*) თავმჯდომარეობდა. მან მეუღლესთან, ცნობილ ეთნომუსიკოლოგ ალმა კუნანბაევასა (აშშ/ყაზახეთი) და იოსებ ჟორდანიასთან ერთად სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ კონსერვატორიაში რამდენიმე ლექცია ჩაატარა.

ასეთი ტიტულოვანი და საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული მეცნიერები თბილისის სიმპოზიუმის ხშირი სტუმრები არიან, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს მის პრესტიჟს და კიდევ უფრო ზრდის სამეცნიერო დონეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორის წოდება, იზალი ზემკოვსკის შემდეგ, წელს უკვე სოსო ჟორდანიას, სიმპა არომს, პოლო ვალეჟოსა და დიტერ ქრისტენსენს მიენიჭათ. ეს უკანასკნელი ყველა მანამდე ჩატარებული სიმპოზიუმის მონაწილე იყო და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა 2001 წელს იუნესკოს მიერ ქართული

მრავალხმიანი სიმღერის აღიარებაში.

როგორც ყოველთვის, სიმპოზიუმის გამორჩეული მოვლენა იყო ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ გადაღებული ფილმების ჩვენება. წარმოდგენილი იყო სამი დოკუმენტური ფილმი: რენატო მორელის (იტალია) ფილმი „სუ კონკორდუ“ ერთ-ერთ სარდინიულ სოფელში გამართულ ვნების კვირის რიტუალებს ასახავდა; ჰუგო ზემპის (საფრანგეთი) ფილმი „შევიცარიული იოდლი – 30 წლის შემდეგ“ ამ უნიკალური ტრადიციის დღევანდელ გამგრძელებლებსა და მათ შემოქმედებაზე მოგვითხრობდა. ეკვპარდ პისტრიკისა და ბიორნ რაინჰარდტის (გერმანია) ერთობლივი ფილმი „პოლიფონია – ალბანეთის მივიწყებული ხმები“ საოცრად რეალისტურად გვიხატავდა ალბანური სოფლის ცხოვრების სურათებს და მასში მრავალხმიანობის მქრქალ ანარეკლს. ეს სამი, თითოეულ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ფილმი ერთ მთლიანობას ქმნიდა, რომლის ცენტრშიც მრავალხმიანობის და მისი

თანამედროვე სამყაროში არსებობის საკითხი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი.

როგორც ყოველთვის, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია წლევიანდელი სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილმა, რომელსაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გაუწია ორგანიზება. ტრადიციისამებრ, კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში გამართულ ფოლკლორულ კონცერტებზე წარმოდგენილი იყო ქართული და მსოფლიოს მრავალხმიანობა. ტრადიციული ტაივანური მრავალხმიანობის შემსრულებელი ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების ჯგუფმა თავისი პირველქმნილი, არქაული ჟღერადობებით, ავთენტური, ხალხის ყოფასთან მჭიდროდ დაკავშირებული სამემსრულებლო მანერითა და ეგზოტიკური სამოსით განსაკუთრებული ფერადოვნება შემატა წლევიანდელი სიმპოზიუმის საკონცერტო პალიტრას. შთამბეჭდავი იყო უკრაინული თუ თურქული ტრადიციული ნიმუშები, ქართული მრავალხმიანობა ავსტრალიელი მომღერლების ხალასი და ემოციური შესრულებით. იოსებ ჟორდანიასა და ნინო ციციშვილის ავსტრალიელი მეგობრები, არა მარტო სიმპოზიუმს, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც სტუმრობენ ერთგულად და მათ ყოფასა და კულტურას ეცნობიან.

უცხოელი სტუმრებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო ქართული რეგიონული ანსამბლების კონცერტი, რომლის მონაწილეებმაც სცენაზე გააცოცხლეს სოფლის ტრადიციული ატმოსფერო და ქართული ფოლკლორის დიალექტური მრავალფეროვნება უცხოელებისთვის კიდევ უფრო ცხადად აღსაქმელი გახადეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარებული ლატვიის სახელმწიფო გუნდისა და ანსამბლ „დიდგორის“ ერთობლივი პროექტის – „ქართული მოტივები“ თბილისური პრემიერა, რომელიც ლატვიის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. საღამო, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესწრებოდნენ, საქართველოსა და ლატვიის კულტურის მინისტრებმა საგანგებო სიტყვით გახსნეს.

თავისთავად, განსხვავებული მუსიკალური ტრადიციების მქონე მუსიკოსების ურთიერთთანამშრომლობა

მეტად პოზიტიური მოვლენაა, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში, ის უცხოელი კომპოზიტორების მიერ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ახლებურად გააზრების ცდას წარმოადგენდა. ისტორიულად ქართულ ფოლკლორს არაერთი უცხოელი კომპოზიტორი მიმართავდა და მას უშუალოდ თუ გაშუალებულად იყენებდა საკუთარ შემოქმედებაში. თუმცა ლატვიურ-ქართული პროექტის შემთხვევაში ქართული მრავალხმიანი სიმღერა ის მყარი ელემენტი იყო, რომლის გარშემოცობას ქსელივით იქსოვებოდა მთლიანი კომპოზიცია და იქმნებოდა არა რაღაც ჰიბრიდული წარმონაქმნი, არამედ თვისობრივად ახალი მუსიკალური ქმნილება, რომელშიც ქართული და ევროპული მუსიკა საკუთარ ინდივიდუალობას ინარჩუნებდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლატვიის სახელმწიფო გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი და ბგერის ფლობის საოცარი ოსტატობა. ვფიქრობ, ასეთი კოლექტივის სტუმრობა არა მარტო VII სიმპოზიუმის, არამედ, საზოგადოდ, ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ამ პროექტის ექსპერიმენტული ხასიათი გარკვეულწილად განაგრძო მომდევნო დღეს გამართულმა სიმპოზიუმის დახურვის საღამომ, რომელშიც ქართველი და უცხოელი შემსრულებლები იღებდნენ მონაწილეობას. კონცერტის დასკვნით ნომრად ყველა მონაწილემ ერთად შეასრულა ქართული პოლიფონიის ერთ-ერთი მწვერვალი – ხასანბეურა. ამ ექსპერიმენტის მთავარი თავისებურება კი ის გახლდათ, რომ ყოველი ტრიო ხასანბეურას განსხვავებულ ვარიანტს მღეროდა, ბოლო მუხლში კი მათი ვარიანტების ერთობლიობამ სონორული, კოსმიური ჟღერადობა შექმნა და აუდიტორია აღაფრთოვანა.

ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმმა, მონაწილეების აზრით, წარმატებით ჩაიარა. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლდეში ნაკვეთმა უძველესმა ქალაქმა უფლისციხემ და იქ გორელებისა და უცხოელი მომღერლების მიერ სპონტანურად გამართულმა კონცერტმა, რომელიც სიმპოზიუმის კულტურული პროგრამის ფარგლებში გაიმართა და, რომელიც, ვფიქრობ, წარუშლელ მოგონებად დარჩება მათ მესხიერებაში. ■

ნასო მოისწრაფიშვილი

გასული საუკუნის 60-იან წლებში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი რომ დავამთავრე და ჯერაც ერთობ მოკრძალებულად ვცდილობდი პირველი ნაბიჯების გადადგმას ამ სფეროში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, როგორც თავიანთ უმცროს კოლეგას, უანგაროდ ამომიდგნენ გვერდში ჩემი ყოფილი მასწავლებლები, ფრიად სახელმძღვანელო და აღიარებული მუსიკისმცოდნეები – ბატონები ლადო დონაძე, გივი ორჯონიკიძე, ანტონ (ტატული) წულუკიძე, ოთარ ჩიჯავაძე... სწორედ მათ უნდა ვუმადლოდე ჩემს მიერ ახალგაზრდობის პერიოდშივე მოპოვებულ შესაძლებლობებს უფროსი რედაქტორისა და აქტიური ავტორის რანგში მემუშავა



ჩემი უპვირფასესი უფროსი მეგობარი

კომპოზიტორ შალვა მშველიძის დაბადებიდან 110 წლისთავისა და გარდაცვალებიდან 30 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს სახელმწიფო რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში და შემდგომ – ახლად დაარსებულ გამომცემლობა „ხელოვნებაში“; სტუდენტობის პერიოდიდან მოყოლებული, ბატონი ოთარ ჩიჯავაძის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ვმონაწილეობდი ფოლკლორულ ექსპედიციებში – გარეკახეთის, ზემო იმერეთისა და გურიის სხვადასხვა რაიონში. სწორედ ამ გამოცდილებამ შემიძინა განსაკუთრებული სიყვარული და პროფესიული ინტერესი ეროვნული ხალხური შემოქმედების მიმართ, რაც გარკვეული ხნის შემდეგ აისახა კიდევ ჩემს რამდენიმე ნაშრომში (მონოგრაფიებსა და სალხური სიმღერების კრებულში)... და რაოდენ გამაოცა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ბატონ გულბათ ტორაძის მოულოდნელმა გამოხმაურებამ

ჩემს ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარზე – მონოგრაფიაზე „ავქსენტი მეგრელიძე“: მის მიერ ჟურნალ „მუსიკალურ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა ერთობ კეთილმოსურნე დადებითმა რეცენზიამ სახელწოდებით „ნივნიც ამას ჰქვია“ (!) მაღლიერების უსაზღვრო გრძნობით აღმავსო.

ღიას, ჩემს ცხოვრებაში თითოეულმა მათგანმა დაიკავა არა მარტო უბრალოდ მეტორის, არამედ ერთგული, კეთილმოსურნე უფროსი კოლეგისა და უანგაროდ გზის გამკვალავის ადგილი, რითაც თავს უსაზღვროდ ბედნიერად მივიჩნევ. ყოველ მათგანთან ურთიერთობა იყო და არის მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. მონივნებით თავს ვხრი თითოეული მათგანის წინაშე.



ფგანან: შალვა აგვანიფარაშვილი, შალვა მშველიძე
სხეფან: მიხაილ ზაგრიფოშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, გრიგოლ კილაძე

და მანც, ჩემს შეგნებულ ცხოვრებას (ადამიანურ-საც და პროფესიულსაც) ათეული წლების მანძილზე განსაკუთრებით აფერადებდა და ამდიდრებდა მეგობრობა და ახლო ურთიერთობა დიდებულ ქართველ კომპოზიტორთან, საქართველოს სახალხო არტისტთან, ორგზის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის, ზ.ფალიაშვილისა და ინდოეთის ჯ. ნერუს სახელობის პრემიების ლაურეატთან, მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწესთან და უბრალოდ, შესანიშნავ ადამიანთან, ბატონ შალვა მშველიძესთან და მის ოჯახთან.

ბატონი შალვაც ჩემი პედაგოგი იყო კონსერვატორიაში. იგი საკრავთმცოდნეობის კურსს გვიკითხავდა და ლექციების შემდეგ კარგადაც გვახალისებდა საინტერესო მოგონებებით, ხუმრობებით, ანეკდოტებითაც კი. სწორედ იმ პერიოდში (1965 წელს) მან გამოსცა საკრავთმცოდნეობის ფუნდამენტური სახელმძღვანელო, რომელსაც დღესაც ვერ აუვლის გვერდს ვერცერთი

კომპოზიტორი, დირიჟორი, ნებისმიერ მუსიკალურ საკრავთან და საზოგადოდ – პარტიტურასთან დაკავშირებული ვერცერთი შემსრულებელი და, რა თქმა უნდა, ვერცერთი მუსიკისმცოდნე... ბატონი შალვას მიერ არაჩვეულებრივად თბილი ავტოგრაფით მოძღვნილი ეს სახელმძღვანელო ჩემი ბიბლიოთეკის გამორჩეული ნიგნია და მრავალგზის შემშველებია კიდეც ამა თუ იმ პარტიტურაზე მუშაობის, მისი გარჩევა-გაანალიზების პროცესში.

ბატონ შალვა მშველიძესთან ჩემი ურთიერთობა განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ან განსვენებული ბატონების ლადო დონაძისა და ტატული წულუკიძის რეკომენდაციით უფროს რედაქტორად დავიწყე მუშაობა იმხანად ახლად დაარსებულ გამომცემლობა „ხელოვნებაში“, რომელიც ტერიტორიულად მდებარეობდა იმჟამინდელ პლენანოვის გამზირზე, ზუსტად მეორე სამუსიკო სასწავლებლის პირდაპირ.



პირველ რიგში ნიკოლოზ ნარიშკინი; მეორე რიგში: ოთარ თაყაიშვილი, რევაზ ლალია, სალხან ცინცაძე, შალვა შაველიძე, რევაზ ბაჩიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, ოთარ თაყაიშვილი

იქ კი სწავლობდა ბატონი შალვას გოგონა ნანა, რომელსაც სასწავლებლამდე შორ მანძილზე მეგობრობას მამა უწევდა ხოლმე. მიაცილებდა ბატონი შალვა თავის პირმშოს საკლასო ოთახამდე და დროის გასაყვანად, როგორც წესი, გამომცემლობაში გვესტუმრებოდა ხოლმე. რედაქციის ყველა თანამშრომელი, ვისაც სამუშაოდან თავის ალების შესაძლებლობა გვქონდა, ვიკრიბებოდით ჩემს ოთახში და ჩვენი პატივცემული და იმავდროულად საოცრად შინაური სტუმარი დაახლოებით 2 საათის განმავლობაში გვიამბობდა ხოლმე თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, თანაც ამ ნაამბობს ხალისიანი ამბებითაც აღამაზებდა... მე კი ვკვდილობდი ყველა მისი ნაამბობი, მეტადრე ცხოვრებისეული მოგონებები, ქალაქში დამეფიქსირებინა.

იმ პერიოდში არაერთგზის თავადაც ვსტუმრობდი ხოლმე ბატონ შალვასთან, მისი უკეთილშობილესი მეუღლის — ქალბატონ თინას გულითადი მიწვევით.

ჩემთვის ისინი ყველაზე ძვირფასი უფროსი მეგობრები იყვნენ. და ვიდრე ქალბატონი თინა სამზარეულოში ფუსფუსებდა, ჩვენ კომპოზიტორის შემოქმედებით სახელოსნოში ვისხედით და მისი მოღვაწეობის სახელებზე ვსაუბრობდით. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე საინტერესო და სასიამოვნოდ მოსაგონარი დღეები.

ახლაც ცხადლივ მიდგას თვალწინ ბატონი შალვას შემოქმედებითი სახელოსნო... როგორც კი ამ ოთახის ზღურბლს პირველად გადავაბიჯე, უმალ წიგნების სიმრავლე მომხვდა თვალებში: როიალზე, მაგიდაზე, კარადებში, კარადების თავზეც კი — ყველგან წიგნებისა და ნოტების ვეებერთელა წყებებია. იქვე, კედელზე ბატონი შალვას თანამედროვე უდიდეს კომპოზიტორთა — დმიტრი შოსტაკოვიჩის (1906 —1975), რენგოლდ გლიერისა (1874 —1956) და არამ ხაჩატურიანის (1903 — 1978) სურათებია ავტოგრაფებით. როიალზე ლამაზად მოხატული მაღალი ფაიფურის ლარნაკი დგას:



შალვა მშველიძე, სარგაი პროკოფივი, არამ ხაჩატურიანი

თითქოს ცას ებჭინებაო, მალა იზიდება დიადი სვეტიცხოველი. „შენი ხელთქმნილი, დიდო ოსტატო, საუკუნეებს ესაუბრება“, — უმალ ვცნობ წარწერას ნახატზე: „დიდოსტატის მარჯვენის“ დასკვნით სიტყვებს. მოპირდაპირე კედელზე კი ჭედური ნახატია — ხუროთმოძღვარ არსაკიძის დაძარღველ ხელზე დაყრდნობილა საუკუნო დიდების ძეგლი, გულდასმით, სიყვარულით რომ გამოუჭედავს მხატვარს. კვლავ „დიდოსტატი“! სამუშაო მაგიდის ზემოთ კი კედლიდან ოპერა „დიდოსტატის მარჯვენის“ შემქმნელი დიდი ოსტატი „დამცქერის“, მაღალი, ნათელი შუბლითა და ხშირ წარბ-წამწამში ჩაფლული მოცისკროვნო თვალებით.

თავად კომპოზიტორი კი სამუშაო მაგიდას უზის, წარბები შეუკრავს, ყურადღებით დასცქერის პარტიტურის ფურცლებს, ერთნაშს დაფიქრდება და შემდეგ წერს; არა, კი არ წერს, ხატავს... მძივებით იკინძება ლამაზი, ოსტატური კალიგრაფიით შესრულებული ნოტები. ამ ფურცლებზე იბადება ახალი ნაწარმოებები: სიმფონიური პოემები, სიმფონიები, ოპერები... და ავტორი მოუთმენლად ელის თითოეულის შესრულებას...

მუშაობა რომ შეწყვიტა და თავი აიღო, სალამთან ერთად კითხვა შევაგებე მასპინძელს: ვთხოვე ეამბნარიამე თავისი შემოქმედების შესახებ და მისთვის ყვე-

ლაზე საყვარელი და მნიშვნელოვანი ნაწარმოებით დაეწყო. პასუხზე არც დაფიქრებულა, ისე გაშალა მარჯვენა ხელის მტევანი მაგიდაზე და „რომელიმე თითი მომჭერიო“ — შემომთავაზა. მივუხვდი: ჭეშმარიტი შემოქმედისათვის ხომ ყველა „შვილი“ ძვირფასია, მისთვის ყველას „ტკივილი“ ერთნაირი სატკივარია. მანაც ვერ გამოარჩია ვერცერთი მათგანი. თუმცა თვალი მაინც გაუპარა მაშინ ახლად შექმნილი, ჯერ კიდევ შეუსრულებელი, აუმეტყველებელი ორი ნაწარმოებისაკენ, ოპერა „ჯარისკაცის ქვრივისა“ და მეოთხე სიმფონიისაკენ, ჯერაც მხოლოდ თავისების, შემსრულებლისა და მსმენელის მსჯავრს რომ ელოდნენ. მერე კი სულ თავიდან დაიწყო.

შალვა მშველიძის ნაამბობი

(ეს და შალვა მშველიძის ქვემოთ მოყვანილი ყველა სხვა მოგონება ქვეყნდება პირველად).

დავიბადე 1904 წლის 15 (ახალი სტილით 28) მაისს. ჩემი ბავშვობა თავდაპირველად დაკავშირებული იყო სოფელ მჭადიჯვართან და იქაურ გლეხებთან. მერე კი თბილისის სასულიერო სასწავლებელში და ხაშურის გიმნაზიაში მივიღე განათლება. რამდენი გატაცება მქონდა ჭაბუკობის წლებში!

გამოვდიოდი როგორც მსახიობი, პოეტი, ხალხური სიმღერის გუნდის ხელმძღვანელი... მერე იყო შეხვედრა ცნობილ სახალხო მომღერალსა და საგუნდო ლოტბარ ძუკუ ლოლუასთან, რომელიც სამკურნალოდ იმყოფებოდა სურამში და იქ დიდი გუნდი შექმნა. გუნდის რეპერტუარში იყო გურიის, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის, სამურზაყანოს, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული ხალხური სიმღერები. შემდეგ კი ძუკუ ლოლუას საქმე, მისივე რჩევითა და ნაქვებით, მე თვითონ განვაგრძე.

ჩემი ცხოვრება სამუდამოდ დავუკავშირე თბილისს 1922 წლიდან. ვსწავლობდი და ვმუშაობდი სხვადასხვა გუნდში. კონსერვატორიაშიც თავდაპირველად საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტს მივამუშრე. შემდგომ, როგორც მუყაითი სტუდენტი, უგამოცდოდ ჩამრიცხეს საკომპოზიციო ფაკულტეტზე. კომპოზიციის რთულ ხელოვნებას ვეუფლებოდი პროფესორების სერგეი ბარხუდარიანისა და მიხეილ ბაგინიოვსკის ხელმძღვანე-

ლობით. თანაც ვმოგზაურობდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ვაგროვებდი ხალხური მუსიკის თვალ-მარგალიტებს, ვითვისებდი მათ, საკუთარ შემოქმედებით ქურაში ვცხრილავდი და მერე ქალაღღზე გადამქონდა

შემოქმედებითი მუშაობა დავიწყე 1928-1929 წლებში. შევიძინე რა საკმაო მუსიკალური განათლება და სათანადო საკომპოზიციო ტექნიკა თბილისის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, მე უკვე მზად ვიყავი მომეკიდა ხელი რომელიმე ჟანრისათვის და მეცადა ამ ჟანრში რაიმე ნაწარმოების დაწერა. ამ მდგომარეობას კონკრეტულად ხელი შეუწყო ჩემმა მრავალმა სამუსიკო ექსპედიციამ და მათგან კი მეტადრე 1929 წლის ზაფხულზე, ჩემი შემოქმედებითი მუშაობის პირველ წლებში მოწყობილმა სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიციამ თუშ-ფშავ-ხევსურეთში. მაშინ ფეხით შემოვიარე ბარისახოს, არხოტის, შატილის, შუაფხოს, ჩარგალის, ალვანისა და თუშთა რამდენიმე რაიონისა და სოფლის შესანიშნავი და ლამაზი ადგილები, გავეცანი იქაური მოსახლეობის მკვიდრთ; მთიელებთან ვაღამებდი და ვათენებდი, გულისყურით ვისმენდი მათგან აუარებელ ხალხურ ლეგენდას, ზღაპარს, ამა თუ იმ ამბებსა და, რაც მთავარია, ხალხურ სიმღერებსა და ხალხურ საკრავებზე შესრულებულ მელოდიებს. ამ მდგომარეობამ ჩემში გამოიწვია დიდი ინტერესი მათდამი, დიდი გატაცება და რომანტიკული აღქმა.

თბილისში დაბრუნებული დავწინაფე ზოგად ლიტერატურასა და გამოკვლევებს მთაზე. ამასთანავე, ფართოდ ვმიფრავდი მუსიკალურ ნაწარმოებთა ჩანაწერებს, რაშიც სხვადასხვა სისტემის ფონოგრაფები მეხმარებოდა.

მთელი ჩემი არსება გაჟღერებული იყო მთის მუსიკის სურნელებით, მთიელთა ინტონაციებით; ირგვლივ სულ მთიელები მეზმანებოდნენ: მათი სახეები, მიხრა-მოხრა, ჩვევები, ურთიერთდამოკიდებულება...

და აი, ერთხელ, ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, როიალთან რომ დავჯექი სამუშაოდ, იმპროვიზირების დროს თავი იჩინეს უცნაურმა ხმებმა, რაც მეც კი მეხამუშა. გაჩნდა უჩვეულო, მაგრამ საინტერესო სახე მელოდიისა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმასთან, რაც მე ასე მიზიდავდა უკანასკნელ პერიოდში;



ვალვა მხვალისა, დიმიტრი ზოსსაკოვიჩი

ამასთანავე, სრულიად ახალი და თანაც მახლობელი. რომელიღაც ხალხური კრებულისა და სასწრაფოდ ამოვიღე ლექსი, რომელიც სავსებით ეხამებოდა შექმნილი მუსიკის ინტონაციებს, მის სახეს. ასე, სულ რამდენიმე საათში დაიწერა ჩემი პირველი რომანსი „თუშის ქალები“. მეორე-მესამე დღეს კი მას „ოროველა“ მოჰყვა. იგი უკვე ყოველგვარი დაძაბულობისა და სიძნელების გარეშე წარმოიშვა. და მე ბედნიერი ვარ იმით, რომ „თუშის ქალები“ და „ოროველა“, შექმნილნი უცბად, როგორც იტყვიან, „ერთი ამოსუნთქვით“, დღესაც ცოცხლობენ. მათ ასრულებენ ესტრადებზე, რადიოს საშუალებით კონსერვატორიისა და სამუსიკო სასწავლებლების სტუდენტები. ორივე ეს ნაწარმოები პედაგოგიური ლიტერატურის მუდმივ ნიმუშებად არის ქცეული და 7-8-ჯერ არის გამოცემული.

ავტორისაგან:

მაშინ კომპოზიტორი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი; უფრო გვიან მან ასპირანტურის კურსიც გაიარა ლენინგრადისა და თბილისის კონსერვატორიებში, კომპოზიტორ ვლადიმერ შჩერბაჩოვის ხელმძღვანელობით. იგი დღენიადგ ხალხში დადიოდა, ეცნობოდა და

სწავლობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ფოლკლორს. ბავშვობაში ქართლის მშობლიურ სოფლებში გაგონილი, შემდეგ კი ცნობილი სახალხო მომღერლისა და საგუნდო ლოტბარის ძუკუ ლოლუას ეთნოგრაფიულ გუნდში შესწავლილი ხალხური განდი დედას-ლევანას, ძმები ჩავლეიშვილებისა და სხვა ცნობილი სახალხო მომღერლების ნამღერ-ნაჯაფით მდიდრდებოდა.

7 წელი იმოგზაურა ახალგაზრდა შალვა მშველიძემ საქართველოს მთასა და ბარში, უკვე განაფული ფეხითა და ყურით სოფელ-სოფელ შემოიარა მშობლიური მხარე – აჭარის მთებიდან ვიდრე ფშავ-ხევსურეთამდე და სვანეთის ზვიად კლდეებამდე, ზედმიწევნით შეისწავლა საქართველოს ყოველი კუთხის მუსიკალური დიალექტები, განსაკუთრებით კი მთის მუსიკამ გაიტაცა.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

ჩემს მიერ მთის მუსიკით გატაცება ისე დიდი იყო, რომ მის ღრმა სუნთქვასა და ზეგავლენას წლების მანძილზე განვიცდიდი და ყველა ახალი ნაწარმოები, ცოტად თუ ბევრად, მასთან და ჩემს მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებთან იყო დაკავშირებული. ასე წარმოიშვა „ხევსურული ნანა“, რომელიც შემდეგ „ქალთა ცეკვად“ შევიდა ოპერაში „ამბავი ტარიელისა“ (იქ, სადაც ქალიშვილები ართობენ თინათინ-მეფეს); სიმფონიური სურათი „ფშაური“, „გახა წიკლაური!“ – ვარლამ ყურელის ტექსტზე, რომელსაც წარმატებით ასრულებდნენ ან განსვენებული მომღერლები – ლადო გერმესაშვილი, აპოლონ დოჭვირი, გიორგი ლომიძე და გიორგი ტოროშელიძე, ყველგან მე ვიყენებდი ახალ, განსაკუთრებულ კილოს, რომლის მსგავსი, როგორც ჩამოყალიბებული კილო, არსად არ მოიპოვება. იგი 1929 წელს ფშავეთში მოგზაურობის დროს აღმოვაჩინე და მას „ფშაური კილო“ ვუწოდებ.

ავტორისაგან:

ფშაური კილო... სწორედ მისგან მოდის ფშაური ცალფა სიმღერების თავისებური კოლორიტი, საქართველოს მთის ლანდშაფტის მიმზიდველობა, ვაჟა-ფშაველას სამყაროს განუმეორებლობა, – პირქუში, იდუმალი არქაიზმით აღსავსე... შალვა მშველიძემ

ხშირად ასე ამბობენ: „მან საკუთარი თავი იპოვა მის მიერ აღმოჩენილ „ფშაურ კილოში“, რომელიც ქართულ მუსიკაში თავდაპირველად მშველიძის სიმფონიურ სურათ „ფშაურში“ გამოჩნდა და იმთავითვე მისი შემქმნელის დიდი შემოქმედებითი ინდივიდუალობა და კილოს სპეციფიკური თავისებურებები აუწყა მსმენელს.

„მუსიკა ის ტექმარტი სტიქიაა, რომლიდანაც აღმოცენდება და რომელშიაც ბრუნდება ყოველგვარი პოეზია!“ – ამბობდა გენიალური გოეთე. განა შეიძლება ფშავი იხილო, საქართველოს მთის მუსიკალურ ფოლკლორს ეზიარო, მისი პოეზია შეისისხლხორცო და გენიოსი ვაჟა, თავად ფშაველი, შენთვის ყველაზე მახლობელი და მშობლიური არ გახდეს. და გოეთესი არ იყოს, მშველიძის მუსიკა იმ სტიქიად იქცა, რომელმაც ექსტაზურად შეიგრძნო და ხელახლა აღმოაცენა ვაჟას დიდებული პოეზია, გენიალური აღმონახეთქი ყოველივე სინმინდისა და სიკეთის, ადამიანსა და მთელ ბუნებაში რომ შეგვხვედრია; უსაზღვროდ ფართო ჰორიზონტის პოეზია, ბუჩქის ძირას ობლად მოსული იის სინაზიდან – მრისხანე მთის არწივის სიმაშაქმდე; პოეზია, თავად უკვდავი, როგორც თვითონ სიცოცხლე ახოვანი მწვერვალის სახით აღიმართა მშველიძის მთელ ადრინდელ შემოქმედებითს მთავრეხილზე ვაჟას გენიით შთაგონებული სიმფონიური პოემა „ზვიადური“.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

სიმფონიური პოემის წერა რომ დავინწყე, მართალია, ჩემთვის მაგალითებად ჩაიკოვსკისა და რიხარდ შტრაუსის პოემები მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ შინაარსობრივად და ფორმით იგი თავისებური და სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. პროგრამად ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ ავირჩიე. „ზვიადურის“ მთავარი მომენტები ძირითადად ვაჟას პოემის სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება. თავისებურად გადაგწყვიტე მხოლოდ ეპილოგი. გახსოვთ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ეპილოგი? სადაც პოეტი დასძენს, რომ „ღამდამობით კლდისთავს წადგება ხოლმე ჯოყოლა და სასაფლაოსკენ გასძახის თავის სტუმარს; იქიდან ზვიადურის ფარხმლიანი აჩრდილი წამოვა, მდუმარედ

მიესალმებიან ძმობილები ერთმანეთს, მწუხარე სახით ჩნდება მათთან აღაზაც და მთაზე, ცეცხლთან,

„ვაჟაკობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და დაძმობისასა“.

მაგრამ რაღაც შავი, სქელი ჯანღი ბურუსად გადაფარება მათ და შეერთების საშუალებას არ აძლევს“.

ამ სტრიქონებს შორის, სადაც ავტორმა არ გახსნა ფრჩხილები ხევსურეთ-ქისტეთის ურთიერთობისა, მე არ შემეძლო არ დამენახა ის ტრიუმფი, რაც ხალხთა ძმობისა და მეგობრობის შედეგია. სიმფონიური პოემის გაბრწყინებულ, ნათელ ფინალში ორი გმირის მეგობრობის ამსახველი მუსიკა მივეცი და ნაწარმოები ამ იდეის გამარჯვებით დავასრულე.

სიმფონიურ პოემაზე მუშაობა უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ქისტი მუსას სახეს რომ მივადექი, უსიამოვნო სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდი. ბოროტი, ვერაგი, მთის ადათით გამსჯვალული ბებერი ქისტი, — ძნელი გადასაწყვეტი იყო ეს პრობლემა ჩემთვის, მეტადრე ძნელი იმიტომ, რომ ამგვარი სახე პირველად ჩნდებოდა ქართულ მუსიკალურ კულტურაში.

მრავალი ვარიანტი დავწერე და მრავალიც მოვსაპე მუსას სახის ძიებაში. დღეს რომ მომეწონებოდა მისი გაცოცხლება მუსიკაში, ხვალ მიამიტურად მეჩვენებოდა იგი. როგორღაც, დიდი მასალის გადათვალეირებისა და ფიქრის შემდეგ, ცალკეული დამახასიათებელი ტაქტები ვიპოვე დაღესტურ-ლეკური, ავარული, ყუმიხური, ყაბარდოული და ჩერქეზული კილოკავებისა, ბევრი მათგანი შევართე, მერე დავხვეწე და განვაზოგადე. ასე შეიქმნა პოემის მეორე ნაწილი — ბებერი ქისტი მუსას სახე, მის მიერ „ჩონგურზე“ დამღერებული „სიმღერები“, რომელთა ნიღაბქვეშ მისი ბნელი ზრახვები ხორციელდება.

ავტორისაგან:

კომპოზიტორი შლის 4 ვეებერთელა ტომს გულმოდგინედ აკინძული ამონარიდებით ქართულ, რუსულ, სომხურ, უკრაინულ, ესტონურ, ლატვიურ, ბულგარულ, პოლონურ, ინდურ და სხვა ენებზე.

„ზვიადური“ ყამირ ნიადაგზე აღმოცენდა“ — ვკითხულობ სტრიქონებს, რომელიც შალვა მშველიძის მუსიკალურ მკვლევარს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ლადო დონაძეს ეკუთვნის. — „მის მუსიკას მინიანი ფესვები აქვს და გვიჩვენებს თავისი უშუალობითა და სიახლით, მუსიკალური ენის სიმძაფრითა და ძარღვიანობით, რომ მისი ავტორი ქართულ მუსიკაში შემოვიდა ნამდვილი ეპიკური სულით და მას თან შემოჰყვა მთის საქართველოს ბუნების სინოყვრე და სურნელება!“.

მთის პოეზიითა და მთის პოეტის, გენიალური ვაჟას შემოქმედებით — პოემა „გველისმჭამელით“ — არის შთაგონებული მშველიძის სიმფონიური პოემა „მინდია“.

შალვა მშველიძის ნაამბობი

ადამიანის კაცთმოყვარეობის, კეთილშობილების, საუკეთესო თვისებების გამოვლინებებისა და პატრიოტული მოვალეობის საკითხები მუდამ აღელვებდა და აინტერესებდა ყველა შემოქმედს. მეც ვეძებდი ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც ეს საკითხები მთელი ძალით იქნებოდა დაყენებული. ამ მხრივ მანათობელ ვარსკვლავად ვაჟას „მინდია“ მომევიჩინა. სიმფონიური პოემის შინაარსად გამოვიყენე ძველი თქმულება ბრძენ მინდიაზე და მასთან დაკავშირებული მრავალი მასალა. მთელ პოემაში ორი თემა ბატონობს: მინდია და შემოსეული მტერი. მინდიას ყველა ეპიზოდი, ყველა განწყობილება, მისი სიხარული, დაღუპვა და გლოვა მასზე — სულ ერთი თემის ტრანსფორმაციაა. პოემის შუა ნაწილში კი გადმოცემულია მინდიას საუბარი ბუნებასთან. იგი ხან ხეებთან მივა, ხან ირემსა და შველს ჩასჩურჩულებს საამო სიტყვებს, ხან ყვავილებს ეალერსება და გულში იხუტებს. ბუნებაც ალერსითა და მუდარით მიმართავს მას: „ნუ მომკლავ, მინდიავ!“, „ნუ მომჭრი, მინდიავ!“, „ბუდეს ნუ მომიშლი, მინდიავ!“.

ავტორისაგან:

მთელი შემოქმედება თან სდევდა შალვა მშველიძეს განსაკუთრებული სწრაფვა მონუმენტური სიმფონიური ჟანრისაკენ. თავად ზვიადი მთებისა და მთებში ნაამბობი მუსიკის მოტრფიალე, იგი იმ მთებივით ვაჟაკური, პირქუში, ძლიერი ბუნებისა იყო და ბგერების

მთების შენებისაკენ მიისწრაფვოდა.. ასეთი „მთები“ იყო დიდი სამამულო ომის წლებში შექმნილი მისი ორი სიმფონია (1943, 1944), მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით აღსავსე; და ორატორია „კავკასიონი“, კავკასიის გმირ დამცველებს რომ მიუძღვნა.

გამარჯვებისა და სიხარულისაკენ სწრაფვა აღწერა შალვა მშველიძემ ომის პერიოდში შექმნილ კიდევ ერთ ნაწარმოებში, სიმფონიურ სურათში „მზის ამოსვლა“, რომელსაც საკმაო პოპულარობა ხვდა წილად და უცხოეთის 25-ზე მეტ ქალაქშია შესრულებული.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

მზის ამოსვლა მე თვითონ მრავალგზის განმიცდია: სვანეთის ქედის მაღლობებზე; აჭარაში, გოდერძის ქედის გადასასვლელზე; თრიალეთის ცხრანყაროს მთაზე; ხევსურეთსა და ფშავეთის შუა მდებარე ქართლის ქედსა და გუდამაყარზე... ყოველთვის უდიდესი განცდა მოუყენებია ჩემთვის ამ ბრწყინვალე სურათს. შთაბეჭდილება წარუშლელია. სწორედ ამ შთაბეჭდილებებს შევასხი ხორცი ჩემს სიმფონიურ სურათში.

მუსიკა წყვილიადის აღწერით იწყება. ღამეა. აგერ სადღაც გაიელვა ნაცრისფერმა შუქმა, რომელიც შემდეგში ლურჯ, იასამნისფერსა და სინითლეში გადადის, მერე კი ამოვარდება მზე — გამარჯვებისა და სიხარულის სიმბოლო.

ავტორისაგან:

მშველიძის მთელ მუსიკას მოკლედ ქართულ მუსიკალურ ეპოსს უწოდებენ. ეპიკური ბუნება კომპოზიტორის მხატვრული სტილის ყველაზე ორგანული თავისებურებაა. მან ჯერ კიდევ „ზვიადაურით“ ქართულ მუსიკაში პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ეპიკური სიმფონიზმი. ამ გზაზე მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრები იყო მესამე, პროგრამული სიმფონია „სამგორი“ (1952), რომლითაც კომპოზიტორმა სიმფონიურ ეპოსში ახალი — თანამედროვეობის გმირული შრომის თემატიკა მოიტანა.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

ადამიანები ჩვენს სინამდვილეში სასწაულებს ახდენენ. სასწაული იყო სამგორის ადრე გადახრუკული

ველების, ველური ქარებიტა და გავარვარებული მზით გახურებული ქვიშის, უნაყოფო, სიცხისგან დახეთქილ მინაზე აღმოცენებული მწირი ბუნების სამოთხედ ქცევა. მე სამგორში დავესწარი ხალხის ზეიმს, როდესაც მდინარე იორი ჩუმად შემოიპარა თბილისის ზღვისათვის განკუთვნილ ტაფობში, ერთი საათის შემდეგ ძალა მოიკრიბა და აუზის გავსებას შეუდგა. იყო ხალხის ზეიმი და სიხარული. სწორედ ამ სურათს ვუძღვენი ჩემი მესამე სიმფონია „სამგორი“ .

ახლაც ხშირად ვარ ხოლმე თბილისის ზღვაზე, მიყვარს იქაური ადგილები, და მუდამ ვიგონებ იმ გადახრუკულ ველს, შხამითა და ქვეწარმავლებით სავსეს. მათ ნაცვლად ახლა შესანიშნავი პატარა ზღვა, იალქნიანი პატარა ნავეები, ლამაზი ტყე და ნაგებობები ხიბლავენ თვალს. ადრე ეს მხოლოდ ოცნება იყო, „ოცნებები მომავალ სამგორზე“, სწორედ ასე ეწოდება სიმფონიის მესამე ნაწილს, რომელიც ხავერდოვანი მთვარიანი ღამის სურათს ხატავს. თქვენს თვალწინ ზღვაა, მთვარის შუქზე კი წინვოვანი ხეების ლანდები კრთიან.

ავტორისაგან:

კომპოზიტორის სამუშაო მაგიდაზე, ჩარჩოში, ან განსვენებული დირიჟორის შალვა აზმაიფარაშვილის სურათია. იგი თითქოს საიქიოდანაც დღენიადაც თვალყურს ადევნებს კომპოზიტორის შემოქმედებით წვას, კვლავ თავის აზრს უზიარებს, რჩევებს აძლევს.

შალვა აზმაიფარაშვილი მშველიძის უახლოესი მეგობარი ყოფილა, მისი შემოქმედების დიდი მოტრფიალე, პირველი მსჯავრმდებელი და შემსრულებელი, თანაც შესანიშნავი ინტერპრეტატორი. აზმაიფარაშვილმა იდირიჟორა პირველად მშველიძის ყველა სიმფონიური ნაწარმოები — სიმფონიური პოემები და სიმფონიები, პირველი ოპერა „ამბავი ტარიელისა“, შოთა რუსთაველის პოემის საფუძველზე რომ შეიქმნა და კომპოზიტორს „ზვიადურის“ შემდეგ მეორე სახელმწიფო პრემია მოუტანა. ოპერა „დიდოსტატის მარჯვენას“ კი, რომელიც ახლა ნახატების სახითაა ამტყველებული კომპოზიტორის შემოქმედებით სახელოსნოში, დირიჟორი ველარ მოესწრო, თუმცა მისი ჩანაფიქრი დიდი ხნით ადრე დაიბადა და მის შესახებ ხშირად უსაუბრიათ კიდევ მეგობრებს.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

1944 წელს მოსკოვში, „ზვიადაურის“ პირველად შესრულების შემდეგ, შევხვდი მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას. იგი აღფრთოვანებული იყო „ზვიადაურით“ და თავისი რომანის „დიდოსტატის“ მიხედვით ოპერის შეთხზვა შემომთავაზა. ლიბრეტოს შექმნასაც თვითონ დამპირდა. მაშინ გამსახურდია „დავით აღმაშენებელზე“ მუშაობდა, ამიტომ ლიბრეტომ დაიგვიანა. საბოლოოდ იგი ქუჯი ძიძიშვილმა შექმნა.

ჩემს ორივე ოპერაში, რომელთა დასაწერად ჩემი აღგზნება ორმა დიდმა ნაწარმოებმა გამოიწვია, გამოვიყენე ზოგადქართული ენის შესატყვისი მუსიკალური ენა და ინტონაციები. ორივე ოპერის მთავარ გმირთა პარტიებში ფართო მუსიკალური შტრიხებია გამოყენებული; დიდი ადგილი ეთმობა გუნდებს, — ისინი ხალხის როლს ასრულებენ და ხშირად ლიტერატურული აგტორის (და ამ შემთხვევაში ჩემიც) სახელით გამოდიან, აკეთებენ დასკვნებსა და განზოგადებებს.

ავტორისაგან:

კიდევ ბევრი გვაქვს სასაუბრო ოპერებზე, სიმფონიებზე, სიმფონიურ და კამერულ ნაწარმოებებზე, ვუნდებზე... ვანა მარტო შემოქმედებაზე. მშველიძე დიდი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. იგი წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად; არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად... 1929 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1942-დან — პროფესორი.

ბატონმა შალვამ ვეროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა. მის შემოქმედებით სახელოსნოში მრავლად არის სუვენირები და საჩუქრები იტალიიდან, საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან და, რა თქმა უნდა, ინდოეთიდან (ბუდას ბრინჯაოს თავი, იქვე მოჩუქურთმებული დანახანჯალი, ფიმიამის სურნელის გირლიანდები, ინდოელ მუსიკოსებს რომ უჩუქებიათ).

ინდოეთთან კომპოზიტორს განსაკუთრებით თბილი



შალვა მშველიძე მუშაობდა, თინასთან ერთად

მოგონებები აკავშირებდა. იქ მან 1966 წელს იმოგზაურა კომპოზიტორთა კავშირის წევრებთან ერთად; გაიჩინა მრავალი მეგობარი მუსიკოსი, რომელთაც საქართველოდან საჩუქრად თავისი „ინდური სიუიტა“ ჩაუტანა.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

ჩემმა „ინდურმა სიუიტამ“, რომელშიც მრავალი ინდური თემა გამოყენებული, ღრმა ინტერესი გამოიწვია ინდოეთში. მას ყველგან ყურადღებით ისმენდნენ. მუსიკის ფირი კიდევ და კიდევ ინერებოდა დაწესებულებებისა და კერძო პირებისათვის, დამსწრე ინდოელი მსმენელები ხმამაღლა მღეროდნენ ნაცნობ მშობლიურ მელოდიებს და გამოთქვამდნენ გაკვირვებას ინდური მუსიკის ხერხების ევროპულ საკრავებზე გამოყენებით, რაც მათთვის მისაღები და მოსაწონიც კი იყო.

ავტორისაგან:

სულ ბოლოს კომპოზიტორმა უცხოეთში სამახსოვროდ გადაღებული სურათები მაჩვენა, შემდეგ მათგან ერთი ამოარჩია: ფოტოზე შავგვრემანი, გამხდარი ინდოელი ქალი იყო გამოსახული.

შალვა მშველიძის ნაამბობი:

„ეს ამრიტა პრიტამია, — ინდოელი პოეტი ქალი, მასთან არის დაკავშირებული ჩემი ბოლო ნაწარმოებთაგანი — ბალადა „ამრიტა“, ირაკლი აბაშიძის ტექსტზე.“

იგი მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას ეძღვნება. ამ მუსიკაში ინდური სამუსიკო საკრავების — ვინას, საროდისა და სიტარის ხმოვანებებია გამოყენებული“.

ავტორისაგან:

კარგად მახსოვს, 1959 წელს ინდოეთის თემატიკაზე შექმნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის კომპოზიტორ შალვა მშველიძეს („ინდური სიუიტა“ და ბალადა „ამრიტა“) და პოეტ ირაკლი აბაშიძეს („რუსთაველის ნაკვალევში“ გაერთიანებული ლექსების ციკლები „მწველ ინდოეთში“ და „ინდოეთის გზებზე“) მიანიჭეს ჯავახარლალ ნერუს სახელობის პრემიები, რომელთა მისაღებად ორივე შემოქმედი მიიწვიეს ინდოეთში. მივლინება ძალზე ხანმოკლე იყო. პრემიები აუნაზღაურეს ინდური ფულით — ვერცხლის რუპიებით, რომელთა სამშობლოში გამოყენების იმედი არ არსებობდა. და ბატონმა შალვამ მიიღო ბრძნული გადაწყვეტილება: დელის ცენტრში, საიუველირო მაღაზიაში საყვარელი მეუღლისათვის შეიძინა ულამაზესი ბეჭედი — თითზე წამოსაცმელი ვეებერთელა ფარშევანგი უძვირფასესი ფერადი თვლებით მოჭედილი ფართოდ გაშლილი კუდიით. ძალზე ნასიამოვნები, გახარებული, თუმც რამდენადმე შემცბარი ქალბატონი თინა თან თავს იწონებდა მეუღლის საჩუქრით, თანაც ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა ამხელა ფარშევანგით მოეწონებინა თავი.

ავტორის ბოლოთქმა:

არ შემიძლია დასასრულ არ მოვიგონო ბატონი შალვას უკანასკნელი დღეები.

1984 წლის ზამთარი იდგა. ჩემი ვაჟიშვილი მეგობრებთან ერთად ბორჯომის შემოქმედებით სახლში მყავდა დასასვენებლად წაყვანილი. იქ შევიტყვე ბატონი შალვას მეუღლის — ქალბატონი თინას გარდაცვალების შესახებ. ვერ გავბედე 10-11 წლის ყმანვილების ბორჯომში მართო დატოვება და ერთადერთი გამოსავალი, რაც მოვახერხე, იყო ვრცელი, გულითადი სამძიმრის გამოხატეველი დეპეშა, ჩემი ღრმა გულისტკივილით ქალბატონი თინას გარდაცვალების გამო.

თბილისში დაბრუნებისთანავე მივაკითხე ჩემს უფროს მეგობარს სახლში. ვიგრძენი, რაოდენ მძიმე გახდა მისთვის დარჩენილი ცხოვრება. მერე ხშირად ვურეკავ-

დი და ყოველთვის ხანგრძლივად ვსაუბრობდით. ბოლოს 3 მარტს დავურეკე. სახლში არ დამხვდა. იმავე საღამოს თავადვე შემომეხმინა ტელეფონით. თბილად მოვიკითხე. გაბზარული ხმით მესაუბრებოდა. მიზში კვითხე. „ამ საღამოს თინას საფლავზე ვიყავი და საფლავის მინა ჩანგრეული დამხვდა“ —ო, მიპასუხა გულისტკივილით. როგორც შემქმლო, ვეცადე დამეშვიდებინა: „ნუ ნუხხართ, გარკვეული დროის მანძილზე, მინა რომ გამოშრება, ქვემოთ ჩაშლა იცის“ —მეთქი, ვუთხარი. „რა ვიცი, რა ვიცი“, — მიპასუხა ნალვლიანად, დამლოცა და გულთბილად გამომემშვიდობა.

მეორე დილას ნანას ზარმა გამომადებინა, „წუხელ მამა გარდაიცვალა“, — ტირილით მაცნობა.

ეს იყო 1984 წლის 4 მარტს. სულ რაღაც ორიოდე თვეში დიდი კომპოზიტორის დაბადებიდან 80 წლისთავი უნდა გვგზიქმნა.

ხშირად ვიხსენებ ხოლმე ამ საოცარ შემთხვევას: რა იყო ეს, წინათგრძნობა თუ საყვარელი მეუღლის დაძახილი?!

მას შემდეგ ყოველთვის, როგორც კი მოვხვდები მარჯანიშვილის მოედნის სიახლოვეს, უეჭველად მივდივარ ხოლმე იმ სახლთან (აღმაშენებლის გამზირის 83-ში), სადაც ათეული წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ქართველი კომპოზიტორი შალვა მშველიძე, სადაც იბადებოდა მისი შემოქმედებითი შედეგები; ყოველთვის მახარებდა სახლის ფასადზე დამაგრებული მემორიალური დაფა, რომელიც ამ ფაქტს უდასტურებდა ყველა ნაცნობსა თუ უცნობს. მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ, დაინყეს რა აღმაშენებლის გამზირის გასუფთავება-განახლება, მემორიალური დაფაც გაქრა. რემონტი კარგა ხანია დასრულდა, თუმცა დაფა აღარ აღუდგენიათ — „მოიპარესო“ — ასე განმარტეს მათ, ვისაც ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მინდა მოწინებთ ვთხოვო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და მუსიკონდის ხელმძღვანელობას თავად ითავონ და აღადგინონ დიდი კომპოზიტორის მემორიალური დაფა იმ სახლის ფასადზე, სადაც მისი მუსიკალური შედეგები იბადებოდა.



ავსტრიაში, ქალაქ გრაცში, 31 აგვისტო-7 სექტემბერი, წელს მეორედ ჩატარდა Accademia Belcanto-ს ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი.

Accademia Belcanto-ს საერთაშორისო ფონდის დამფუძნებლები გამოჩენილი ქართველი მომღერლის ლამარა ჭყონიას ქალიშვილები, მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლები ნათელა და ეთერ ჭყონიები არიან. Accademia Belcanto-ს პრეზიდენტი და სამხატვრო ხელმძღვანელია ნათელა ნიკოლი-ჭყონია, ხოლო აკადემიის დირექტორი – ეთერ ლამორის-ჭყონია. აკადემია დიდ შესაძლებლობებს აძლევს ახალგაზრდა მომღერლებს. ეს ორგანიზაცია გამოირჩევა იმით, რომ აქ არ არის ასაკობრივი ზღვარი და საზაფხულო კურსებზე მონაწილეობა შეუძლია სრულწლოვანებსა და მძიმეულ ყველა ნიჭიერ მომღერალს. მასტერკლასებს

Accademia Belcanto
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრიზი

ატარებენ მსოფლიო დონის წამყვანი საოპერო მომღერლები, პედაგოგები და კონკურტმაისტერები. კონკურსზე და საზაფხულო აკადემიაშიც ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომღერალმა სრულყოფილ თავისი ოსტატობა, გააღრმავოს ცოდნა.

5 სექტემბერს გაიმართა Accademia Belcanto-ს გამარჯვებულთა დაჯილდოება. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით Accademia Belcanto-ს კონკურსზე დაწესდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრიზი. ეს ფაქტი, უდავოდ, დიდი მნიშვნელობისაა ქართული მუსიკის პოპულარიზაციისათვის. პრიზი მიენიჭათ მეორე ადგილზე გასულ ლაურატებს – გერმანელ მეცო-სოპრანოს ანა ვარლეს და ჩინელ ტენორ ლუი ჩანს. კონკურსზე პირველი ადგილი წილად ხვდა ავსტრიელ ტენორ რომან ჰიხლერს და რუს მომღერალ იგორ ლევიტანს. სახელგანთქმული ესპანელი ტენორის, ფაკომო არაგალის ფილდო კი მი-



ეთერ ლამორის-ჭყონია, ნათელა ნიკოლი-ჭყონია

ენიჭა მესამე ადგილზე გასულ იტალიელ ტენორ ალესიო ბორაგინელს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო – 400 კანდიდატიდან მხოლოდ 90 დაიშვა, რომელთა შორის ქართველი შემსრულებლებიც იყვნენ. ჟიურიმ ქართველ შემსრულებელთა შორის გამოარჩია სამი – მარიამ კაჯაევა, მარიამ ნაჭყებია და სანდრო ოსტროვსკი. გაიცა კიდევ რამდენიმე პრიზი და სტიპენდია.

7 სექტემბერს გაიმართა გამარჯვებულთა ვალა კონკურტი.

ვენის პრესაში ამ კონკურსმა დიდი გამომხატურება ჰპოვა. გამორჩეულად აღინიშნა საქართველოს დამსახურებული არტისტის, პროფესორ ანზორ შომახიას მონაწილეთა მიღწევები: ჟიურის წევრმა ხაიმე არაგალმა აღნიშნა კონკურსის დიპლომანტ მარიამ ქაძათის მონაცემები; გიორგი ნანავამ მსმენელი მოხიბლა თავისი ხავერდოვანი ხმით; აღინიშნა აგრეთვე თამარ ხუციშვი-



ლის ათვისების უნარი და თავისუფალი მალღები, თვა სუბელიანის მუსიკალური ნიჭიერება და გახსნილი გონება.

Accademia Belcanto-ს თაობაზე გავსაუბრეთ ბ-ნ ანზორ შომასიას:

„მას შემდეგ, რაც ნათელა ნიკოლიმ მთელ ევროპაში გაითქვა სახელი როგორც პედაგოგმა (დედამისის, ლამარა ჭყონიას მხავსად), ეთერიმ მას ურჩია დაეარსებინა აკადემია. ნათელა არა მარტო მომღერალი და პედაგოგი, არამედ საუკეთესო მენეჯერიც გამოდგა. იგი აკადემიის პრეზიდენტი და ყველაფერს განაგებს. ეთერი საერთაშორისო ურთიერთობებს ხელმძღვანელობს. აკადემია ამჟამად ორი წლისაა. ეს კონკურსიც რიგით მეორეა. ამ მკირე ხნის მანძილზე აკადემიამ ავტორიტეტი მოიპოვა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით და სამართლიანობით. კონკურსის ყიური ყოველთვის შედგება მსოფლიოში სახელგანთქმული მოღვაწეებისაგან. ნათელამ იმდენად გაითქვა სახელი როგორც პედაგოგმა, რომ მინვევებს ვერ აუდის. მის ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ შვედეთის ერთ-ერთი უმაღლესი კოლეჯის მესვეურებმა, სადაც მე წელს მასტერკლასები ჩავატარე, მთხოვეს, ნიკოლი ქართველია, და ხომ ვერ დავგვხმარებით ჩვენი მონვევა რომ მიიღოსო. რაც შეეხება ეთერის, ის ძალიან

დიდი მომღერალია. ხშირად არის დომინგოს, არაგალოს და სხვა მსოფლიო ვარსკვლავების პარტნიორი, რა თქმა უნდა, თვითონაც ვარსკვლავია.

კონკურსზე, შარშანაც და წელსაც, ქართველებმა ძალიან კარგად აჩვენეს თავი. ავსტრიელები ცოტას „ეჭვიანობენ“ კიდევ — მეუ ყურადღებას ქართველებს ხომ არ აქცევენო. ცხადია, მიკერძოებულობა გამორიცხულია, მაგრამ, ბუნებრივია, ნათელას და ეთერის განსაკუთრებით ახარებს ქართველების წარმატება. ჩემთვისაც ძალზე სასიხარულოა, რომ ჩემმა ოთხმა მონაფემ კარგად წარმოაჩინა თავი. მართალია, ლაურეტები არ ვახდენ, მაგრამ არაგალის და სხვა დიდოსტატების კარგი შეფასება დაიმსახურეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დები ჭყონიები ყოველწლიურად ეხმარებიან იქ ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს. მაგალითად, ჩემს ერთ-ერთ მონაფეს, რომელსაც ეკონომიურად უჭირს, სწავლის ფული არ გადაახდევინეს, ყოველ შეხვედრაზე ეკითხებოდნენ ახალგაზრდებს, ხომ არ გზიათ ან სხვა პრობლემა ხომ არ გაქვთო. საქართველოდან ჩასულები არაერთხელ დაპატიჟეს რესტორანში და გაუმასპინძლდნენ სადილით.

უახლოეს მომავალში საქველმოქმედო ორგანიზაცია Accademia Belcanto ესპანეთშიც გაიხსნება, რომლის პრეზიდენტი ქ-ნი ეთერ ლამორის-ჭყონია იქნება“.

2014 წლის დასაწყისში თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა გალა-კონცერტი, სადაც წარდგენ ვასული (2013 წლის) მანძილზე განხორციელებული პროექტის „კამერული მუსიკის საღამოები“ მონაწილეები.

„კამერული მუსიკის საღამოები“ – ამ სათაურის ადიშა რამდენჯერმე გაჩნდა დედაქალაქის ქუჩებში და ცხოველი ინტერესიც გამოიწვია. ეს კონცერტების ციკლი წარმოაჩენდა საქართველოში სიმებიანი სამემსრულებლო ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმო-

მაესტროები

მადგენლების – თამარ გაბარაშვილის, კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ოთარ ჩუბინიშვილის, ნოდარ ყვანიას პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგებს კამერული ანსამბლის სფეროში. ამიტომაც ციკლის მთავარი გმირები – მათი მოსწავლეები გახლდნენ.

ისიც საგულისხმოა, რომ საღამოები ეწყობოდა კონსერვატორიის გარეთ – კომპოზიტორთა კავშირის, საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურის სამინისტროს საკონცერტო დარბაზებში, რათა ზემოთჩამოთვლილ ხელოვნათა მოღვაწეობის ეს სფერო ცნობილი გამხდარიყო ფართო საზოგადოებისათვის. პროექტის ინიციატორი და ავტორია მარინა ჩიხლაძე, თბილისის კონსერვატორიის მუზეუმის დამაარსებელი და გამცოცხლებელი, არაერთი მნიშვნელოვანი ნამოწყების მოთავე.

ის, რომ საქართველოში კამერულ მუსიკის სფერო ძალების მოკრებასა და შესაბამისად, განვითარებას მოითხოვდა, ეს სურათი, შეიძლება ითქვას, მთელი არსებით გამოაშკარავდა პირველად 2002 წელს, როდესაც საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მიერ (თავმჯდომარე მანანა ახმეტელი) ჩატარდა სულხან ცინცაძის სახელობის კამერული ანსამბლების პირველი კონკურსი. მაშინ ორგანიზატორებს მონაწილე ძალების ფაქტობრივად არარსებობის გამო თავად მოუხდათ



თამარ გაბარაშვილი მონაწილეთან ერთად



ოთარ ჩუბინიშვილი მონაწილეთან ერთად



ოთარ ჩაჩიანიძე, ნოფარ ჭაჩიანი, კონსტანტინე ვარდანიძე მონაწილეობაში ერთად



ს. სინცაჟის სახ. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი: ოთარ ჩაჩიანიძე, ნოფარ ჭაჩიანი, თაბაკ ბათიაშვილი, კონსტანტინე ვარდანიძე

კონტინენტის მომზადება, შეკრება. მას შემდეგ 12 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში კვლავ მუსიკალური საზოგადოების ძალისხმევით არაერთი ფესტივალი თუ კონკურსი ჩატარდა და ისიც გამოიმუხრა თურა სამუშაო იქნა განეული ამ მიმართულებით. ვიფირობთ, კონცერტების ციკლი „კამერული მუსიკის საღამოები“ სწორედ ამ პროცესის ამსახველ ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფურცლად წარმოგვიდგა.

ამას წინათ ბატონმა ნოდარ ჭაჩიანიმ ჟურნალ „მუსიკის“ ფურცლებიდან ბრძანა, რომ თბილისის სახელმწიფო კვარტეტი იყო საყრდენი იმდროინდელი ქართული საკომპოზიტორო შემოქმედების (იგივე შეიძლება ითქვას საქტელურადიოს კვარტეტზეც, რომელიც, სამწუხაროდ, წლების წინ დაიშალა). დღევანდელ საკვარტეტო მუსიკას უკვე ახალი ძალები, ახალი კოლექტივები სჭირდება. დღეს ისეთი მუსიკა იქმნება, უკვე სხვაგვარად დაკვრასა საჭიროო.

ამ კონცერტებმა დაგვანახა, რომ ზემოჩამოთვლილი მესტროები ახალგაზრდა სიმებიან საკრავების შემსრულებლებს მტკიცე საფუძველს უყალიბებენ, დამყარებულს საანსამბლო კლასიკაზე, რათა შემდგომ თანამედროვე მუსიკის მონაპოვრებს თავისუფლად შეეჭიდონ.

მართალია, კონცერტების ციკლის მანძილზე ქართული კამერული რეპერტუარიდან მხოლოდ ერთი ნაწარმოები შესრულდა – ა. მაჭავარიანის (2013 წელი მაჭავარიანის წელი იყო და ამდენად განსაკუთრებით აქტუალური იყო მისი თხზულების აღდგენა), მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხიც – ეროვნული ნიმუშების ახმინებაც ამ პროექტში უფრო პრინციპულ ხასიათს მიიღებს. მით უმეტეს, რომ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი აგრეთვე ქართულ საკომპოზიტორო შემოქმედებაში კამერული მუსიკის ჟანრის ახალი ნაწარმოებების დაბადება, თვით ჟანრთა სიცოცხლისუნარიანობაა.

კონცერტების ციკლი „კამერული მუსიკის საღამოები“ პროექტის განხორციელების პირველი ცდა გახლავთ. ვიმედოვნებთ, რომ იგი კვლავ განმეორდება, კვლავ შეგვახსენებს თავს, ამის სურვილს კი გვიქმნის ის სასარგებლო, სასიკეთო მიზნები, რაც ამოძრავებს ამ პროექტს.

2014 წლის 25 ოქტომბერს თბილისობის ზეიმთან დაკავშირებით, ო. თაქთაქიშვილის სახ. №19 სკოლის შენობის წინ, ღია ცისქვეშ, ორხევის ნაძვნარში გაიმართა კონცერტი ამავე სკოლის აღსაზრდელთა ძალებით.

ღონისძიება გახსნა სკოლის აივნიდან შესაყვირების ტრიომ (პედ. ე. გვარამაძე). კონცერტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ვალტორნისტები (პედ. ა. ბაკურაძე), ფლეიტისტები (პედ. ზ. პირმისაშვილი), ვოკალური ანსამბლები, შესრულდა სოლო ვოკალური ნომრებიც (პედ. თ. იმერლიშვილი).

სასიკეთო წამოწყება

ქორეოგრაფიული განყოფილების მოსწავლეებმა შესრულეს მსოფლიო ხალხთა ცეკვები (პედ. ნ. ჩიტაური, ი. ცანდიშვილი). ზეიმს ამშვენებდა სკოლის სახვითი ხელოვნების მოსწავლეთა ნამუშევრები (პედ. ხ. ფაჩულია).

სკოლის გოგონათა და გაერთიანებულმა სასულე ორკესტრმა (დირ. ს. ტყაბლაძე) დაავიროვნა საზეიმო ღონისძიება.

ყველა შემსრულებელმა მაყურებლის გულწრფელი აღტაცება და ოვაცია დაიმსახურა.

კონცერტს ესწრებოდა სამგორის რაიონის გამგებელი ბ-ნი მამუკა ჩოქური, რომელმაც ნორჩ შემსრულებლებს და ხელოვნების სკოლის დირექტორს ბ-ნ თამაზ მოლაშვილს მადლობა გადაუხადა წარმატებული კონცერტის ორგანიზებისთვის, წარმატებები უსურვა მომავალ შემოქმედებით მოღვაწეობაში.

დღეს, როდესაც სამუსიკოს განათლებას ბევრი არ ეშურება, ასეთი წამოწყება, უდავოდ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სამუსიკო ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივებას.



მისაყვირეთა ტრიო



ო. თაქთაქიშვილის სახელობის
№19 საფუნდო სკოლის სასულე ორკესტრი

იაშვილების სამი თაობა ლამის საუკუნეა ემსახურება ქართულ მუსიკალურ კულტურას. ლუარსაბ იაშვილი ამ დინასტიის სათავეში იდგა და ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სავიოლინო-საშემსრულებლო ხელოვნებას. ბევრი რომ აღარაფერი ვთქვათ მის მოწაფეთა ვრცელ სიაზე, მარტო მარინე, ნანა და ირინე იაშვილებიც კმარა მისი ღვაწლის წარმოსაჩენად. ახლა კი მათი შთამომავლები – გია და მანანა იაშვილები, ალექსანდრე მურალიოვი, ლალი და ნათელა პოლიტკოვსკები ღირსეულად და წარმატებით აგრძელებენ ბრწყინვალე საგვარეულო ტრადიციებს. მიუხედავად იმისა, რომ იაშვილები უცხოეთში მოღვაწეობენ, ისინი არ კარგავენ კავშირს სამშობლოსთან და თავისი ქვეყნის დიდი გულშემატკივრები არიან. მით უფრო სამწუხაროა ის ტკივილი, რომელიც პროფესორ ირინე იაშვილის ინტერვიუში გამოსჭვივის.

ინტერვიუს შინაარსიდან გამომდინარე მიხდა ჩვენ მკითხველს შევახსენო ქ-ნი ირინე იაშვილის მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

ირინე იაშვილი, ისევე, როგორც მისი დები, პატარაობიდანვე, 6 წლის ასაკიდან, ესტრადაზე იდგა. 9 წლისამ უკვე სოლო კონცერტი გამართა. კონსერვატორიის პირველივე კურსიდან იგი იყო საოპერო სტუდიის ორკესტრის

„რა მითხრა მე _____ ჩემმა ქვეყანამ...“

კონცერტმასტერი, ხოლო 1961 წელს ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის კონკურსში ი. იაშვილი პრემიერებული იყო. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სიმებიან კათედრაზე პედაგოგად, შემდეგ მიენიჭა პროფესორობა. ქ-ნი ირინე ექვსი წლის (1967-1973) განმავლობაში იყო კონცერტმასტერი საქართველოს ფილარმონიის კამერული ორკესტრისა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ მისი და – მარინე იაშვილი მეუღლესთან, იგორ პოლიტკოვსკისთან ერთად.

1970 წ. ი. იაშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება. ი.იაშვილი ეწეოდა აქტიურ საკონცერტო-საგასტროლო მოღვაწეობას, მრავალი კონცერტი აქვს გამართული როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. სამ დას, მარინეს, ირინეს და ნანას ერთობლივი კონცერტები აქვთ გამართული ჰოლანდიაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, რუსეთში, ყოფილი სსრკ-ს ქალაქებში. ი. იაშვილს დაკრული აქვს ისეთ დირიჟორებთან, როგორებიც იყვნენ: ოდისეი დიმიტრიადი, ვახტანგ ფალიაშვილი, გივი აბმაიფარაშვილი, მისი მეუღლე ტარიელ დუგლაძე, კირილ კონდრაშინი, კურტ მაზური და სხვ.; გამოდიოდა ანსამბლში მეოვიოლინეებთან: მარინე იაშვილთან, იგორ ოისტრახთან, იგორ პოლიტკოვსკისთან, ბორის გუტნიკოვთან; პიანისტებთან: ნანა დიმიტრიადისთან, ელენა ლივშიცთან, აგრეთვე შესანიშნავ პიანისტსა და მეგობარ მედეა ალთუნაშვილთან; ვიოლონჩელისტებთან: დანიილ შაფრანთან, მსტისლავ როსტროპოვიჩთან, ნატალია გუტმანთან... ჩამონათვალი ძალზე ვრცელია და საამაყო.

ი.იაშვილს ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძელზე აღზრდილი ჰყავს უამრავი სტუდენტი. მარტო სერბეთში (სადაც იგი 1994 წ. ვიოლინოს კათედრის პროფესორად მიიწვიეს და 16 წელიწადი იმუშავა) მის მოწაფეთა რიცხვი 50-ს აღემატება, მათ შორის ბევრმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან ორკესტრებში მუშაობენ. მათ შორისაა დღეს მსოფლიოში წარმატებული მევიოლინე რომან სიმოვიჩი, რომელსაც ქართველი მსმენელიც კარგად იცნობს.

2013 წ. ქ-მა ირინემ და მისმა ქალიშვილმა, მანანა დუგლაძემ, მიიღეს მიწვევა თურქეთის ქ. ადანის კონსერვატორიიდან, სადაც ამჟამად მუშაობენ.



ირინე იაშვილი გაკვეთილზე სანდრა გალასთან ერთად

მზია ჯაფარიძე – თქვენმა გვარმა უდიდესი ღვან-ლი დასდო ქართულ მუსიკალურ კულტურას. გახსოვთ, ალბათ, სამშობლოსკენ მომავალი ილია ჭავჭავაძის სიტყვები – „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას და რას მეტყვის იგი მე?“ – სამშობლოსთან ხანგრძლივი განშორების შემდეგ რა გითხრათ თქვენ თქვენმა ქვეყანამ და თავად რისი თქმა გსურთ?

ირინე იაშვილი – ძალიან ბევრის თქმა შეიძლება... ვერ დამხვდა კარგად, ყოველ მხრივ. მაგალითად, ტელევიზორს ჩავრთავ, კლასიკურ მუსიკაზე არცერთი გადაცემა არაა. უნინ იყო მუსიკალური რედაქცია. არ ვავიღოდა კვირა, რომ არ გამოსულიყვნენ წარჩინებუ-

ლი ბავშვები, სტუდენტები: მევიოლინეები, ვიოლონ-ჩელისტები, პიანისტები, ჩვენ კარგი, ნიჭიერი ბავშვები გვყავს, სად არიან? უცხოეთში?!

მ.ჯ. – დიას, მუსიკალური კადრების გადინება წლებია დამოკლეს მახვილივით ჰკიდიდა ქართულ მუსიკალურ კულტურას...

ი.ი. – მე ამჟამად ვარ თურქეთში, იქ ბევრი ქართველი მუშაობს ორკესტრებში. მაგალითად, არის ერთი ოჯახი – ჭუმბურიძეების, რომელსაც ორი შესანიშნავი მევიოლინე შვილი ჰყავს. რომ ვუყურებ ამ ბავშვებს – თურქული სკოლა დაამთავრეს, ბუნებრივია, საუბრობენ თურქულად. უფროსი, შესანიშნა-

ვი მევიოლინა, უკვე გავიდა ევროპაში, კონცერტებს მართავს... ჩამოვლენ ისინი აქ? – ალბათ, არასოდეს. კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც იქ არიან დაბადებულები, რაც ძალიან მტკენს გულს. ამ ჩვენ კარგ

არ ვმალავ და არც არის დასამალი, წავედი იმიტომ, რომ უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავით, უაღრესად! არ ვიცოდი რა გამომეგონებინა, რა მომეფიქრებინა. ისევ ჩემმა დამ, მარინემ, მიშველა და



ირინა, მარინა, ნანა და ლუარსაზ იაჰვილიანი

ბავშვებს, ახალგაზრდებს, მათ მშობლებს, რატომ არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ საქართველოში, სამშობლოში, იცხოვრონ, სამშობლოში განავითარონ ჩვენი ხელობა და აქედან გაიტანონ უცხოეთში. რას დავაბრალოთ ეს? მე, მაგალითად, ჩემ თავზე რომ ვთქვა, უკვე საკმაოდ ხანში ვარ შესული, რატომ უნდა მეშინოდეს ჩამოსვლა ჩემს ქვეყანაში იმის გამო, რომ უსამსახუროდ დავრჩები? არადა – იყო ასეთი პერიოდი. ჩამოვედი სერბეთიდან, სადაც 16 წელიწადი ვიმუშავე. შეიძლება ამაზეც თქვან – რატომ წახვედიო.

შემომთავაზა სერბეთში წასვლა, ნოვი-სადში, სადაც მუსიკალური აკადემიის პროფესორი ვიყავი. ჩამოვედი იქიდან – კონსერვატორიას არ მიმაკარეს. იაშვილები უკვე ორნიღა დავრჩით – მამა აღარ არის, მარინეც აღარ არის; ნანა ვერმანიაშია, მე კი აქა ვარ, შვილები, შვილიშვილები აქ მყავს, სად უნდა წავიდე? ისევ სხვა გზა არ მქონდა – როგორც ვითხარით, მივიღე მონწევა თურქეთიდან და ისევ წავედი. ახლა თურქული ენა უნდა მესწავლა... თურქ ბავშვებს უნდა გადავცე ცოდნა. ვფიქრობ ხოლმე – რატომ?! რატომ არ უნდა ვას-

ნავლო ჩვენ ქართველ ბავშვებს? ჯერ კიდევ რაღაც შემიძლია... ასეა, რაც ხანი გადის, კიდევ უფრო მეტი შევიძლია, მეტი გამოცდილება გაქვს დაგროვილი.

მ.გ. — გეთანხმებით. ჩვენთან, მგონი, ბოლონის პროცესის გამო, პედაგოგებისათვის გარკვეული ასაკობრივი ზღვარიცაა დაადგენილი (არაოფიციალურად მაინც). არის მსგავსი რამ ევროპაში, სხვა ქვეყნებში?

ი.ი. — ზოგიერთ ქვეყანაში არის — გერმანიაში, იგივე სერბეთში. ნ წლის შემდეგ აღარა გაქვს უფლება ასწავლო, მაგრამ რაღაცას მაინც ახერხებენ, რომ საჭირო და ღირსეული ხალხი დატოვონ. ბევრ ქვეყანაში არც არის ასაკობრივი ზღვარი. საერთოდ, არ მესმის, ნ წლის ასაკში რატომ უნდა შეწყვიტო მოღვაწეობა, პირიქით...

მ.გ. — ამაზე მახსენდება ხანდამბული, 83 წელს მიტანებული ბ-ნი ჰაგლე ხუჭუა, რომელიც კიბეებზე ისეთი ტემპით მიიჩქაროდა ხოლმე, რომ ჩვენ, ახალგაზრდები ვერც კი ვწნოდით, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ფოიერვერკს ჰგავდა მისი ლექციები — დინამიკური, ინფორმაციულად დატვირთული, საინტერესო.

ი.ი. — დიახ, ეგრეა. მე ისიც მესმის, რომ ახალგაზრდა უნდა მოვიდეს, თაობების ცვლა აუცილებელია, მაგრამ ახალგაზრდა უნდა იყოს გამოცდილი ადამიანის გვერდით, როგორც ჩვენ — პიანისტებიდან დანყებული, ყველა დარგის უფროსი თაობის სპეციალისტების გვერდით ვიყავით. ვინ არ მახსოვს: გურევიჩი, ჩარეჭიშვილი, ჩხარტიშვილი, შიუკაშვილი, პოლოსოვი, მამაჩემი, შანიძე... არაჩვეულებრივ ცოდნას ვიღებდით მათგან. ჩვენთან კი დღეს ყველგან, გაზეთებში, ტელევიზიებში ისმის და იგრძნობა — უკვე მოჭაბა თავისი დრო და წავიდა...

მ.გ. — ანუ გულისხმობთ იმას, რომ წყვეტა მოხდა თაობებს შორის? მეგვიდრეობითობა, რაც კულტურული პროცესების აუცილებელი პირობაა — ისპობა. მხოლოდ ძველის ცოდნით, რაღაცის მიღებითა და რაღაცის უარყოფით იქმნება ახალი, კულტურა მეგვიდრეობითობის გარეშე ხომ არ არსებობს. ერთხელ ბ-მა ბიძინა კვერნაძემ მითხრა: — „აი, ოლიმპიური ჩირაღდანი რომ მიაქვთ, ესტაფეტა ერთმანეთს თუ არ გადასცეს, ხომ ვერ მივლენ ფინიშამდე“-ო. — მახსენდება სამუსიკო განათლების ერთ-ერთი „რეფორმატორის“ სიტყვებიც

— ჩვენ არ გვჭირდება ლაურეატები. — რატომ-მეთქი რომ ვკითხე, ასე მიპასუხა: — მერე ზოგი ვეღარ გამოდის ლაურეატი, მაგრამ ამბიციისა და პრეტენზიის უჩნდება და სად წავიყვანოთ ეს ამბიციური ხალხიო. — არადა, საშუალო დონის მუსიკოსების გარკვეული რაოდენობა თუ არ გვეყოლება, ცარიელ ნიადაგზე ვერ გაჩნდებიან იაშვილები, ისაკაძეები, ვირსალაძეები, თორაძეები, კორსანტიები...

ი.ი. — დიახ, ეგრეა. აბა საიდან მოდის კარგი ორკესტრები, კარგი პედაგოგები, ყველა სოლისტი ხომ ვერ გამოვა. ამ ე.წ. „სიახლეებისადმი“ ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. მეც ვგრძნობ ჩემ თავზე ამ დამოკიდებულებას. ხანდახან ვფიქრობ, ვაიძე, უკვე ხანში ვარ შესული, უკვე დავბერდი, აღარავის ვჭირდები, არავის!.. რატომ არ ვჭირდები? ვფიქრობ, რომ პირიქით უნდა იყოს, უნდა მითხრან და მთხოვონ, მობრძანდით, გვჭირდებითო. არ ვგრძნობ, რომ ვინმეს ვჭირდები. თავის დროზე, ვითომდა სტუდენტების სიმციროს გამო, კონსერვატორიაში დაბრუნებაზე უარი მითხრეს, თუმცა იყვნენ ჩემთან სწავლის მსურველები.

იკით თუ არა თქვენ, რომ მე არც კი შევდივარ კონსერვატორიაში იმიტომ, რომ გული მტკივა. დედაჩემი ძალიან კარგი პიანისტი იყო და მუშაობდა კონსერვატორიაში, ამიტომ, როგორც უკვე ვითხარით, ბავშვობიდან იქ გავიზარდე. მერე უკვე მეც — ჯერ სწავლა დავიწყე კონსერვატორიაში, შემდეგ მუშაობა, დოცენტობა, პროფესორობა... კონსერვატორიაში 35 წელი ვიმუშავე. მერე მოხდა ისე, რომ წავიდა... ახლა რა ვქნა? უნდა დავისაჯო? ისიც მესმის, როცა მეუბნებიან — აი, წასულები იყავით. იმ წლებში ხომ ბევრი წავიდა... ფაქტი ერთია, არ მოინდომეს ჩემი მიღება კონსერვატორიაში. არც ჩემი შვილი გააკარეს კონსერვატორიას, ის კი საკმაოდ კარგი მევიოლინეა; 5 წელი ჩემთან ერთად იყო სერბეთში, ჯერ როგორც ჩემი ასისტენტი და შემდეგ, როდესაც ნახეს მისი ნამუშევარი, მიიღეს როგორც პედაგოგი. მაგრამ საშინლად განიცდიდა — საქართველოში დაბრუნება უნდოდა და ომი რომ დაიწყო, წამოვიდა კიდევ. მე კი დავრჩი და ვაგრძელდა ეს 16 წელიწადი...

მ.გ. — ვფიქრობ, ქ-ნი მარინე იაშვილის დიდებული შესაძლებლობებიც არ იყო სათანადოდ გამოყენებული.

ი.ი. — გეთანხმებით, მით უმეტეს, რომ მარინე ძალიან აქტიური იყო. მე არ ვარ ისეთი აქტიური, საკონცერტო გამოსვლებს ვგულისხმობ. ვფიქრობ, გარკვეულნილად, ჩემი პასიურობა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც განსაზღვრა. მე 6 წლისა ვიყავი, როდესაც მარინე უკვე **მარინე იაშვილი** იყო. ის ჩემთვის და კი არ იყო, არამედ უფრო მეტი — მას როგორც ღმერთს, ისე შევცქეროდი. სკენაზე რომ გამოდიოდა, მისი დაკვრა რომ მესმოდა (ახლაც ყურებში მაქვს მისი ბგერა, დაკვრის მანერა), ალფრთოვანებით მივჩერებოდი არა როგორც დას, არამედ — მარინე იაშვილს! იცით, შეიძლება ამანაც იმოქმედა. არანაირი სურვილი არ მქონდა დავნეოდი, რადგანაც მეგონა, რომ ვერასდროს დავნეოდი. თურმე არ იყო ეგრე, შემეძლო დავნეოდი. ის ძალიან მიჯავრდებოდა — შენი ნიჭის პატრონი როგორ არ უნდა გამოდიოდე, რატომ კლავ შენ ნიჭსაო. ასე მოხდა... ალბათ ისიცაა, რომ არ მქონდა ამბიციია, რაც ცუდია. არ ვამართლებ ჩემ თავს, იქ ოჯახური ტვირთი, იქ ბავშვები, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ძნელია ამის შეთავსება. სანამ დედა ცოცხალი იყო, ყველას გვეხმარებოდა, მაგრამ შემდეგ...

მ.ჯ. — რატომ არ მოხდა საქართველოში ქ-ნ მარინეს პოტენციალის გამოყენება, რატომ არ მოიწვიეს შემდგომ წლებში?

ი.ი. — სულხან ცინცაძის დროს ასწავლიდა თბილისის კონსერვატორიაში, მაგრამ მერე ვეღარ შეძლო.

მარინე მოსკოვის კონსერვატორიაში სავიოლინო კათედრის გამგე იყო, მაგრამ წელიწადში ორჯერ მანაც ჩამოდიოდა თბილისში — გამოიყენე, მოიწვიე მასტერკლასებით... მას ძალიან წყდებოდა გული, ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან, მაგრამ რა ვქნაო... მართლაც, საოცრად ნიჭიერი ბავშვები გვყავს. იცით, ისიცაა, რომ ადრე, ბავშვს, როგორც წესი, მუსიკალური განათლება უნდა მიეღო, მიუხედავად იმისა, გამოვიდოდა ის მუსიკოსი თუ არა. ყველა ოჯახში იყო ინსტრუმენტი. ახლა ახალგაზრდებს აღარც განათლება აქვთ, აღარც კლასიკური მუსიკისადმი ლტოლვა და მოსმენის სურვილი. რას ისმენენ ახლა? გული მისკდება რომ ვუსმენ. დიახ, კონცერტები ტარდება ფილარმონიაში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, მაგრამ უნინ რომ ჩამოდიოდნენ ბუმბერაზი სოლისტები და ბრწყინვალე კონცერტებს

მართავდნენ, სად არის ახლა ასეთი კონცერტები, სად არიან ისინი, რატომ აღარ ჩამოდიან?

მ.ჯ. — ერთხელ უკვე დავწერე ამის თაობაზე, მაგრამ რა — წერე და იკითხე, აზრს ვერ ვხედავ! საქმე ისაა, რომ ჩვენი საკონცერტო ცხოვრება მხოლოდ ფესტივალებით იფარგლება და არ არსებობს არანაირი კულტურული პოლიტიკა, გაზრებული საკონცერტო თუ საგასტროლო ცხოვრება.

ი.ი. — საკონცერტო ცხოვრებაზე და ბავშვების განვითარებაზეც მინდა ვთქვა. ფილარმონიას შქონდა საბავშვო კონცერტები, მთელი საქართველო გვექონდა შემოვლილი. ვიკრიბებოდით მუსიკოსთა ჯგუფი (მევიოლინეები, ჩელისტები, პიანისტები, სასულე ინსტრუმენტები და სხვ.) და ვატარებდით კლასიკური მუსიკის კონცერტებს რეგიონებში, ინსტრუმენტებს ვაცნობდით ბავშვებს. მერე ჯანსუღ კახიძემ დაიწყო შესანიშნავი საგანმანათლებლო კონცერტების ციკლი, რომელიც ტელევიზიითაც გადაიკეცმოდა. რატომ, რატომ აღარ უნდა იყოს ეს ყველაფერი? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვიღაცა ებრძვის კლასიკურ მუსიკას.

მ.ჯ. — საზოგადოებაში ასეთი აზრიც მუსირებს — ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, რა საჭიროა გვყავდეს ამდენი მუსიკოსი, ორკესტრები, ანსამბლები და ა.შ. აბა, შეხედეთ, არის კი ევროპის პატარა ქვეყნებში განვითარებული კლასიკური მუსიკა ისე, როგორც ჩვენთან იყო? ეს საბჭოთა სისტემას სჭირდებოდა, ახლა რა საჭიროა ეს ყველაფერი და ა.შ. ჩემდა გასაკვირად, ასეთი აზრები მუსიკოსებისგანაც მომისმენია.

ი.ი. — გამკვირვებია, რატომ ვბაძავთ ევროპას იმაში, რაც ცუდია და რატომ ვკარგავთ იმას, რაც კარგი იყო? რაც კარგი გვექონდა, ის მაინც შევინარჩუნოთ. ამ პატარა ქვეყანამ რამდენი ბუმბერაზი მუსიკოსი აღზარდა და მისცა მსოფლიოს: მარინე, ელისო, ლიანა, ჩვენი კვარტეტი, მომღერლები: დავით გამრეკელი, ანდლულაძეები, გურაბ ანჯაფარიძე, გურაბ სოტკილავა, პაატა ბურჭულაძე, ბადრი მასისურაძე, ამირანაშვილები, ცისანა ტატიშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, ჭყონიები... ძნელია ყველას ჩამოთვლა... ახლაც ხომ უამრავი ბრწყინვალე ქართველი მომღერალი ამშვენებს მსოფლიო საოპერო სცენებს. სწორედ ეგაა საამაყო, რომ ამ პატარა,

მოცუცქნული ქვეყანიდან ამდენი მსოფლიო დონის მუსიკოსი გაიზარდა. რატომ ვმაღავთ ამას, ვერ გავიგე! შეიძლება დავბერდი და ნოსტალგია მაქვს, უკან ვიყურები?.. მარინე ერთი პერიოდი იყო ფილარმონიის კამერული ორკესტრის სოლისტი, მე – კონცერტმაის-

არც არავინ არაფერს გეკითხება, არც კონცერტებს ესწრებიან.

მ.გ. – რატომ, ე.წ. „ბომონდურ“ კონცერტებს არ აცდენს ე.წ. „ისტებლიშმენტი“, თუმცა ეს კიდეც სხვა საკითხია. თქვენ უკვე დიდი ხანია უცხოეთში მოღვა-



ინსტრუმენტული მუსიკის კონსერტი. სარგაძე. სინამოგა. 2005

ტერი. არ იცით თქვენ რა დონის სოლისტები ჩამოდი-
ოდნენ: დ. შაფრანი, მ. როსტროპოვიჩი, ი. ოისტრახი, ა.
იოხელესი, უამრავი ხალხი!.. ვასვლითი კონცერტებიც
გვქონდა. მაშინ კულტურის მინისტრი ოთარ თაქთა-
ქიშვილი იყო. ბ-ნ ოთარს არ გამოეპარებოდა არაფე-
რი, არცერთ კონცერტს უყურადღებოდ არ ტოვებდა.
ქუჩაში რომ შემხვდებოდა (სულ ფეხით დადიოდა!) მე-
კითხებოდა, – რას აკეთებთ, როგორ ხართ, რამე ხომ
არ გჭირდებათ. – ახლა ვერ შეხვალთ ვერსად და

წვობთ, მონყვეტილი ხართ ქართულ სინამდვილეს.
როგორ ფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნული აისახა
საზოგადოების ფართო ფენების კულტურულ დონეზე?
ეს შესაძლებელია?

ი.ი. – როგორ არა! რა მოხდა ისეთი, რომ აღარა-
ვის არ უნდა მუსიკა? არ არსებობს კლასიკური მუსიკის
პროპაგანდა. ნუთუ არ შეიძლება მომზადდეს კლასი-
კური მუსიკის ერთსაათიანი გადაცემა სახელმწიფო
ტელევიზიით მაინც? რატომ არ უნდა იცნობდეს საზო-

გადოება ღვანღმოსილ, მსოფლიო დონის ქართველ მუსიკოსებს, ან ნიჭიერ ახალგაზრდა თაობას? ალბათ, სოციალური მდგომარეობაც თავის როლს თამაშობს, რადგან სამუსიკო სკოლები ფასიანი ვახდა და მშობლებს არა აქვთ შესაძლებლობა იმ მინიმალური თანხის გადახდისაც კი.

მ.გ. — იცით, ალბათ, მრავალი ფაქტორია. ერთი, რომ კლასიკური მუსიკა მოსმენის დროსაც კი მოითხოვს შენგან სულიერ ძალებს, ფიქრს, ანუ უნდა გაილო — რათა მიიღო. ახლანდელი ეპოქა კი ძალიან აჩქარდა, ინფორმაციის მიღებაც სწრაფად უნდათ, ზერეულედ, იოლად გადასამუშავებელი „პოლუფაბრიკატი“ ურჩევნიათ. შემდეგ ამ ვითომდა სამუსიკო განათლების ე.წ. რეფორმამ უზარმაზარი უარყოფითი წვლილი შეიტანა ამ პროცესში — დაიხურა სკოლები, სასწავლებლები. გარდა ამისა, არ არის მოტივაცია — მაგალითად, წმინდა პრაგმატული კუთხით თუ მივუდგებით, რას აძლევს დღეს მუსიკოსობა ადამიანს? ოჯახს არჩენ შენი შემოსავლით — ვერა! შეძლებ საკუთარი შემოქმედება საზოგადოების წინაშე წარადგინო, ანუ კონცერტები გამართო — ვერა! (დარბაზები ცალკეული პიროვნებების საკუთრებაა და ძალიან ძვირია)... არის კიდევ სხვა ფაქტორებიც, როგორაა უცხოეთში?

ი.ი. — აი, მაგალითად, თუნდაც თურქეთი ავიღოთ. ახლახან იყო მისაღები გამოცდები. გავოცდი — 150 კონკურსანტი ბავშვი იყო. მარტო სიმებიან განყოფილებაზე 30 ბავშვი მიიღეს. მინდა ვთქვა, რომ ისინი ცდილობენ ყველა ბავშვს მისცენ აკადემიური მუსიკალური განათლება. მოგეხსენებათ, ჩემი და, ნანა, ვერმანიაში მოღვაწეობს და მისგან ვიცი, რომ ამ კუთხით იქ ძალიან კარგადაა საქმე, თუმცა, როგორც მითხრა, მეტწილად კორეელები ჩამოდიან.

მ.გ. — ამასთან დაკავშირებით გამახსენდა დენის მაცუვეის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ ვენესუელაშია და ჩინეთში მუსიკა პოლიტიკური სტრატეგიის რანგშია აყვანილი. უგო ჩავესმა მთელი ქუჩის ხულიგნები და ნარკომანები სიმფონიურ ორკესტრებში დასვა. ვენესუელაში ასობით ბავშვთა სიმფონიური ორკესტრია და იქ უნიკალური მუსიკოსები ჩნდებიან. ხოლო ჩინეთში 80 მილიონი პიანისტია და ჩინეთის მთავრობა ყოველწლიურად 8 მილიონ დოლარს ხარჯავს ყოველ ნიჭი-

ერ მუსიკოსზე. სახელოვნებო განათლების კუთხით ამ ქვეყნებს არც კორეა ჩამოუვარდება. დასაწინაა, რომ ჩვენ რაც გვქონდა, ისიც დაგვარგეთ.

ი.ი. — ამიტომაც მწყდება გული ჩვენ ბავშვებზე. თურქეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვებზე რომ ვამბობდი, ისინი გავლენ უცხოეთში და კონცერტებზე ხომ თურქეთის სახელით გამოვლენ და არა საქართველოს? ეს თაობა წავიდა, ჩვენც წავალთ და ვინ რჩება მერე?

მ.გ. — გამოდის, რომ იაშვილების სახელოვნო საგვარეულო საქართველოსთვის დაკარგულია, არა? მართალია, თქვენი დისშვილი, მევიოლინე გია იაშვილი ცდილობს ფესვებს არ მოწყდეს, ჩოხითაც კი გამოდის კონცერტებზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ის საქართველოს სახელით ვერ გამოვა და ვერც ქართველ ახალგაზრდებს აღზრდის, ასევე მარინეს შვილები და მათი შთამომავლები... ე.ი. იაშვილების სკოლა აღარ არსებობს?

ი.ი. — არა! ხომ ხედავთ რომ აღარ არსებობს! მამაჩემი, ძალიან პატროთი კაცი იყო, ძალიან უყვარდა საქართველო, ამაყობდა ხოლმე — მე საქართველოს სამი შვილი ვაგვზარდეთ. სამი შვილის გარდა ჩემი შვილიც მამას ვაზრდილია და ნანას ბიჭიც. ჩემი გოგონა, მანანა, პატარა რომ იყო, 9 წლის, არ იცოდა საით წასულიყო, მევიოლინეობა არ უნდოდა. მამა მამინ კაიროში მუშაობდა, რომ ჩამოვიდა, ვუთხარი: — ასეა-მეთქი. მითხრა — მე ვნახავ, შენ არ შემოხვიდეო. — ჩემი გოგონა მამაჩემისგან რომ გამოვიდა, მითხრა — მევიოლინეობა მინდაო. გული მწყდება, რომ მამას ღვანღლი ისე არ დაფასდა, როგორც უნდა დაფასებულიყო. მარინეზე აღარაფერს ვამბობ, მარინე ეს ჩემი ტკივილია. მაგალითად, რატომ არ უნდა იყოს მამაზე რამე, თუნდაც მამას სურათი მის კლასში, ან მისი სახელობის კლასი? ჩვენ, სამივე და ჩვენი შვილებიც, თუ რაღაცას წარმოვადგენთ, მამას დამსახურებაა. ამ კაცს ჰქონდა არაჩვეულებრივი ალღო ბავშვებთან მეცადინეობის, უყვარდა ეს საქმე, მისი გავკეთილები იყო რაღაც ფოიერვერკი. სხვათა შორის, სულ უნდოდა დაეარსებინა იაშვილების სკოლა, მერე მარინესაც უნდოდა. იცით, ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ ჩვენ არასდროს ვილტვოდით იმ წრეებთან დაახლოებას, საქმისთვის საჭირო რომ იყო.

მ.გ. — ეს საშინელი ქართული თუ საბჭოთა სენია —



ირინა იაშვილი სხუაქანსაზთან ერთად. ნოვი-სალის კონსერვატორია

ხელოვანთა ლტოლვა მმართველი წრეებისაკენ, მათთან დამილარული ურთიერთობით კონწიანობა, ამით კმაყოფილება და სიამაყე. ეს ყველაფერი ამბობენ ხოლმე. რატომ უნდა გზიბლავდეს ე.წ. „კარის მუსიკოსობა“ ან „კარის მსახიობობა“ და ა.შ. არცთუ დიდი ხნის წინ, ვიყავი ერთ-ერთ ეპარქიაში კონცერტზე სადაც ეპარქიის წინამძღვარმა სიტყვაში აღნიშნა: დიდი მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას, ჩვენ ღონისძიებას რომ ესწრებაო (მგონი გამგებელი ესწრებოდა), მაშინ, როცა პატივი „ხელმძღვანელობისთვის“ უნდა ყოფილიყო იქ დასწრება და მუსიკოსებისა თუ მღვდელთმსახურის სიტყვის მოსმენა. არ მესმის და ვერც გავიგებ, რატომ უნდა ელტვოდე იმათ და ლაქიობდე იმათთან,

ვინც ინტელექტუალურად, ღირებულებებით თუ ღვანღით ქვეყნის წინაშე, შენზე ბევრად დაბლა დგას?

ი.ი. — გეთანხმებით. იაშვილები, ჩანს, გედმეტად „თავმდაბლები“ ვართ. ეს, ალბათ, საქმისთვის ცუდია. არ მესმის რატომ არ უნდა იყოს ლუარსაბ ან მარინე იაშვილის სახელობის სკოლა? ეს ხომ შენი კულტურის ტრადიციის, დონის მაჩვენებელია.

მ.ჯ. — მით უფრო, რომ სიმებიანებზე დამკვრელთა რაოდენობა დღითი-დღე ისე იკლებს, ცოტა ხანში, ალბათ, ორკესტრებს ვეღარ შევავსებთ.

ი.ი. — იცით, კიდევ რა მანუხებს? ერთი ადამიანი ჩაივდებს ხოლმე ძალაუფლებას ხელში, მერე ის ვარშემო იკრებს მხოლოდ იმათ, ვინც ესიმპათიურება,

ან მოსწონს და შემდეგ ის უნდა იყოს და იყოს... როდემდე? ეტყობა — მარად! გნებავთ, მთავრობა აიღეთ, გნებავთ სხვა სფერო. ყველას მარადიულად უნდა ძალაუფლება, ვერ სწყდებიან სკამებს. მერე სადღა აქვთ ახლანდელ რექტორებს ის ავტორიტეტი ძველ რექტორებს რომ ჰქონდათ? ან როგორი პროფესორები იყვნენ! ბუნებრივია, თაობები უნდა წავიდნენ, მაგრამ ვინ ცვლის იმათ, ამას ხომ აქვს არსებითი მნიშვნელობა?..

მ.გ. — ვინ უნდა ცვლიდეს? თუ ვინმე გამორჩეულია, თითქმის ყველა უცხოეთში მიდის. მუდამ ევროპაზე გვაქვს სწორება და ამიტომ კიდევ ერთხელ ჩაგვიკითხებით, ასეა ევროპაში?

ო.ი. — არა. ჯერ ერთი, ბოლონის პროცესს ყველა ქვეყანა არ შეუერთდა, იგივე მოსკოვის კონსერვატორია. მაგალითად, მარინე მუშაობდა ოისტრახის კლასში. ჯერ მარტო რომ შეხვალთ კლასში (მე ხომ ცოტა ხანს ოისტრახის სტუდენტი ვიყავი, მერე ვავთხოვდი და წამოვედი), თითქოს ოისტრახის სული ტრიალებს — ოისტრახის უბარმაზარი სურათი ჰკიდია კედელზე, მისი სავარძელიც იქვე დვას, სადაც მარინე იჯდა ხოლმე. ცხადია, სულ სხვა განწყობა იქმნება. აქ კი კონსერვატორიაში შედიხარ როგორც ყაზარმაში.

პირველ ყოვლისა, მარინეზე მწყდება გული, სათანადოდ არ არის დაფასებული ეს ბუმბერაზი მუსიკოსი, ისე, როგორც იმსახურებს და ამის თქმის არ მრცხვენია. მის გაკვეთილებზე რომ ვიჯექი და ვუსმენდი, გაოცებას ვერ ვფარავდი — საიდან სად მიდიოდა!..

მ.გ. — დასანანია, რომ ეს გაკვეთილები ვიდებოვ არავინ დააფიქსირა. მე ჩანერილი მაქვს მასთან ვრცელი ვიდებო-ინტერვიუ, გაკვეთილები — სამწუხაროდ, არა. თბილისში ჩატარებული მასტერკლასები იქნებ გადაიღო ვინმემ?

ო.ი. — არა, ყველაფერი დაკარგულია. ახლა მარინეს ვიოლინოზე გვაქვს ბრძოლა, მარინეს ქალიშვილი იბრძვის. მარინე რომ გარდაიკვალა, ვის ეცალა ვიოლინოსთვის... ჯერ დაკრძალული არც იყო, კულტურის სამინისტროდან დაგვირეკეს — დააბრუნეთ ვიოლინო. ეს ვიოლინო მარინეს უყიდა კულტურის სამინისტრომ, როცა საერთაშორისო კონკურსის პირველი ქართველი ლაურეატი გახდა. მარინეს პედაგოგი იყო კონსტანტინ მოსტრასი და მან შემოუთვალა ჩვენ

კულტურის სამინისტროს, — ამ ინსტრუმენტს ვაყვიდი, თუ იყიდის მარინე იაშვილი — და უყიდეს. მარინე 60 წელზე მეტი ამ ინსტრუმენტზე უკრავდა, ისე უვლიდა, როგორც ბავშვს. დღეს კი არ ვიცი, სად არის მარინეს ვიოლინო. როგორც გავიგეთ, რუსეთის წარმომადგენლობიდან ვივი შულაროვი მისულა სამინისტროში და წაუღია ინსტრუმენტი. ახლა დავა იმაზეა, რომ ინსტრუმენტი შეძენილი იყო საბჭოთა პერიოდში. მერე რა? იყიდა საქართველომ. ფაქტია, რომ ინსტრუმენტს ჯერჯერობით ვერ აბრუნებენ. მოკლედ, არ ვიცი სად არის და არც არავის არ აინტერესებს. არადა, ინსტრუმენტი თუ დიდი ხანი არ გამოიყენე — კვდება. მარინეს ქალიშვილი არაერთხელ იყო ოდიშარიასთან, მაგრამ არც მავს აინტერესებდა არაფერი. დაგვიბრდნენ — გავიკითხავთო, მაგრამ არ ჩანს დღემდე.

დაკუბრუნდები დღევანდელ მდგომარეობას. სერბეთიდან რომ ჩამოვედი, არაფერი მებადა. მე თქვენ გეტყვით — რამე დავაგროვე, ვერაფერი! ჩამოვედი — არც სამსახური, არც არაფერი. ნიჭიერთა ათწლეულმა შემიფარა. მაშინ ნინო მამრაცხე იყო დირექტორი და დიდად მაღლობელი ვარ მისი. ამ პერიოდში ვმუშაობდი საჩხერეს მუსიკალურ სკოლაშიც, იმიტომ, რომ წარმოშობით იქაურები ვართ და ვიფიქრე — დავებმარებო-მეთქი. ვაგიჟებული ვიყავი, თუ რა პირობებში მუშაობდა ხალხი, რა უბედურ დღეში იყვნენ. თქვენ თუ გვინათ, იქ ვინმემ მომაქცია ყურადღება, ცდებით. არადა თბილისიდან სამარშრუტო ტაქსით ჩავდიოდი ყოველ შაბათს, ვამეცადინებდი ვაყინულ კლასში და იმავე საღამოს ვბრუნდებოდი თბილისში. ჩემი თავი მეზიზღებოდა. ანაზღაურება არ გაინტერესებო? 280 ლარი! აქედან 80 ლარი მიდიოდა გზაში. ეს იყო 2011-12წწ. აი, რატომ არა აქვთ მუსიკის სწავლისათვის ბავშვებს მოტივაცია. პროფესორს 200 ლარი ხელფასი და 150 ლარი პენსია რომ ექნება, რა მოტივაცია უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას? ეს დაცინვაა! ეს მაშინებს მე. არავის კისერზე არ მინდა ყოფნა, მე თვითონ უნდა მქონდეს სამყოფი ანაზღაურება, რატომაც არა?! რატომ უნდა იყვნენ ასეთ დამცირებულ მდგომარეობაში პროფესორები, თუ გნებავთ, რიგითი პედაგოგები? ქვეყანაში დაფასებული უნდა იყოს ადამიანი, მას უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ ის ამ ქვეყნის

შვილია და რომ ქვეყანა ბრუნავს მასზე, რა თქმა უნდა, ხალხიც უნდა ეცადოს დაეხმაროს ქვეყანას. მოკლედ, უამრავი პრობლემაა, რომლებიც სასწაფო გადანწყვლას საჭიროებენ.

მ.გ. — ჩვენ პასიურობასაც ვაბრალებ ამას. იმას ვერ მიაღწიეს მუსიკის პედაგოგებმა, რომ მათი სტატუსი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგის სტატუსს გაუთანაბრდეს. ნუთუ არ შეიძლება ამის თაობაზე ვინმემ, თუნდაც კულტურის სამინისტრომ, პარლამენტში კანონპროექტი შეიტანოს? ღირსეული ხელფასი მოითხოვოს მუსიკის პედაგოგებისათვის და ა.შ. სამწუხაროდ, იმ სამთავრობო ელიტასთან მიახლოებული ხელოვანთათვის, რომლებიც ყველა კარებს ადვილად აღებენ, ხელისუფლებასთან აუდიენციებზე საკუთარი საზრუნავი და სათხოვნელი სჯაბნის ხოლმე საქვეყნოსა და საზოგადოს. ალბათ, არიან გამონაკლისებიც, მაგრამ...

მრავალ პრობლემაზე ვისაუბრეთ. როგორია თქვენი ხედვა, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი გამოსწორდეს?


ი.ი. — მართალი ვითხრათ, ძალიან ბუნდოვანი ხედავა მაქვს იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება. იმდენად არის ყველაფერი დანგრეული, რომ ამას წლები დასჭირდება. მშობელი ასე ფიქრობს, რად მინდა მუსიკა ვასწავლო შვილს, რას მისცემს? მახსოვს, ერთმა მშობელმა მკითხა: — შეძლებს ჩემი შვილი ამ საქმით ფულის შოვნასო? — უკვე ამაზე ხალხი გადასული. როგორც ვითხარით, საჩხერეს სკოლაში ვასწავლიდი, ასევე ჭიათურაშიც. ის პერიოდი რომ გამახსენდება, თავის მოკვლა მინდა. ერთ-ერთი კულტურის სახლის დირექტორმა მკითხა, — რამდენს იღებთ ხელფასსაო. — მე ვუთხარი ჩემი ხელფასის ოდენობა — 200 ლარზე ცოტა მეტს-მეთქი. მას ძალიან გაუკვირდა და მითხრა, რომ მათ რაიონში ჩასული ყოფილა ჩვენი ცნობილი საესტრადო მომღერალი, რომლისთვისაც 80 000 ლარი ჩაურიცხავთ ჰონორარის სახით, წარმოვიდგენიათ?! მე ძალიან მიყვარს ის ადამიანი, პატივს ვცემ და ვმეგობრობ კიდევ, მაგრამ რატომ უნდა იყოს ასეთი სხვაობა ჩვენ ანაზღაურებებს შორის? დემრთმა მისკეს, მაგრამ ასეთი განსხვავება შეიძლება?! ამაშიც ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება პროფესიული

მუსიკისადმი, სულიერებისადმი. სამწუხაროდ, მდარე ხარისხის შოუ-ბიზნესით, უგემოვნებო კონცერტებით ცხოვრობს დღეს საქართველო.

დაბოლოს, იცით კიდევ რაზე მწყდება გული? ჩემს კოლეგებს, ჩემს მეგობრებს შორის არავის არ ანუხებდა ის, რომ მე კონსერვატორიაში აღარ ვარ, არავის! არ მესმის რატომ არ ანუხებდათ ეს ამბავი. როცა ხედავ, რომ შენი კოლეგა, მეგობარი, რომელიც არ არის წყალში გადასაგდები მუსიკოსი, გარეთ დარჩა, არ ანუხებს ეს ამბავი? იმის ნაცვლად თვითონ მოითხოვონ იაშვილის ერთი წარმომადგენელი მაინც რომ იყოს კონსერვატორიაში? სამწუხაროა!

მ.გ. — ასეთი მაგალითებით სახსვს ჩვენი ბოლო ათწლეულების ცხოვრება. ასე მოხდა ტელევიზიის დაშლა, უვარგისი სამუსიკო რეფორმების ჩატარება, ვაჟა ჩაჩავას ტრაგიკული გარდაცვალება, იოსებ კეჭაყმაძის კონსერვატორიიდან დათხოვნა, სხვა და სხვა. სამწუხაროდ, მსგავსი რამ დღესაც გრძელდება. ასეთმა მაგალითებმა და შემდეგ საკუთარი სინდისის ქენჯნამ ათქმევინა გერმანულ პასტორს, მარტინ ნიმიოლერს სიტყვები, რომელიც მსოფლიოს მოედო: „როდესაც ნაცისტები კომუნისტების წასაყვანად მოვიდნენ — მე ვდუმდი, მე ხომ კომუნისტი არა ვარ. შემდეგ ისინი სოციალ-დემოკრატების წასაყვანად მოვიდნენ, მე ვდუმდი, მე ხომ სოციალ-დემოკრატი არა ვარ. შემდეგ ისინი პროფკავშირის წევრების წასაყვანად მოვიდნენ, მე ვდუმდი, მე ხომ პროფკავშირის წევრი არა ვარ. შემდეგ ისინი ებრაელების წასაყვანად მოვიდნენ, მე ვდუმდი, მე ხომ ებრაელი არა ვარ. ხოლო შემდეგ ისინი ჩემს წასაყვანად რომ მოვიდნენ, უკვე აღარავინ იყო, ვინც პროტესტს გამოთქვამდა“. სამწუხაროდ, ასეა ხოლმე, სანამ ჩვენ არ მოგვადგებიან, მანამ სირაქლემას პოზაში ვგჩვევია ყოფნა.

ქ-ნო ირინე, დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის. წარმატებებს გისურვებთ თქვენ და თქვენ ღირსშესანიშნავ საგვარეულოს. ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ოდესმე ყველას და ყველაფერს თავის ღირსეულ ადგილს მიუჩენენ და თუ ეს დღეს არ მოხდება, მწამს, რომ ყველაზე მიუკერძოებელი მსაჯული — დრო თავის სამართლიან ვერდიქტს გამოიტანს — „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“.



კომპოზიტორ არჩილ ჩიმაკაძის საიუბილეო 95 წელი. მის ჟანრულად მრავალფეროვან შემოქმედებაში წამყვანი ადგილი ვოკალურ და საგუნდო-სიმფონიურ მუსიკას უჭირავს. კომპოზიტორისადმი ჩემი, როგორც ქორმაისტერის სუბიექტური დამოკიდებულებაც აქედან მომდინარეობს. ამ ჟანრებში თითქმის ყველა ქმნილება მახასიათებელი ლირიზმით გამოირჩევა.

ლირიზმი ვახსენო და არ შევცხო კომპოზიტორის რომანსს „შენი დაღალნი“ – წარმოდგენელია. ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ საოცრად მელოდიურ ლექსს, ვფიქრობ, ჩიმაკაძემ საკადრისი პოეტური მელოდია შეუსატყვისა. რომანსი, რომელიც გამორჩეულია მღერადობით, გულში ჩამწვდომი მელოდიით, ემოციითა და ლირიზმით, ქართული რომანსის ჟანრის ერთ-ერთი განსაკუთრებული მაგალითია. რადგან ბარათაშვილით დაგინწყე, მინდა ამავე ხაზით მის პოეტურ შედეგრზე შექმნილ კომპოზიტორის აკაპელაზე – „შევიშრობ

მეზღვრული ლირიკოსი

პიო აზრასაძი

რეალობაა – არჩილ ჩიმაკაძე (1919-1991) იმ მუსიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედებაც დღეს, სამწუხაროდ, ნაკლებად მოთხოვნილია და შესაბამისად, საზოგადოება მცირე ინფორმაციას თუ ფლობს მათი, როგორც შემოქმედის შესახებ.

ზოგ კომპოზიტორზე ბევრი იწერება. მათი მოღვაწეობა განიხილება სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა ტრილში. ვფიქრობ, საინტერესოა საზოგადოებას შეახსენო მის მიერ მივიწყებული ხელოვანის სახელი.

ამგვარად, გადავწყვიტე ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული ამ წერილით აღმენიშნა

ცრემლსა“ – გადავიდე, რომელიც 1968 წელს დაინერა. ეს ის პერიოდია, როდესაც სულხანიშვილის აკაპელების შემდეგ ერთადერთი ღირებული ნიმუში ამ ჟანრისა მხოლოდ ალექსი მაჭავარიანის „დოლორი“ გახლდათ. არჩილ ჩიმაკაძის „შევიშრობ ცრემლსა“ ხსენებულ „დოლოურთან“ ერთად ქართული აკაპელის ჟანრში ავსებს სიცარიელეს სულხანიშვილიდან – კეჭყაძემდე. მისი მხატვრული ღირებულებიდან გამომდინარე ეს გუნდი დღემდე შედის ჩვენი აკადემიური საგუნდო კოლექტივების რეპერტუარში. მასში მეტ-ნაკლებად იკვეთება ქართული ბგერწერის სულხანიშვილისეული ტრადიციაც და უცხოეთში მიღებული აკადემიური



მარცხნიდან: არჩილ ჩივაკაძე, პიძინა კვიციანი, ტარიელ გაქრაძე, სულხან ნასიძე, ღავით თორაძე, ოთარ გორდელი, რევაზ გავრიშვილი, ანატოლი ზასკაპოვი

განათლების კვალის (მან 1951 წელს დაამთავრა ასპირანტურა მოსკოვის კონსერვატორიაში კომპოზიტორ ალექსანდროვის ხელმძღვანელობით).

კომპოზიტორის შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი ტილოც სწორედ ვოკალურ-სიმფონიური მუსიკის ჟანრში შეიქმნა. ეს გახლავთ კანტატა „ქართლის გული“ – სოპრანოს, გუნდისა და ორკესტრისათვის მ. აბულაძის ტექსტზე. კანტატა შეიქმნა 1952 წელს. მისი პრემიერა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, დიდ მოვლენად იქცა.

ცნობილია, რომ ქართული კანტატა-ორატორიის ჟანრის აღმავლობა იწყება 60-იანი წლებიდან. ჟანრის

ყველაზე სრულყოფილ ნიმუშებად ქართულ მუსიკაში დღემდე ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიები მიიჩნევა („რუსთაველის ნაკვალევზე“ – 1964 წ. და „ნიკოლოზ ბარათაშვილი – 1970 წ.). 60-იან წლებამდე კი „ქართლის გული“ ამ ჟანრის უპირობო ლიდერად მიიჩნეოდა.

„ქართლის გული“ მართლაც საინტერესო ქმნილებაა. თუმცა მის მიმართ შემდგომში განვლულ ინტერესსაც ობიექტური ახსნა აქვს. აქ საყურადღებოა 20-50-იანი წლების ზოგადი ტენდენცია ქართველი კომპოზიტორებისა. 20-იან წლებში შექმნილი პირველი ორი ქართული კანტატა – „დიდება ზაჰესს“ (მ. ბალანჩივაძე) და „ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთა-



მარსხნიდან: არჩილ ჩივაკაძე, შოთა შილორავა, პავლე სუჭუა

ვისადმი“ (ზ.ფალიაშვილი) სოციალისტური იდეოლოგიის პირდაპირი ხოტბაა. მათ შორის 1949 წელს შექმნილი მშველიძის „კავკასიონი“, რომელიც ფორმისა და დრამატურგიის მხრივ წინამორბედებზე გაცილებით მაღლა დგას, ბოლომდე მანც ვერ გაქცა სოცრელიზმის მხატვრულ ღირებულებებს. 1952 წელს შექმნილი „ქართლის გული“ კი წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია. მასში თუ გავმიჯნავთ ტექსტსა და მუსიკას, უკვე მივიღებთ ორ განსხვავებულ ბუნებას. თუ ცალკე განვიხილავთ მუსიკალურ ენას, ერთის მხრივ აქ ამკარად იკვეთება კავშირი ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან, თუმცა ხშირად ეროვნული მოტივებიც კი გადაწყვეტილია სოციალისტური მარშის (მით უფრო დღევანდელი აღქმით) ტრილში. ამ სულისკვეთებას ამძაფრებს კანტატის ტექსტი. სწორედ ვერბალურ ნაწილში საბჭოთა იდეალების განდიდების გამძაფრებას უწყობს ხელს მარშისთვის მახასიათებელი რიტმ-ინტონაციები. თუმცა ეს არ არის სრული სახე კანტატი-სა. მისი შუა ნაწილი – „ძველი ციხის გაღვანთან“ მთლიანად ქართულ ხალხურ მასალაზეა აგებული. კანტატა ქართულმა საზოგადოებამ დიდი პაუზის შემდეგ, 2012 წელს მოისმინა თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალზე გაერთიანებული გუნდების შესრულებით (დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი). თავად გახლდით კანტატის შემსრულებელი სახელმწიფო საგუნდო კაპელიდან. ვფიქრობ, ნაწარმოების სრულყოფილებიდან გამომდინარე – ფორმით, სტრუქტურით, მუსიკალური მასალის იმპროვიზაციული განვითარებით, თუ საგუნდო ფაქტურით ის ღირსია არსებობისა, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში ჩვენი განვლილი ისტორიის ფურცლებიდან, რომელიც თავისუფლად მოაზროვნე ხელოვანის მიერ რკინის ფარდის ქვეშ შეიქმნა. აქვე მახსენდება ერთ-ერთი ფაქტი რევაზ ლალიძის სიმღერასთან დაკავშირებით – „როცა მოგვიხმობს პარტია“, რომლის მუსიკალური მასალის „შენარჩუნების“ მიზნით მოხდა ცვლილებების შეტანა ვერბალურ ტექსტში...

ა. ჩიმაკაძის ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოებებიდან დიდი გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე „პროლოგმა“ მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციიდან „ვეფხისტყაოსანი“ გუნდის, სიმფონიური ორკესტრისა და მთხრობელისათვის (1962). შესრულდა მხოლოდ

ერთი ნაწილი „თინათინის მეფედ კურთხევა“, რუსთაველის საიუბილეო დღეებში (1966).

არჩილ ჩიმაკაძე სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად განაგრძობდა მუშაობას ვოკალურ-საგუნდო მუსიკის უანრში. შექმნა აგრეთვე ცალკეული საესტრადო სიმღერები, პალადები, რომანსები, აკაპელები და ნაწარმოებები ვოკალური ანსამბლებისათვის. უფროს თაობას ემახსოვრება თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი „ფიროსმანის სიმღერა“ (1961), რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა მამია ხატელიშვილის ანსამბლი. კომპოზიტორი აქტიურად თანამშრომლობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებთანაც.

ასევე, აღსანიშნავია არჩილ ჩიმაკაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მან პირველი უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის განხრით მიიღო. სამამაულო ომის წლებში გახლდათ მათემატიკის მასწავლებელი თბილისის პირველ რკინიგზელთა საშუალო სკოლაში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ (1946) კი აქტიურად იწყებს მუსიკალურ შემოქმედებას. 1960-67 წლებში მუშაობს დირექტორის თანამდებობებზე პირველ მუსიკალურ სასწავლებელში, თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრში (1963-1967). 1978 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრის დოცენტი. 70-იან წლებში გახლდათ საქართველოს ტელერადიო კომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა სამხატვრო ხელმძღვანელი.

დღეს არჩილ ჩიმაკაძის სახელს ატარებს თბილისის №3 ხელოვნების სკოლა.

არჩილ ჩიმაკაძე საბჭოთა პერიოდის ქართული სა-მუსიკო ხელოვნების მეტად თვითმყოფადი ფიგურაა, რომლის მთელ შემოქმედებას გასდევს ლირიზმით სავსე მელოდიკა. თავსმოხვეული იდეოლოგიის მიუხედავად კი მის მუსიკაში ხშირად იგრძნობა თავისუფალი აზროვნება და კავშირი ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ შემოქმედებასთან.

მანანა ანიკაშვილი

140 წელი შესრულდა საქართველოში პროფესიული სამუსიკო განათლების პირველი კერის დაარსებიდან. ამ დიდი ეროვნული საქმის თავკაცების: ხარლამპი სავანელის, ალოიზ მიზანდარის და კონსტანტინე ალიხანოვის მიერ შექმნილი სამუსიკო სკოლა, შემდეგ კი სასწავლებელი პირველია არამართო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. აქ აღიზარდა თაობები მუსიკოსებისა, თავისი შემდგომი მოღვაწეობის სარბიელად რომ აირჩიეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქების სამუსიკო დანესე-

ტოვ-ივანოვი, ნ. ნიკოლაევი, კ. იგუმნოვი, ჰ. ნეიჰაუზი, ი. აისბერგი — მოსკოვის, პეტერბურგის, ბერლინის, ლაიფციგის, ვენისა და ვარშავის კონსერვატორიების აღზრდილი მუსიკოსები.

ამ სკოლა-სასწავლებლის მეცენატები იყვნენ: ან. რუბინშტეინი, პ. ჩაიკოვსკი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ალ. გლაზუნოვი, ს. ტანეევი, ლ. აუერი, ალ. გოლდენვეიზერი და სხვანი, რომლებთანაც უმაღლეს მუსიკალურ განათლებას იღებდნენ პირველი სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულები.

დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებად იქცნენ კავკა-

ალოიზ მიზანდარის სახელობის სკოლის 140 წლის იუბილე

ბულებები და საკონცერტო ორგანიზაციები. დიდია ამ პირველი სამუსიკო კერის მნიშვნელობა ეროვნული კადრების აღზრდის თვალსაზრისითაც. ეს იყო მკვიდრი საძირკველი, რომელზედაც აღმოცენდა და ვითარდება საქართველოს პროფესიული სამუსიკო განათლების ისტორია, მდიდარი ტრადიციები, სახელოვანი წარსული და აწმყო. საამაყოდ ისიც გვეყოფა, რომ | სამუსიკო სასწავლებლის აღზრდილია ქართული მუსიკის დიდი კლასიკოსი ზაქარია ფალიაშვილი.

| სამუსიკო სკოლა-სასწავლებელთანაა დაკავშირებული მრავალი სახელოვანი მუსიკოსის მოღვაწეობა — პ. ჩაიკოვსკის, ან. რუბინშტეინის, ე. პეტრის, ა. ესიპოვას მიერ თბილისში ჩატარებული კონცერტები და თბილისელ მუსიკოსებთან მეგობრული ურთიერთობა. პირველ სკოლა-სასწავლებელში მოღვაწეობდნენ: მ. იპოლი-

სიაში პირველი სამუსიკო კერის ფუძემდებლები, მათი მოსწავლეებისა და მიმდევრების უმრავლესობა. მათმა შემკვიდრებმა დღემდე პირნათლად მოიტანეს ის დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რომელთანაც დაკავშირებულია მრავალი მუსიკოსის ცხოვრება და შემოქმედება.

1874 წელი... პირველი სამუსიკო სკოლის დაარსების ოფიციალური თარიღი... ხარლამპი სავანელი და ალოიზ მიზანდარი თხოვნით მიმართავენ ტფილისის გუბერნატორსა და საიდუმლო მრჩეველს კონსტანტინე ორლოვსკის... კავკასიის მთავარგამგებელმა ნება დართო სამუსიკო განათლების ინიციატორებს განეხორციელებინათ სურვილი. ხ. სავანელმა, ალ. მიზანდარმა და კ. ალიხანოვმა მცირე სახსრებით გახსნეს სამუსიკო სკოლა.

გაზეთი „დროება“ 1874 წელს ორჯერ აქვეყნებს განცხადებას მუსიკის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ. სამუსიკო სკოლის გახსნის თარიღად 1874 წელი ჩანერეს, ხოლო ოფიციალურად სამუსიკო სკოლა 1876 წელს ეწოდა. ალ. მიზანდარი და კ. ალიხანოვი საფორტეპიანო კლასს უძღვებოდნენ, ხოლო სიმღერისა და მუსიკის თეორიას – ხ. სავანელი. მათ სკოლაში მოიწვიეს აგრეთვე ვარშავის კონსერვატორიადამთავრებული, პირველი ქართველი მევიოლინე – ანდრია ყარაშვილი, რომელიც ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა. პირველ სასწავლო წელს სკოლაში ირიცხებოდა 10 მოსწავლე, 1879 წლისთვის კი – 92 მოსწავლე და 10 მასწავლებელი.

ხ. სავანელი (1842–90 წწ.) პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი, პედაგოგი და ლოტბარი იყო. სამუსიკო განათლება მიიღო პეტერბურგის კონსერვატორიაში და შემდეგ ნაყოფიერ საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსეთსა და საქართველოში. სავანელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ვოკალური სკოლის დაფუძნებაში; ასევე იყო საგუნდო ხელოვნების ჩინებული მკოდნე და გატაცებული იყო ხალხური სიმღერების შეკრებითა და ჩანერით. ქართველი საზოგადოება დიდად აფასებდა სავანელის მოღვაწეობას. „რუსეთის მუსიკალური საზოგადოების“ თბილისის განყოფილებამ სავანელი თავის მუდმივ, საპატიო წევრად აირჩია.

სამუსიკო სკოლის დაფუძნების საქმით სავანელთან ერთად მეტად დაინტერესებული იყო პირველი ქართველი პიანისტი ალოიზ მიზანდარი (1839–1912 წწ.), რომელიც იყო ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი, საქართველოში სამუსიკო განათლების პროპაგანდისტი, თვალსაჩინო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პირველი საერთაშორისო მნიშვნელობის პიანისტი-ვირტუოზი, პირველი ქართველი პროფესიონალი კომპოზიტორი. ალ. მიზანდარი, ხ. სავანელთან და კ. ალიხანოვთან ერთად გახდა დამაარსებელი I სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის, რომლის ბაზაზეც შემდეგ აღმოცენდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

იკვლებოდნენ სამუსიკო სასწავლებლის დირექტორები: 1986–1893 წლებში – იპოლიტოვ-ივანოვი, 1893–



ალოიზ მიზანდარი

1902 წლებში – კლენოვსკი, ხოლო 1902–1917 წლებში – ნიკოლაევი. მონვეულ პედაგოგთა შორის იყო ჩვენი ეპოქის უდიდესი მუსიკოსი, პედაგოგი და პიანისტი ჰენრიხ ნეიჰაუზი. ამ პერიოდში სამუსიკო სასწავლებელი გადაკეთდა კონსერვატორიად და ბინა დაიდო გრიბოედოვის ქუჩა 8-ში. სკოლამ, დაარსებიდან 8-ჯერ შეიცვალა შენობა...

1932წ., I სამუსიკო ტექნიკუმთან დაარსდა სამუსიკო სკოლა – დირექტორი ელენე ქიქოძე. 1945 წ. სკოლის მამულიშვილური ტრადიციები განაგრძო პ. ახალკაცმა.

1960წ., სასწავლებელს გამოეყო I სამუსიკო სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ენერგიული ქალბატონი – ლია ავალიშვილი. იგი 30 წლის მანძილზე ღირსეულად განაგრძობდა ხ. სავანელისა და ალ. მიზანდარის დაწყებულ საქმეს. სწორედ ამ წლი-



სარლაპი სავანალი

დან იწყებს სკოლა დამოუკიდებელ არსებობას, მას ენიჭება ალოიზ მიზანდარის სახელი.

1990 წელს, I სამუსიკო სკოლის დირექტორად ინიშნება ნუგზარ მირზაშვილი.

I სამუსიკო სკოლა და სასწავლებელი ფიზიკურად გვერდიგვერდ შენობებში არსებობდნენ, ერთ ეზოში, ძველ თბილისში, ენგელსის ქ. 14-ში (ამჟამად ლ. ასათიანის ქუჩა). ყველას გვახსოვს ავადსახსენებელი 90-იანი წლები. თბილისის ომის დროს დაანგრეს ეს ორივე შენობა. I სამუსიკო სკოლა და სასწავლებელი იძულებული იყო 10 წლის მანძილზე შეხიზნულიყო იმავე ენგელსის ქუჩის ბოლოს მდებარე საღამოს სკოლის შენობაში, სადაც შაბათ-კვირას ეთმობოდათ კლასები, მხოლოდ ჯგუფური მეცადინეობებისთვის. პედაგოგთა უმეტესობა, გადავიდა ბინებში სამუშაოდ და იქ ატარებდნენ ინდივიდუალურ გაკვეთილებს. ასე გავატარეთ ეს საშინელი წლები: უშენობოდ, უშუქოდ, გათბობის გარეშე; მაგრამ პედაგოგთა თავგანწირვით მაინც ვადარჩა I სამუსიკო სკოლა, არ განადგურდა, რაც გვირობის ტოლფასი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, 10 წლის წვალების შემდეგ, I სამუსიკო სკოლას დედაქალაქის მთავრობამ გამოუყო შენობა ორჯონიკიძის ქუჩაზე (ახლანდელი ჩუბინაშვილის ქ. 42).



ალოიზ მიზანდარის სკოლის პედაგოგთა კოლექციური. ცენტრში მარცხნიდან: ნ. ნიკოლაძე, ა. მიზანდარი

2011 წლიდან, I სამუსიკო სკოლას სათავეში ჩაუდგა მანონ ბუაძე – აქტიური, პრინციპული, საქმიანი და კარგი ორგანიზატორი. სკოლა მოღვაწეობს სოცოცხლით სავსე შემოქმედებითი ცხოვრებით, რომელსაც ბევრი ახალგაზრდა ენერგიული პროფესიონალი პედაგოგი შეემატა. ამჟამად სკოლაში 29 პედაგოგია.

საფორტეპიანო განყოფილება: გოგინა შეყრილაძე – განყოფილების გამგე, ირინა ფიცხელაური, ლიანა პეტრიაშვილი, მარინა ალიაშვილი, ლილი ლეზგიშვილი, ნატალია ბარდაველიძე, მარინა სამხარაძე, ირინა ჯანაშვილი, ფატი ნიჟარაძე, თინათინ ცაგარეიშვილი, ნინა გვასალია, თინათინ ვაზაგაშვილი, ანა არველაძე, მაია ჯინჭველაშვილი, ნათია ჯიქია.

თეორიული განყოფილება: მანანა ანიკაშვილი – განყოფილების გამგე, მანონ ბუაძე, ლიკა მაჭარაძე, ანგელინა ნამგალაძე, ია ქიტუაშვილი, მანანა ალფაიძე, მონაზონი ელისაბედ ბოკუჩავა.

საორკესტრო განყოფილება: ია ბახტაძე – განყოფილების გამგე, ვლადიმერ ედილაშვილი, ქეთევან თავშავაძე, ნინო მუხიგული, პაატა ბერიძე, ბიქტორ კიკაჩიშვილი.

საესტრადო-ვოკალური განყოფილება: ვერა გრიგოლია.

კონცერტმასიტერები: გოგინა შეყრილაძე, ნინა გვასალია, მაია ჯინჭველაშვილი.

ამჟამად, I სამუსიკო სკოლაში მოღვაწეობენ ალ. მიზანდარის მოსწავლეთა ნამონადრები: ირინა ფიცხელაური, ლილი ლეზგიშვილი, მარინა ალიაშვილი, ლიანა პეტრიაშვილი. ასე მყარდება „ნათესაობა“ თაობათა შორის და ნათელი ეფიხება იმ პირველ კერასთან – I სამუსიკო სკოლის მემკვიდრეობის უფლებას.

გასული სასწავლო წლის ბოლოს I სამუსიკო სკოლა, გამორჩეული მუშაობისთვის ქალაქის მერიის მიერ დაჯილდოვდა არაერთი სიგელით, დიპლომითა და ოქროს მედლითაც.

I სამუსიკო სკოლაში დანყებითი განათლება მიიღო ქართული მუსიკალური კულტურის არაერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ, ცნობილმა კომპოზიტორებმა: ოთარ თაქთაქიშვილმა და სულხან ცინცაძემ, მუსიკისმკოდნე პავლე ხუჭუამ, დირიჟორმა ვახტანგ ფალიაშვილმა; ოპერის სოლისტებმა: ნოდარ ანდლულაძემ და ცისანა



ა. მიზანდარის №1 სამუსიკო სკოლის პედაგოგების ფოტო

ტატიშვილმა, ქართული ესტრადის მშენებამ – ნანი ბრეგვაძემ და სახელგანთქმულმა პიანისტმა ალექსანდრე კორსანტიამ; აკადემიკოსებმა: ვახტანგ ბერიძემ და ვაჟა ოკუჯავამ; რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ; მსახიობებმა: სოფიკო ტიაურელმა, რამაზ ჩხიკვაძემ, გოგი გეგეჯკორმა და მრავალმა სხვამ.

ასეთი დიდი ტრადიციების მატარებელია ალოიზ მიზანდარის სახელობის I სამუსიკო სკოლა, რომელიც დღეს დაარსებიდან 140 წლისთავს ზეიმობს. ვუსურვოთ მის ღვაწლმოსილ პედაგოგებს, ახალგაზრდა მასწავლებლებსა და მოზარდ თაობას, იყვნენ ღირსეული მემკვიდრეები ეროვნული სამუსიკო განათლების მდიდარი ტრადიციებისა და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი ქვეყნის კულტურის მშენებლობასა და შემდგომ წინსვლაში.

P.S. I სამუსიკო სკოლის დირექტორმა, საინიციატივო წერილით მიმართა ქალაქის მერიას, რათა ხ. სავანელის სახელის უკვდავსაყოფად – თბილისის რომელიმე სამუსიკო სკოლას მიენიჭოს ამ დიდი ქართველისა და უანგარო მოღვაწის სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თხოვნა ჯერჯერობით უყურადღებოდ რჩება...



ჩემი ძვირფასი დედა მოულოდნელად წავიდა, წავიდა საოცარი სიმშვიდით და ეს სიმშვიდე დღესაც ჩამესმის, როგორც საყვარელი მელოდია, უეცრად რომ გამოგეცხადება იავნანას გულშიჩამწვდომი სევდით, დილა მშვიდობის სხივებში მოციმციმე ნაცარა ჩიტით...

„მერი დავითაშვილის სიმღერები არ არის მხოლოდ მუსიკა, ეს არის გამოცხადება“ – უთქვამს დიმიტრი კაბალევსკის, დიდ რუს კომპოზიტორს.

ღმერთო, რა ხდება! რა გვემართება? რა უღმობელო ცხოვრება დაგვატყდა თავს! მაგრამ სათამაშოების სიმღერებს ვერაფერი ნაშლის, ვერც წარსულიდან, ვერც აწმყოდან, ვერც მომავლიდან. რამდენი თაობა აღიზარდა და კვლავ აღიზრდება ამ სიმღერებზე!

სადაც არ უნდა ვიყო, ისევ და ისევ თანმსდევს ჩემი ბავშვობის მელოდია. ხან ტალღასავით უკუიქცევა, რომ ძალა მოიკრიფოს და ისევ აზვირთდეს, ისევ გამაქროლოს უსაყვარლესი სიმღერების მარადცოცხალ წიაღ-

სათამაშოების სიმღერები

აიახუკა ფოლიძე

ვეძღვნი ჩემი მშობლების მერი დავითაშვილის და ვივი დოლიძის ხსოვნას

ცხოვრება გადის, წარსულში გადადის, მაგრამ დღესაც მეცოდება ის სანყალი კურდღელი, ავად რომ გახდა და არჩილმა და ხათუნამ რომ მოარჩინეს. ეს საოცარი სევდა მასხოვრობაში სათუთად შენახვას მოითხოვს, რომ ისევ და ისევ დავუბრუნდე იმას, რაც ასე მიყვარს.

საყვარელი მელოდია გულივით ფეთქავს, ნაკადულივით მოედინება, იშლება მოგონებებად; მოაქვს მას ძველი თბილისი, ძველი ქუთაისი, ბორჯომ-ბაკურიანის ულამაზესი ხეობა, სადაც პატარა მატარებელი დაბაჯბაჯებს. მელოდია მოდის, მეთამაშება, მეფერება და ამ მოფერებაში დედის ხელს ვგრძნობ...

სათამაშოების სიმღერების სევდანარევი მხიარულება სისხლივით ტრიალებს ჩემს ძარღვებში, გადმოდის გულიდან და უერთდება მუსიკის თვალუნვდნელ ოკეანეს, სიყვარულით სავსეს.

ში, ამიყვანოს ჭეშმარიტების მწვერვალზე, ჩამახედოს სულ პატარა ბავშვის გულში, რომელიც თავისი სევდითა და მხიარულებით აღემატება ყოველგვარ განცდას, განაქარვებს ყოველგვარ ტკივილს, გადამახედებს ყველაფრის მიღმა და დამანახებს იმას, რასაც არა აქვს საზღვარი, მაგრამ აქვს გარკვეული სახე, დედის სახე, ზრუნვით სავსე. ეს სახე ქმნის სიცოცხლის საყრდენს, სადაც დგახარ მყარად, თავდაჯერებულად, თუმცა მუსიკის ტალღა მიგაქანებს შორს და შორს, წარსულის და მომავლის იქით, უსასრულობისკენ, საიდანაც იბადება დიდი გრძნობა, სიყვარული რომ ჰქვია სახელად და რაც ანკარა წყაროსავით ფეთქავს სათამაშოების სიმღერებში, გითრევს სევდის და ტკივილის სიღრმეში, მაგრამ ეს ჩათრევა ნებით ჩაყოლას ნიშნავს, რადგან გულივით ძვერს მუსიკა, გაჩვენებს და გაჯერებს, რომ არსად წასულხარ შენი ბავშვობის იქით, როცა სამყარო იყო ახალშობილი, მშვიდი და ნათელი, სიზმარივით ტკბილი და დილამშვიდობის სიხარულით სავსე.

გივი*



მარი ღავითაშვილი შვილთან, მამაკაცთან ერთად

არ მინდა მოვწყდე ამ სიმღერებს, არ მინდა წერტილი დავუყვას სიტყვას, რომ არ გაიფანტოს მოგონება ჩემი მშობლების შესახებ. დედას ცხოვრება და მუსიკა სიოცხლის ერთი შეუწყვეტელი ნაკადი იყო. მამა ასაზრდოებდა მის სულს. თითქოს ისიც თანავეტორი გახლდათ ამ სიმღერების, რადგან გივის გარეშე, მისი მაღალი სულიერების და კაცური ღირსების გარეშე, მერი ვერ შექმნიდა ამ საოცრებას, ჩემი ბავშვობის სიმღერები რომ ჰქვია.

არ მინდა დასრულდეს ეს მოგონება. წერტილის დასმა ყოველთვის ძალადობაა იმ უსასრულო ნაკადის მიმართ, მუსიკასავით რომ იღვრება ადამიანის გულიდან. ეს მუსიკა მოდის და მოდის, არავინ იცის, სად იწყება და სად უნდა დასრულდეს. ის უსასრულოა თავისი არსით, როგორც უსასრულოა ადამიანის სული და იტულებული ვარ კი არ დავასრულო, მრავალწერტილით შევწყვიტო სიტყვა, რომ ისევ შემეძლოს მასთან დაბრუნება, რომ ისევ მოვყვე და მოვყვე იმის შესახებ, რასაც ვერ ამოვწურავ სიტყვით, ვერ დავარქმევ სახელს, ვიტყვი და ვერც ვიტყვი, შევიგრძნობ, მაგრამ ჩემი განცდა გასცდება გრძნობა-გონების ფარგლებს, შეერწყმება სათამაშოების სიმღერებს, აქედრდება მარადისობის სიჩუმით.

ცხოვრების დასასრულს დედამ დაწერა წიგნი – „მოგონებები გარდასულ დღეთა“. ეს წიგნი მისი მუსიკის გაგრძელებად მესახება სიტყვაში. მოგონებები დაწერა მხოლოდ ჩვენთვის, მისი შვილის და შვილიშვილებისთვის და ამიტომაც, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს ყველასთვის.

ნუთით მინდა ჩაგახედო ამ პატარა წიგნში;

1947 წლის 21 თებერვალს გივიმ თავის სახლში შემოიყვანა.

ღმერთო, რა დრო გავიდა, რა რთული და რა ბედნიერი! ეს მართლაც ბედისწერაა, რომ ამ ცხოვრებაში გივის გვერდით აღმოვჩნდი.

საოცარი ადამიანი იყო გივი დოლიძე – ხალხთან ურთიერთობის და სიყვარულის დიდოსტატი. ამაზე უფრო მეტად მას არაფერი იზიდავდა ცხოვრებაში.

ჩვენი ურთიერთობა დამყარდა ურთიერთგაგების და ერთმანეთის პიროვნული თავისუფლების აღიარებაზე. ეს რომ არა, შესაძლოა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება საერთოდ არც კი შემდგარიყო.

შემოქმედება სულის სათუთი და იდუმალი ქმედებაა, შინაგანი თავისუფლება უმთავრესია აქ. სხვა „პირობები“ არც ისე მნიშვნელოვანია. თუ ადამიანს შემოქმედებითი მუხტი „ანუხებს“, ის ყველა სიძნელეს გადალახავს და შეძლებს თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ჩემს გვერდით ისეთი მაღალი რანგის ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც ესმოდა ეს და უფროსილდებოდა ჩემს შინაგან სამყაროს. ამისთვის მე მისი დიდად მაღლობელი ვარ!

ოჯახი გივი დოლიძისთვის წმიდათა-წმიდა იყო. ყველა გადამწყვეტ საკითხში გივი საღ კლდესავით გვედგა გვერდში მე და მის ერთადერთ ვაჟს – მამუკას. განსაკუთრებით უყვარდა შვილი. შვილი იყო მისი უპირველესი ბრუნვის საგანი. დასანანი, რომ ასეთი მოსიყვარულე მამა ვერ მოესწრო მამუკას წარმატებებს მეცნიერებასა და მწერლობაში.

ბევრ რამეს ვერ მოესწრო გივი, რადგან ახალგაზრდა გარდაიცვალა, 52 წლის ასაკში. ბოლო წლებში ერთადერთი ნატვრა ჰქონდა, შვილიშვილს მოსწრებოდა. ეს ნატვრა მამუკამ შეუსრულა. როგორ გაიხარა, როცა ნანატრი გოგონა გაგვიჩნდა! ნინო წლის და სამი თვის იყო, როცა ფეხი აიდგა და სწორედ ამ დროს გაქრა სამუდამოდ მისი უსაყვარლესი ბაბუა.

* ნაწყვეტი მერი დავითაშვილის წიგნიდან „მოგონებები გარდასულ დღეთა“.



მარი ღავითაშვილი მავულაუსთან, გივი ფოლიძესთან ერთად

უდიდესი უბედურება დავატყდა თავს. თავზარდამცემი იყო ჩვენი ოჯახისთვის გივის უცარი სიკვდილი, განსაკუთრებით მამუკასთვის, რომელიც მუდამ მისკენ მიილტვოდა და ვერ ძლებოდა მასთან ყოფნით. შემდგომში, თავის მწერლობაში მამუკა შეეცადა ძალზე სათუთად შეხებოდა მამის უსაყვარლეს სახეს.

ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო გივის ბავშვობიდან. ახლოვდებოდა მისი დაბადების დღე, რომელსაც ბავშვი მოუთმენლად ელოდა და აი, მშობლებმა შესთავაზეს ამ დღისთვის გადადებული თანხა ერთ-ერთ ძალზე გაჭირვებულ მეგობრისთვის მიეცა. გადანყვეტილების მიღება გივის მიანდეს. გივიმ არჩევანი გააკეთა – გეიმის ჩატარებას მან გაჭირვებული მეგობრისთვის (რომლის მამა რეპრესირებული იყო) ხელის გამართვა ამჯობინა.* ამისთანა ფაქტები მას მთელი ცხოვრების მანძილზე უხვად ჰქონდა. ძნელია ყველას ჩამოთვლა. ბევრ გაჭირვებულ სტუდენტს დაეხმარა პირადი სახსრებით ისე, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ზრუნავდა ღარიბი სტუდენტების ჩაცმულობაზე, განსაკუთრებით ზამთარში, როცა მათ თბილი ტანსაცმელი არ გააჩნდათ. თუკი სადმე ახალგაზრდები ჩხუბობდნენ, უმალ მათთან გაჩნდებოდა, დანის ტრიალსაც არ უშინდებოდა, გონზე მოყავდა ბრანძმორეული ბიჭები.

როცა უნივერსიტეტიდან და ინსტიტუტიდან უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა პროტექციონიზმს. ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში გივიმ გულსიტკივლით აღნიშნა, თუ რა დიდი ზიანის მოტანა შეეძლო პროტექციის და ფულის საშუალებით მიღებულ სწავლა-განათლებას. მან იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში ასე აღზრდილი თაობა თავის უცოდინრობას ქვეყნის საზიანოდ წარმოაჩენდა.

როგორც მხურვალე მამულიშვილს, გივის გულთან ახლოს მიჰქონდა საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ყოველი ქმედება. იგი უჩუმრად, საკუთარი ძალებით ცდილობდა პრობლემების გადანყვეტას.

იყო შემთხვევა, როცა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული სექტორი დახურეს. გივი მაშინვე იქ გაჩნდა და ქართულ ენაზე სწავლება აღადგინა. უნდა ითქვას, რომ მის მიმართ პატივისცემა ყველგან მართლაც დიდი იყო. ყველა აფასებდა მის კაცურ, ადამიანურ ღირსებებს. ქვემო ქართლში მოგზაურობისას გივი შეხვდა ცოდნას მონყურებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ვერ ახერხებდნენ უმაღლესში სწავლის გაგრძელებას. თბილისში ჩამოსვლისთანავე მან გამოძებნა გზა მათ დასახმარებლად.

გივი დოლიძეს, მისი პიროვნული, ადამიანური თვისებების გამო, ხშირად აგზავნიდნენ სადავო საკითხების მოსაგვარებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ბოლოს, ძალზე მძიმე საქმეზე გაავგზავნეს სოხუმში. იქიდან თითქმის დაავადებული დაბრუნდა და რამოდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ბევრს დააკლდა გივი – ეს უნიკალური პიროვნება, რომელიც სავსე იყო სიკეთით და სიყვარულით. მისი ცხოვრება ბევრისთვის სამაგალითო ვახდა.

არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა და მწერალმა (თამაზ გამყრელიძემ, გურამ ჭილაშვილმა, კარლო გოქსაძემ, ალექსი ჭინჭარაულმა, ლეო კვაჭაძემ, რემო თაბუკაშვილმა, მირიან აბულაძემ, დავით ურუშაძემ...) თავისი წიგნები და ნაშრომები მიუძღვნა გივის ხსოვნას. როგორც ენათმეცნიერმა, თბილისის უნივერსიტეტი მან დაარსა გიორგი ახვლედიანის სახელობის ლაბორატორია.

* ლაპარაკია ტიციან ტაბიძის ქალიშვილ ნიტაზე, რომელიც გივის ბავშვობის მეგობარი იყო

თამაზ გამყრელიძის თაოსნობით, უნივერსიტეტ-მა სამეცნიერო კონფერენცია გამართა გივი დოლიძის ხსოვნის პატივსაცემად და გამოსცა მისი ჩანაწერები ხევსურული ტექსტების შესახებ, სადაც არამართო ენათმეცნიერებმა, ეთნოგრაფებმა და ფოლკლორის-ტებმა მოიპოვეს საინტერესო მასალა. დაიბეჭდა მისი თარგმანიც (ტურგენევი – „მამები და შვილები“).

ბევრი რამაა მოსავონარი. 38 წელზე მეტი გავიდა, რაც გივი წავიდა ჩვენგან, მაგრამ მისი სახელი ისევ ცოცხლობს მეგობრების, ახლობლების, თანამშრომლების, ნაცნობების გულში, თუმცა მათი წრე სწრაფად, სასტიკად და უღმობლად ვიწროვდება. იმ სამყაროში, ალბათ, გივი უკვე ბევრ თავის საყვარელ ადამიანს შეხვდა, მჯერა, ისინი ერთად არიან.

ღმერთო მაღალო! მაღლიერი ვარ, რომ წილად მარგუნე გივი დოლიძის გვერდით ყოფნა!

* * *

ველარ ვავრძელებ კითხვას. ჩემთვის ასეთ ძვირფას წიგნს ახლა ტკივილი მოაქვს. მიძნელდება ამ სტრიქონების წერაც. დაიხურა დედის ოთახი. სიმყუდროვე მოაკლდა ჩვენ სახლს, ჩვენს უბანს. მოვიდა გაზაფხული მთანმინდაზე, მერის გარეშე... სად წავიდე, რითი შევავსო ეს დანაკლისი? ვუბრუნდები სათამაშოების სიმღერებს. ყვავილივით იფურჩქნება კომპიუტერის ეკრანზე მუსიკალური ტალღა. ბავშვობის მელოდია ადის მაღლა და მაღლა, თითქოს უერთდება იმ ქვეყნის ზეცას და გადადის მუსიკალურ „ფანტაზიაში“. სიმებიან საკრავთა ქარი ფერს უცვლის მელოდიას და ახალი, ულამაზესი თემა წვიმის წვეთებით ეცემა ფორტეპიანოს კლავიშებს. ეს ცრემლმორეული წვიმა ფიფქის ვარსკვლავებად იქცევა და შაქარით დამტკბარი თოვლი ფარავს ბორჯომ-ბაკურიანის ნისლიან ხეობას. საყვარელი სიმღერის რიტმში ამოდის პატარა მატარებელი საახალწლო ნაძვის ხეებით მოფენილ მინდორზე. მინდვრის შუაგულში დგას დედა – მუსიკის დედოფალი და ვხედავ პატარა ბიჭს, როგორ ტრიალებს მის გარშემო, როგორ სრიალებს ფერდობზე, ადის და ჩამოდის, ვერ ძლება სრიალით... შაქარყინულივით ბრჭყვიალა თოვლი მი-



გივი დოლიძის სახლში მისი შვილები და მეგობრები

მაქროლებს სათხილამურო გზაზე, სივრცეშიც რომ არის გაშლილი და დროშიც. რაღაცას მიაშობს ხსოვნის შუქ-ჩრდილში გახვეული იავორას ველი და მუსიკა თითქოს გადმომცემს ჩემი ბედნიერების ამბავს. ცოცხლდება „მოგონებები გარდასულ დღეთა“ და ისევ გრძელდება დიდი დედასთან. ზღაპარით ჩამესმის წინაპართა ცხოვრება და თვალწინ მიდგას შორეული წარსული, სავსე ბავშვობის ათასფერი განცდებით. სინანული სიხარულს ერწყმის და მიხარია, რომ ვარ, ვარსებობ, რომ ვცხოვრობ საქართველოში, ღვთისშობლის წილხვედრ ქვეყანაში, რომ სიცოცხლე გრძელდება მუსიკაშიც და პოეზიაშიც, ფერთა თამაშით შემდგარ პეიზაჟებში, ადამიანთა ურთიერთობებში, მოგონებებში, ოცნებებში.

ტკივილი არ ნელდება, მაგრამ იგრძნობა დიდი სივრცე ამ ტკივილს მიღმა – გასაოცარი სიმშვიდე და სინათლე, საითკენაც მიედინება ბავშვობის მელოდია და უსასრულო განცდად გარდაისახება მონატრება მშობლების მიმართ. ამ დიდ განცდას მეხსიერებაში შეჩერებული წამით თუ შეიძლება შევხვო და მეუფლება რწმენა, რომ მუდამ იარსებებს ის, ვინც ასე მიყვარს. სიყვარული ასაზრდოებს სიცოცხლეს და თუ დაგკარგავ გზას, ისევ შეიძლება ყური მივუგდო სათამაშოების სიმღერებს, ისევ დავუბრუნდე ჩემს დაუვინყარ ბავშვობას, ოდესღაც რომ იყო და მუდამ ჩემთან იქნება.

სიცოცხლე რომ უკვებ თავდებოდეს, სიყვარულის ამ უსასრულო განცდას ვერ დაიტევდა ადამიანის გული.

* ფანტაზია – კონკრეტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

„მოსართი ჩახოხბილს ვერ გააკეთებს“...

მზია ჯაფარიძე

„ის, რაც შეუძლებელია შეცვალო, უნდა აღწერო მაინც“

რაინერ ვერნერ ფასბინდერი

წლეულს მთელი საქართველოსა და განსაკუთრებით, მუსიკოსებისათვის უსაყვარლეს, ელისო ვირსალაძის მიერ დაფუძნებულ თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს დაარსებიდან 30, ხოლო აღდგენიდან 5 წელი შეუსრულდა. როგორც ყოველთვის, ფესტივალს მაღალი დონის მუსიკოსები სტუმრობდნენ: ნატალია გუტმანი (ჩელო), ედუარდ ბრუნერი (კლარნეტი), კოლია ბლახერი (ვიოლინო), ნელსონ გოერნერი (ფენო), დენიზ ტაჰბერერი (ვიოლინო), ფიოდორ ბელუგინი (ალტი), ალექსანდრე ბუზლოვი (ჩელო), გრიგორი კროტენკო (კონტრაბასი), ჟაკო ლუომა (ფაგოტი) და სხვ. საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრს დირიჟორობდა არიელ ცუკერმანი.

ფესტივალში წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ლიანა ისაკაძემ, რომელმაც შეასრულა ბრამსის კონცერტი რე მაჟორი.

პროგრამა, ჩვეულებისამებრ, მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო — ვენის კლასიკოსებით დაწყებული, რომანტიკოსების, რიხარდ შტრაუსისა და შონბერგის ჩათვლით.

ძალზე სასიხარულოა, რომ საფესტივალო პროგრამებში წლეულს, პირველად, ქართულ თანამედროვე მუსიკასაც გამორჩეული ადგილი დაეთმო — 14 ოქ-

ტომბერს გორის ქალთა გუნდის (ქორმაისტერი თეონა ცირამუა) მიერ შესრულდა ქართველი კომპოზიტორის, იოსებ კეჭაყმაძის გუნდები.

გაიმართა მასტერკლასები.

ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრთა მაღალი კვალიფიკაცია, ენთუზიაზმი, უტყუარი პროფესიული აღლო, ესთეტიკური გემოვნება ეჭვს ადგილს არ უტოვებს, ამიტომ, ცხადია, ფესტივალმა, როგორც ყოველთვის, მაღალ დონეზე ჩაიარა.

სამწუხაროდ, მოსაწვევების უქონლობის გამო ჟურნალ „მუსიკის“ — ს რედაქციის ვერცერთი წევრი საფესტივალო კონცერტებს ვერ დაესწრო. ამის გამო ვერ ვახერხებთ საიუბილეო ფესტივალის ფართო მიმოხილვას, თუმცა ტელე-რადიო გადაცემებით თვალყურს ვადევნებდით ფესტივალის მიმდინარეობას. მაუნყებლობა რუსთავი-2-ის პროგრამაში „სხვა შუადღე“ გადაიკა საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი ფესტივალის შესახებ და, აგრეთვე, მარინე ბერიძის საინტერესო ინტერვიუ ელისო ვირსალაძესთან. ასევე ისაუბრა კულტურის ერთ-ერთმა ჩინოსანმა მესვეურმაც, რომელსაც არ შეგვიძლია არ გამოვეხმავროთ. მან ქართველ მსმენელს ფესტივალის თაობაზე თავისი თვალთახედვა გაუზიარა და რჩევაც მისცა. აღმოჩნდა, რომ ფესტივალებზე, თურმე ნუ იტყვით, საჭირო ყოფილა ბილეთების ყიდვა, სხვაგვარად ფესტივალი ვერ შეიძენს საერთაშორისო მასშტაბს. ვფიქრობთ, თელავის (და ნებისმიერი) ფესტივალის დონესა და მასშტაბს ბილეთების ყიდვა-ყიდვა ვერაფრისდიდებით ვერ განსაზღვრავს და, მით უფრო, საერთაშორისო დონეს ვერ შესძენს. კულტურის ჩინოსანი მესვეურისათვის ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ თელავის ფესტივალზე დასასწრებად მხოლოდ ბილეთის შექენა არ ყოფნის მსმენელს,

თელავის საერთაშორისო ფესტივალი დაარსებიდან იყო გამორჩეული. წარმატებულია დღესაც, რასაც დიდწილად განაპირობებს ისეთი მუსიკოსი და პიროვნება, როგორც ელისო ვირსალაძეა.

ვულოცავ ფესტივალს იუბილეს. ვუსურვებ მომავალშიც არ მოკლებოდეს მსმენელის სიყვარული და ინტერესი.

კახი კავსაძე
მსახიობი

არ შემიძლია სიტყვებით აღვწერო ის, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის მუსიკა.

მახსოვს რა ყოველი ფესტივალიდან მიღებული უზარმაზარი ემოცია, თელავის ფესტივალს ვუსურვებ დიდხანს არსებობას და იმ მაღალი დონის შენარჩუნებას, რომლითაც ასე განებივრებულნი ვართ.

თემურ ჩხეიძე
რეჟისორი

Copyright / Derek Prager

მან უნდა იმგზავროს, საფესტივალო დროის მანძილზე სადმე იცხოვროს, ღამე გაათიოს. ალბათ, იმის შესხენებაცაა საჭირო, რომ მთელი დღის მანძილზე ადამიანს ერთხელ მაინც დასჭირდება კვება. იქნებ ვინმემ დაიანგარიშოს ეს ყველაფერი, გადაამრავლოს 8-10 დღეზე და შემდეგ დაგვმოძღვრონ ეგზომ „ბრძნულად“ მუსიკის მსახურნი თუ მელომანები. ჩინოვნიკები, ალბათ თავისი ხელფასისა და ე.წ. სახელფასო დანამატე-

ბის ოდენობით მსჯელობენ. იქნებ იკითხონ ბატონებმა რამდენია კონსერვატორიის პროფესორის ხელფასი? ან მუსიკალური სკოლის მასწავლებლისა, რომელიც ზოგად საგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის რანგშიც კი არ არის აყანილი და მხოლოდ „კულტურის მუშაკის“ (!!) სტატუსი აქვს მინიჭებული, შესაბამისად, მასწავლებლის სტატუსისათვის განკუთვნილი ვერანაირი შეღავათითაც ვერ სარგებლობს. მათი შრომა კი

არაფრით არ ჩამოუვარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგთა შრომას, იქნებ აღემატება კიდევ. ან ის იკითხონ, რამდენია იმ ბავშვების ოჯახების შემოსავალი (მით უფრო რაიონებში), რომლებიც თელავში მუსიკას სწავლობენ და სურვილი აქვთ დაესწრონ კონცერტებს და ა.შ. დღეს, როდესაც ყველა პრაგმატული გახდა და შემოსავლის პერსპექტიულობის კუთხით ირჩევს პროფესიას, საოცარია, რომ ჯერ კიდევ არიან ბავშვები, რომლებიც მუსიკას სწავლობენ, უყვართ მუსიკა. ჩვენთან კი იმის ნაცვლად, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ასეთ ბავშვებს, კონცერტებზე დასწრების საშუალებასაც კი არ აძლევენ. ევროპა თუ მოგვწონს და მასთან გატოლება გვინდა, ნახეთ, რა საშუალებებს არ მიმართავენ იქ, რათა ბავშვები მუსიკით დააინტერესონ, რა სახსრებს ხარჯავენ! იმართება საგანმანათლებლო კონცერტები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებისთვისაც კი; სპეციალურად ბავშვებისათვის იდგმება ოპერები და სხვ. ჩვენთან კი პირიქითაა. თუ არ ვცდები, წელს განკარგულება იყო, რომ ფესტივალზე ბილეთი მეტი გაყიდულიყო, ხოლო მოსანვევები მინიმალური დაერიგებინათ. ბილეთების გაყიდვისა და მათი მაღალი ფასის წინააღმდეგი არავინაა, უფრო მეტიც, მომხრე ვართ არა მხოლოდ ბილეთს, არამედ ყველაფერს, ნებისმიერ სულიერსა თუ მატერიალურ პროდუქტს შესაბამისი, ღირსეული ფასი ჰქონდეს. მაგრამ ამასთანავე – ადამიანის შრომასაც (!), რათა მან თავისი შრომით შეძლოს ელემენტარული სულიერი თუ მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ფესტივალის დასკვნით კონცერტს მთავრობა დაესწრო, თავისი „ძღვევამოსილი“ დაცვითურთ. დაცვამ კონსერვატორიის სტუდენტებს პრობლემები შეუქმნა. თურმე ნუ იტყვი, ერთ-ერთ ჩინოსანს ფოიეში ნაცნობთან ბაასი გაუბავს, შეყოვნებულა, ხოლო ის, რომ სტუდენტებს, თუ მსმენელთა ნაწილს კონცერტზე დასწრება ეჩქარებოდა, ამას არ დაგიდევა. ვიდრე ჩინოსანმა ბაასი არ დაასრულა ძღვევამოსილი დაცვა ზღუდეს არ ხსნიდა... თეატრის შენობაში სტუდენტებს არ უშვებდნენ... კონსერვატორიის რექტორმა facebook-ის დახმარებით განცაში ატეხა, ითხოვდა, დამეხმარეთ, სტუდენტები კონცერტზე რომ შეუშვანო. როდემდე უნდა გაგრძელდეს საქართველოში „მანქურთიზმისა“ თუ

„დოქსოპულოიზმის“ ეპოქა?!

წელს, ალბათ, კულტურის სამინისტროს შეკვეცილი ბიუჯეტის გამო, ფესტივალსაც ბიუჯეტი შეუკვეცეს. სხვა აბა რით უნდა ავხსნათ ფესტივალის მსვლელობის ვადის „სეკვესტრი“? ტრადიციული 10 დღიანი ფესტივალი 8 დღიანად გადაკეთდა. რატომ? ავტობუსები, რომლებითაც წინა წლებში ყოველ საფესტივალო დღეს თბილისი-თელავი-თბილისის მიმართულებით მოძრაობდნენ და ერთგული მსმენელი თელავის საფესტივალო კონცერტებზე დასასწრებად უფასოდ მიჰყავდათ, წელს მხოლოდ გახსნა-დახურვაზე დაინიშნა. რატომ? ეტყობა სახსრები არ ეყოთ. რატომ? იქნებ ნაკლებად „ივოიაჟონ“ თავიანთი „შლეიფებით“, 30-40 კაციანი რომაა ხოლმე და თან ისეთებითაა დაკომპლექტებული, ვისაც ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის არც ვიდეოარქივის, არც ფოტოარქივისთვის მასალის ჩამოტანა, არც ქართული კულტურული მონაპოვრების წარმატებები არ აინტერესებს. ახლახანს კიდევ ერთხელ გავხდით ამის მომსწრე. რომელიღაც ტელეარხის ხახვთან და ტომატთან შეზავებული „შუადღის“ მეშვეობით შევითყვეთ, რომ ქართული კინოს (ელდარ შენგელაიას ფილმის) ჩვენებას უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად კანში, შემდეგ კი ამავე „შუადღის“ მეშვეობით შევითყვეთ, რომ ქართული კინოს რეტროსპექტივას ამერიკაში არნახული გამოხმურება მოჰყოლია. ეს ძალიან გასახარია, მაგრამ იქნებ გვითხრან, ქართული ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი კინო ან ფოტოქრონიკა ვინმემ თუ ჩამოიტანა, ან საერთოდ, ფირზე თუ აღბეჭდა? რამდენადაც ვიცი – არა! მაშ რას მართავს მთავრობა და რატომ იხარჯება უზარმაზარი თანხები ამ ვოიაჟებზე? მართო იმის გაცხადება რად ღირს, რომ ამერიკაში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ე.წ. „მომას“ (Museum of Modern Art) ხელმძღვანელებს ისე სდომებიან ქართული კინოს რეტროსპექტივის მოწყობა, რომ ქართული ფილმები ევროპა-აზიის 10-ზე მეტ არქივში სანთლით უქებნიათ, საქართველოში კი – არა, იმ მართივი მიზეზის გამო, რომ ქართული კინოს არქივი არ გავვანჩია (?!). მართალია, ოდესღაც კი გვქონდა კინოარქივი, მაგრამ, მიმიმართავს და ვიცი, რა უმძიმეს მდგომარეობაში იყო 90-იანი წლების ბოლოს ეს ე.წ. არქივი, რომელიც მალე დაინვა კიდევ...



11-18
ოქტომბერი
OCTOBER 2014

ვფიარობი მღერს ხელოვნებას...



მუსიკის საერთაშორისო
ფესტივალი თელავში

STEINWAY & SONS

30 TELAVI INTERNATIONAL
MUSIC FESTIVAL 2014
FOUNDED IN 1984

ბოლო ორი ათწლეულის ჩვენი რეალობის „ძვირფასი“ პერიპეტეიებიდან თუნდაც ამ მცირე ჩამონათვალს რომ გადახედავთ უნებლიეთ სულმნათი ილიას მკვახე შეძახილი გვახსენდება, ლამის საუკუნუნახევრის შემდეგაც რომ აქტუალურია — „ჩვენი თანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“

ბატონებს, რომლებიც რჩევებს გვაძლევენ, ვთხოვდით, იფიქრონ და იქნებ გამონახონ სახსრები, რომ მუსიკოსებს მისცენ თავისი საკუთარი ხელფასისა და ე.წ. სახელფასო დანამატის შესამედი მაინც, და გარწმუნებთ, მათ არავის დამოძღვრა აღარ დასჭირდებათ — არც ელისო ვირსალაძის, არც ვახტანგ კახიძის, არც ლიანა ისაკაძისა, არც ელისო ბოლქვაძისა და არც სხვა ფესტივალებზე ბილეთების საყიდლად. ეჭვი ნუ შეგეპარებათ, მსურველი და წამსვლელი იმდენი იქნება, ადგილებიც კი არ გეყოფათ!

ახლახანს ლევან ცხადაძის მიერ ორგანიზებულ სასულე ინსტრუმენტების საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე გახლდით. აქვე დავსძენ, რომ შესანიშნავი ფესტივალია, რომელიც კონცერტების ციკლის გარდა, საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებს. ფესტივა-

ლის ორგანიზატორმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ის მაღალი კლასის მუსიკოსები, ფესტივალზე რომ იყვნენ მონვეულნი, უფასოდ ჩამოვიდნენ, მაგრამ დასძინა: „ეს ძალიან ცუდია, რადგანაც მოცარტი ჩახობილს ვერ გააკეთებს, მუსიკოსი მუსიკას ქმნის და მას ეს საქმიანობა უნდა აუნაზღაურონ“-ო. მართალიცაა, თუ ჩვენი ე.წ. ელიტის ცხოვრებას გადავხედავთ, თბილისისა და მისი შემოგარენის რესტორნების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩახობილებში და შემწვარ-მობრაკულებში ფულს უხვად ხარჯავენ და არ ენანებათ, სულიერი ფასეულობებისთვის კი გროშის გაღება უჭირთ. ცხადია „მოცარტი ჩახობილს ვერ გააკეთებს“, ისევე, როგორც მზარეული ვერ შექმნის მუსიკას. მარტივი ჭეშმარიტებაა და სწორედ ეს მარტივი ჭეშმარიტება უნდა გაიგოს და ამის მოსაგვარებლად იზრუნოს კულტურისა და ქვეყნის მმართველმა ელიტამ, ბილეთების ყიდვაზე კი, მერწმუნეთ, ჩვენ ვიზრუნებთ.

ვეჭვობ, ამ წერილმა, ისევე, როგორც ქართული მუსიკალური ცხოვრების შესახებ სხვა კრიტიკულმა წერილებმა, შედეგი გამოიღოს, მაგრამ, ვფიქრობ — „ის, რაც შეუძლებელია შეცვალო, უნდა აღწერო მაინც“.

„ხალხურ“ საკრავთა ორკესტრი

— ტრადიცია თუ სიახლე?

სოფო კოსრიკაძე

ცნობილია, რომ საქართველო ვოკალური მრავალხმიანობის ქვეყანაა. ხალხური საკრავი უძველესი დროიდან ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ მისი როლი ძირითადად მანც სიმღერისა და ცეკვის თანხლებით შემოიფარგლებოდა. ტრადიციულად ჩვენს სოფლურ ყოფაში საკრავების ორკესტრი არ არსებობდა. ძველ წყაროებში იხსენიე-

ბა სამხედრო, საომარი და სალხინო მწყობრები, თუმცა ამგვარ ინსტრუმენტულ ანსამბლებშიც სამ-ოთხ საკრავზე მეტი იშვიათად ერთიანდებოდა.

ხალხურ სასცენო შემსრულებლობაში საკრავების მოდერნიზაციისა და საკრავიერი ანსამბლის შექმნის რამდენიმე მცდელობა ჯერ კიდევ – XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე არსებობდა, თუმცა ხალხურ საკრავთა ორკესტრი საქართველოში საბჭოთა ეპოქის პირმშოა. ამგვარი ორკესტრი რუსეთში პირველად 1888 წელს ვასილი ანდრეევის მიერ ჩამოყალიბდა. მოგვიანებით კომუნისტურმა ხელისუფლებამ იგი მასობრიობისა და კოლექტიურობის ერთგვარ სავიზიტო ბარათად აქცია. ქალაქსა თუ სოფელში, სხვადასხვა დაწესებულებასა და ფაბრიკა-ქარხანაში შექმნილი ხალხმრავალი გუნდები და ორკესტრები საბჭოთა ადამიანის „საამური ცხოვრების“ გამობხატულებად მოიაზრებოდა.

საქართველოში ხალხურ საკრავთა ორკესტრის შექმნას თავისი წინაპირობა ჰქონდა. 1927 წელს ავქსენტი მეგრელიძემ ჯერ მეჩონგურე ქალთა ჯგუფი ჩამოაყალიბა, 1935 წელს კი უკვე ორკესტრის შექმნის საკითხიც დაისვა. ეს იდეა 1937 წელს საბოლოოდ კირილე ვაშაკიძემ განახორციელა. მას ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მოსკოვში ჰქონდა გავლილი და თავისი საქმიანობის ყველა ნიშნითაც რუსული, საბჭოთა ტრადიციების მიმდევარი გახლდათ.

სხვადასხვა ჯგუფისა თუ ტექნიკური შესაძლებლო-



ხალხური საკრავები



ბის მქონე ინსტრუმენტთა ერთად აჯღერება რომ შეძლებოდა, კირილე ვაშაკიძემ მათი ტემპერაცია მოახდინა და დიატონური წყობა ქრომატიულით ჩაანაცვლა.

ცვლილებები საკრავების კონსტრუქციასაც შეეხო და მანამდე არარსებული, განსხვავებული ფორმისა და ზომის ინსტრუმენტები დამზადდა.

პრინციპულად შეიცვალა ტრადიციულ საკრავთა — ფანდურის, ჭუნირის, ჩანგის, სალამურის — წყობა და ბვერათრივი; ჩონგურს დანაყოფები დაემატა, ჭუნირს კი ერთი სიმი...

ვაშაკიძის ორკესტრში დაირღვა კუთხურობის პრინციპიც: განსხვავებული ეთნოგრაფიული რეგიონის საკ-

რავები — ჩონგური, ფანდური, ჩანგი, ჭუნირი, სალამური და სხვა — ერთ ანსამბლად გაერთიანდა...

მსგავსი ტიპის ორკესტრისათვის ქართულ სინამდვილეში, ბუნებრივია, სპეციალური რეპერტუარი არ არსებობდა. ამიტომაც, მასზე ძირითადად ხალხური მელოდიების დამუშავებული ვერსიები ან კომპოზიტორთა ნაწარმოებები სრულდებოდა.

ამგვარად, ხალხურ საკრავთა ორკესტრის დაფუძნებით პრინციპულად უარიყო ტრადიციული ქართული მუსიკალური ამროვნების სისტემა და მას ევროპული, კლასიკური კანონზომიერებები ჩაენაცვლა.

სავალალო ის იყო, რომ ტრადიციული საკრავების



ქართული ხალხური სიმღერისა და საპარავანის სახელმწიფო მუზეუმი

მოდისკაცის მათი გაუმჯობესებისა და განვითარების მოტივით ხსნიდნენ. 1937 წელს გაზეთი „მუშა“ წერდა: „ქართულ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე მუშაობა ჩამორჩენილია. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგეუფლეთ ამ ინსტრუმენტებს თანამედროვე მელოდიების გადმოსაცემად: მათი გამოყენება ჯერ კიდევ არ გასცილებია მარტივი ანსამბლის ფორმას, სადაც მელოდიების შესრულება ხდება არა თვით ინსტრუმენტებზე, არამედ მომღერალთა მიერ, ინსტრუმენტები კი მხოლოდ მარტივ აკომპანემენტს ასრულებენ. საჭიროა ხალხური, პრიმიტიული მუსიკალური ინსტრუმენტების განვითარება და მათზე დაკვრის ტექნიკის დაუფლება. ამავე დროს უნდა შევინარჩუნოთ მათი ტემბრი და დადებითი თავისებურებანი“.

რამდენად შეიძლება „პრიმიტიული“ ენოდოს იმავე ეპოქაში ვანო მჭედლიშვილის და მარიამ არჯენიშვილის საფუძვლად შესრულებას, გრიგოლ გარუჩავას, იუსუფ ვერულიძის, ამირან ბერაძისა და მათ მსგავს ვირტუოზთა მიერ შესრულებულ საჩონგერო დასაკრავ-

ვებს, ეს მსმენელთა განსჯის საგანია...

ვაშაკიძის მიერ ორკესტრის შექმნის თავდაპირველი მიზანი ხალხურ საკრავთა ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება იყო, თუმცა სინამდვილეში ეს პირიქით მოხდა. სხვადასხვა ფგუდის რამდენიმე საკრავის ერთდროული ხმოვანება ზღუდავდა თითოეული მათგანის ინდივიდუალობას და ხელს უშლიდა იმპროვიზაციულობას, რაც ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია. ალბათ ამიტომაც, ამ ტიპის ორკესტრებს დიდხანს არ უარსებია და მალევე დაიშალა.

ხალხურ საკრავთა ორკესტრის დაშლის შემდეგ ფეხი მოიკიდა მცირე შემადგენლობის ინსტრუმენტულმა ანსამბლებმა. ამგვარ საშემსრულებლო ფგუდებში არა ტრადიციული, არამედ ვაშაკიძის მიერ შექმნილი ქრომატიული საკრავები ერთიანდებოდა. მსგავსი ტიპის საკრავიერი ფგუდები საქართველოში დღემდე პოპულარულია. ბევრი ასეთი ანსამბლი ხშირად „ფოლკლორულის“ სახელით გამოდის სცენაზე და არასწორ ინფორმაციას აწვდის მსმენელს. მათ რეპერტუარში ხშირად მდარე ხარისხის მუსიკალური ნიმუშები ტარბობს.

ამ ტენდენციებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ტრადიციულ საკრავებსა და საკრავიერ მუსიკას. დღეს ბევრგან შეხვდებით ე.წ. „ხალხურ საკრავთა“ შემსწავლელ ფგუდებსა თუ წრეებს, რომელთა ხელმძღვანელები ძირითადად სწორედ ქრომატიულ, და არა – დიატონურ ხალხურ საკრავებზე შესრულებას ასწავლიან.

სასწავლო-საშემსრულებლო პრაქტიკაში ქრომატიულ საკრავთა პოპულარობა საკითხის აქტუალობაზე კვლავ გვაფიქრებს. პროფესიონალთათვის ცნობილია, რომ მსგავსი ტიპის ინსტრუმენტები თავისი არსით შორსაა ხალხური ტრადიციისაგან. მართალია, საბჭოური ეპოქის ისტორიიდან ამოშლა შეუძლებელია და მისი კვალი ხალხური მუსიკის შემსრულებლობას დღემდე ატყვია, თუმცა აუცილებელია გაიმიჯნოს დიატონური და ქრომატიული საკრავები და გავრცელდეს ცოდნა მათ შორის პრინციპული სხვაობის შესახებ. ხალხურ შემსრულებლობაში პრიორიტეტი ტრადიციულ საკრავებს უნდა მიენიჭოს, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ მოვლენას შესაბამისი სახელი მოეძებნოს. ■

გაელვება

თამარ კოკაია

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში ერთ ტრადიციას დაედო სათავე: შთამომავლობას დროდადრო შეახსენონ ის სახელები, რომელთანაც დაკავშირებული ყოფილა დიდი კომპოზიტორის ოპერების წარმატება. ამ მიზანს ისახავდა მუზეუმების საერთაშორისო დღეს წარმოდგენილი ფოტო-ექსპოზიცია. იგი ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ თბილისის საოპერო სცენაზე განხორციელებულ დადგმებს ასახავდა და შესაბამისად წარმოაჩენდა სადადგმო ჯგუფებს, შემსრულებელთა პლეადებს. ეს დღე აგრეთვე დაეთმო ფალიაშვილის ოპერების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შემსრულებლის, მომღერალ თამარ თაქთა-



თამარ თაქთაქიშვილი სოსკას როლში

ქიშვილის გახსენებას.

შესაძლოა ზოგისთვის მოულოდნელიც იყო ის სიტბო, სიყვარული და მონატრება, რამაც დაისადგურა იმ საღამოს ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში. თუმცა საღამოს მთავარი გმირი – მომღერალი თამარ თავთაქიშვილი დიდი ხანია დაშორდა ამ ნუთისოფელს, ბევრად უფრო დიდი ხნის წინ დაემშვიდობა ის სცენას, მსმენელ-მაყურებელს. იმ დღეს კი ცხადი გახდა ის ზემოქმედება, რაც მას საზოგადოებაზე მოუხდენია თბილისის საოპერო სცენაზე მცირე გაელვებით.

შემთხვევითი არც ის ფაქტი გახლდათ, რაც საღამოს შესავალ სიტყვაში აღინიშნა: კითხვაზე – თუ ვინ იყო ეთერისა (ოპერა „აბესალომ და ეთერი“) და მაროს (ოპერა „დაისი“) პარტიების საუკეთესო შემსრულებელი – ერთ-ერთი პირველი სახელდებოდა თამარ თავთაქიშვილი. ისიც ითქვა, რომ მოსკოვში, 1958 წელს, ქართული კულტურის დეკადის გახსნაზე ოპერა „დაისი“ მაროს პარტიში წარდგა ახალგაზრდა მომღერალი თამარ თავთაქიშვილი (მამინ, როდესაც მაროს შემსრულებელთა შემდეგი შემადგენლობა არსებობდა: ნადეჟდა ხარაძე, ეკატერინე სობაძე, მედეა ამირანაშვილი, ლამარა ცყონია). იქვე ხაზი გაესვა ერთ ნიუანსსაც: ამ სპექტაკლის შემდეგ გაზეთები მალალ შეფასებასთან ერთად წერდნენ – მალხაზის პარტიის შემსრულებელმა ზურაბ ანჯაფარიძემ ღირსეული პარტნიორობა გაუწია თამარ თავთაქიშვილს.

წარმოდგენილი ვიდეოკადრებიდან თამარ თავთაქიშვილი თავად გვიამბობდა თავის სწავლის წლებზე, ვოკალის პედაგოგზე, ცნობილ მომღერალ ოლღა ბახუტაშვილ-შულგინაზე. იმ ბედნიერ ხანაზე, როდესაც მას ვარსკვლავურ გარემოცვაში მოუწია მოღვაწეობა. განსაკუთრებით გამოყო „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა 1953 წელს, როდესაც მას მუშაობა მოუწია სადადგმო ჯგუფთან – დირიჟორ ოდისეი დიმიტრიადისთან, რეჟისორ იოსებ თუმანიშვილთან, მხატვარ სოლიკო ვირსალაძესთან, აგრეთვე მომღერალ ზურაბ ანჯაფარიძესთან.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ვიდეოკადრებიდან **ნოდარ ანდლულაძის** წარმოთქმულ-

მა სიტყვებმა თამარ თავთაქიშვილის შესახებ. მისი თქმით – „*თამარ თავთაქიშვილის სიმღერას, სცენურ ცხოვრებას თან ახლდა სხვა, მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილება და ინტელიგენტურობა, რითიც პარტნიორების განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა. მის პარტნიორებს შორის კი იყვნენ უფროსი თაობის მომღერლები: დავით გამრეკელი, დავით ანდლულაძე, პეტრე ამირანაშვილი, მისი თანატოლები და მეგობრები: ზურაბ ანჯაფარიძე, აგრეთვე თქვენი მონა-მორჩილი. ის იყო არა მხოლოდ დიდებული მომღერალი, არამედ დიდებული დრამატული მსახიობიც. ეს ყველაფერი კი მოდიოდა მისი გენეტიკიდან – თავთაქიშვილების დიდი ოჯახიდან. ის სხვებზე ადრე შედგა როგორც მომღერალი, მაგრამ ასევე ძალიან მალე დატოვა სცენა. თავის შემოქმედებით კარიერას შეელია მას შემდეგ, რაც იგრძნო, რომ ხმას ვეღარ იმორჩილებდა. ამით კი ყველას გული დაგვწყვიტა.*“

იგი თავთაქიშვილების ცნობილი გვარის წარმომადგენელი გახლდათ. კომპოზიტორ შალვა თავთაქიშვილის ასული ღირსეულად ეკიდებოდა პასუხისმგებლობას და მისიას, რაც ოჯახიშვილობამ დააკისრა. განგებამ თავადაც დიდი ღირსებებით დააჯილდოვა, მაგრამ ბედისწერამ მას, როგორც შემოქმედს, ხანმოკლე ასპარეზი არგუნა. თუმცა მის მიერ განსახიერებული ნედა ლეონკავალოს „ჯანაზებიდან“, მარგარიტა ჰუნოს „ფაუსტიდან“, მადამ ბატერფლაი პუჩინის „ჩიო-ჩიო სანიდან“, ტოსკა პუჩინის „ტოსკადან“ და რა თქმა უნდა, ეთერი და მარო ფალიაშვილის ოპერებიდან სამუდამოდ ჩაენერნენ მათიანესა და მის თაყვანისმცემელთა ხსოვნაშიც, – დღესაც ისე ცოცხლად იხსენებდნენ და ისაკლისებდნენ ზემოთჩამოთვლილ პარტიებს.

საღამოზე ბევრი ითქვა თამარ თავთაქიშვილის არაჩვეულებრივ ადამიანურ თვისებებზეც – მუდამ კეთილგანწყობილი, გულისხმიერი, საოცრად თავმდაბალი და მიუკერძოებელი – ასე ახასიათებენ მას.

ის, რომ პეტრე ამირანაშვილისთვის განსაკუთრებით სასურველი პარტნიორი იყო, ეს ქალბატონმა **მედეა ამირანაშვილმაც** დაადასტურა თავის გამოცვლაში. მან აგრეთვე აღნიშნა, თუ როგორ დააკლდა



პირველ რიგში მარცხნიდან: თამარ თაქთაქიშვილი, ნუსა მიქელაძე, ნათელა სულუში, გელა აპირანაშვილი. მეორე რიგში მარცხნიდან: ვახტანგ ფალიაშვილი. 1958

ყველას ქალბატონი თამარი თავისი უშუალოებით, გულწრფელობით, უშურველობით, მხიარული ხასიათით, მისთვის ჩვეული იუმორით.

ქალბატონმა ცისანა ტატიშვილმა სინანული გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ტექნიკამ ვერ შემოგვინახა სრულყოფილად ის მშვენიერი ხმოვანება, რასაც წარმოადგენდა თამარ თაქთაქიშვილის ხელოვნება – „მაოცებდა მისი ხმის ნათელი ბუნება და ეს სინათლე არ იგრძნობა ჩანანერებში. მაგრამ დავგრჩა შესანიშნავი მოგონება მომღერალზე, პარტნიორზე, მეგობარზე, რომლის გვერდით ყოფნასაც სიამაყით ვიხსენებთ. მან დატოვა უსაყვარლესი შვილები, შვი-

ლიშვილი, რძალი – ნანა რობაქიძე, რომელიც დღემდე ცრემლის გარეშე ვერ იხსენებს მას – როგორც დიდ მეგობარს და სამავალითო ადამიანს ცხოვრებაში“.

„მე არ მხვდა წილად ბედნიერება ვყოფილიყავი ქალბატონი თამარის პარტნიორი, მაგრამ ვახლდით მისი მსმენელი, თაყვანისმცემელი და მის საუკეთესო პარტიათა რიცხვს დავუმატებდი იოლანტას ჩაიკოვსკის ამავე სახელწოდების ოპერადან, ეს თითქოს სავანებოდ მისი ტემბრისათვის იყო დანერვილი“ – ბრძანა ბატონმა ელდარ გენაძემ.

ნანა დიმიტრიადი: „მე და თამრიკო თაქთაქიშვი-

ლი ერთდროულად ვსწავლობდით ნიჭიერთა ათწლეულში, ის ჩემზე რამდენიმე წლით წინ იყო. იქ რომ ვისმენდი, არ მეგონა, თუ დიდი მომღერალი დადგებოდა. უკვე კონსერვატორიაში, ოღლა ბახუტაშვილი-შულგინას კლასის კონცერტზე სულ სხვა მომღერალი წარმოგვიდგა – შესანიშნავი ხმით, ძალიან ლამაზი მღერით, საოცრად მუსიკალური. აქედან დაიწყო მისი წინსვლა. შემდეგ, უკვე როგორც ოპერის სოლისტმა, დაიპყრო ფართო საზოგადოება. ეს იმიტომ, რომ ამავე დროს ძალიან სცენური და არტისტული იყო. ახლაც მეხსიერებაში მაქვს უკვე ჩამოთვლილი მისი საოპერო პარტიები, მათი დავიწყება არ შეიძლება. მახსენდება „აბესალომ და ეთერი“. თამარ თავთაქიშვილი და ბურიკო ანჯაფარიძე – რა არაჩვეულებრივი წყვილი იყო, ხალხი საგანგებოდ მათ გამო დადიოდა სპექტაკლზე. პირადად ჩემთვის ის იყო აგრეთვე უახლოესი ადამიანი, ჩვენ თავიდანვე ძალიან დავმეგობრდით, ხოლო შემდეგ, როდესაც თავთაქიშვილების რძალი ვავხდი, ოჯახის წევრებად ვიქცეით“.

სალამოს ორგანიზატორების თხოვნით ქალბატონმა ნანა დიმიტრიადიმ შეასრულა საფორტეპიანო ვერსია ქრისტეფორუს არიისა ოთარ თავთაქიშვილის ოპერიდან „პირველი სიყვარული“. მომღერლის ძმის, ირაკლი თავთაქიშვილის მეუღლემ, ქალბატონმა რუსუდან ჯანაშიამ კი გაიხსენა, რომ სწორედ ბატონმა ოთარმა იგრძნო თავისი ბიძაშვილის – თამარის ხმაში რაღაც ფარული ბზარი, მას შორიდან მოესმა მისი პროფესიონალური დრამა, რასაც სხვა ვერავინ წარმოიდგენდა.

მერაბ კოკოჩაშვილი: „მე თავს უფლებას ვერ მივცემ ვისაუბრო თამარ თავთაქიშვილზე როგორც შემოქმედზე ასეთ მაღალკომპეტენტურ გარემოცვაში. მე გახლდით მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელთაგანი. ამავე დროს ბედნიერება მხვდა წილად ბავშვობიდან დაახლოებული ვყოფილიყავი ამ დიდებულ ოჯახთან, მისი ძმის – ჩემი ბავშვობის უძვირფასესი მეგობრის, ან გარდაცვლილი ირაკლი თავთაქიშვილის წყალობით. ამ ოჯახს უკავშირდება ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული მოგონებები. ასეთი ინტელიგენტური ატმოსფერო, სადაც ჩვენ, ყველაზე

უმცროსები – უფროსების, ამავე დროს სახელგანთქმული ადამიანების გვერდით სრულიად თანასწორად ვგრძნობდით თავს, ასეთი გარემო, ასეთი ფაქიზი ურთიერთობები არ განმეორდება“.

იმ საღამოს განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო მისი პარტნიორი-თაყვანისმცემლების გამოსვლა:

ვლადიმერ კანდელაკი: „ახლაც თვალწინ მიდგას ვაჟიშვილთან დამშვიდობების სცენა „ჩიო-ჩიო-სანიდან“, არ შეიძლებოდა არ შეძრულიყავით. მის საუკეთესო პარტიათა რიგს კი დავუმატებდი ლეონორას ვერდის „ტრუბადურიდან“. მან მცირე ხნით იმღერა, მაგრამ იბრწყინა“.

ნუგზარ გელაშვილი: „მისი სცენაზე გამოჩენაც საკმარისი იყო, რომ უკვე ტაში გრიალებდა, იმდენად ლამაზი და მომხიბლავი იყო როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში, ყველგან სილამაზესა და მშვენიერებას აფრქვევდა“.

სალამოს ცოცხალი მუსიკალური ნაწილი მთლიანად ახალგაზრდებს დაეთმო. ცხადია, ჟღერდა თვით თამარ თავთაქიშვილის ჩანაწერები. ამისთვის საღამოს ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს საქტელერადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორს, მუსიკისმცოდნე მარიკა ჩიჯავაძეს. თავთაქიშვილების ოჯახის წევრებმა კი მადლიერება გამოხატეს მუზეუმის დირექტორის კახა ცაბაძის, საღამოს წამყვანის თამარ წულუკიძის, მეცნიერ-თანამშრომლის თამარ ჩინჩალაძე-მარის მიმართ, რომლებმაც საზოგადოებას შეახსენეს თამარ თავთაქიშვილის არსებობა. საღამოს მონაწილეებმა გამოთქვეს თვალსაზრისი, სურვილები: იქნებ ეს თავყრილობა გახდეს დასაბამი თამარ თავთაქიშვილის ნაღვანის გაცოცხლების – იქნებ შეიქმნას წიგნი, ფილმი მის შესახებ. თამარ თავთაქიშვილის მიერ განვლილი შემოქმედებითი ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ ელვარე გზა ამის საფუძველს იძლევა.



ლაზეთის, ტაოსა და შავშეთის მუსიკალური ფოლკლორი

გიორგი კრავიცივილი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში“ წარმოდგენილი პროექტის „თურქეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორი“-ს ფარგლებში 2014 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ჩატარდა ექსპედიციები (ჩემი ხელმძღვანელობით) ლაზეთში, შავშეთსა და ტაოში მათი მუსიკალური ფოლკლორის ფიქსირების მიზნით.

უნდა აღვნიშნო, რომ ექსპედიციებს თან ახლდა გარკვეული სირთულეები, უმეტესად მანქანასთან და გზასთან დაკავშირებული. განსაკუთრებით ტაოსა და შავშეთის სოფლებში გზები სავალალო მდგომარეობაშია. გზის ერთ მხარეს კლდეა, მეორე მხარეს კი გადასავარდნი, გზა იმდენად ვიწროა, რომ ერთი მანქანა მეორეს გვერდს თითქმის ვერ უქცევს და ამისათვის გამოყოფილია სპეციალური გვერდის ასაქცევი ადგილები. გზის სირთულის გამო ტრასამდე ყოველთვის დაღამებამდე ჩამოვდიოდით, რათა პრობლემები არ გვექონოდა. გარდა ამისა, ზოგიერთი თავიდან ანტიპათიითაც გვიყურებდა, რადგან სჯეროდა, რომ ჩვენ მათ (ანუ გურჯებს) ვუღალატეთ და რუსებთან შევკარით კავშირი. ყველაზე მძიმე მოსასმენი იყო ლაზების მტკიცება იმის შესახებ, რომ ისინი თურმე ეროვნებით ქართველები არ არიან. ანუ როგორც ერთი შეხედვითაც ჩანს, ფონი საკმაოდ მძიმეა.

ახლა უმუალოდ მუსიკალურ ფოლკლორზე ვისაუბროთ.

დასახელებულ რეგიონებში, სამწუხაროდ, სასიმღერო მრავალხმიანობა დაკარგულია, თუმცა შეიმჩნევა ისეთი ნიშნები (ფარული მრავალხმიანობა – როდესაც მთქმელი ბანის შემომღერებასაც ახდენს, ზოგან ხმების ადგილობრივი სახელწოდებები), რომლებითაც დგინდება მისი სავარაუდო არსებობა (განსაკუთრებით ეს ითქმის ფარულ მრავალხმიანობაზე, რომელიც ვოკალური მრავალხმიანობის დაკარგვის ადგილებში საკმაოდაა გავრცელებული). ტაოში ახმედაი ბახასოლისგან ჩავინერე სიმღერა, რომელის დროსაც ფარული მრავალხმიანობის შექმნის შემდეგ კილოს პირველი საფეხურის დამატებით აქცენტირებას ახდენდა. ამრიგად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს მთქმელი ორხმიანი სიმღერის ორივე ხმას ცალ-ცალკე მღეროდა. მართალია, ლაზეთთან და შავშეთთან მიმართებაში გვხვდება მრავალხმიანობის ამსახველი სავარაუდო თუ აშკარა ზეპირსიტყვიერი ცნობებიც, რომლებიც XIX საუკუნის 70-იან და 1900-1910-იან წლებს განეკუთვნება, თუმცა, კონკრეტული ნიმუშები ჩვენთვის უცნობია.

რაც შეეხება ჩვენებურების საკრავიერ მუსიკას, იგი, სასიმღეროსგან განსხვავებით, ყველგან მრავალხმიანია; თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მასში ყოველთვის ქართული მუსიკისთვის დამახასიათებელი ნორმები ჯღერს. ასე მაგალითად, შავშეთში აკორდეონზე და ლაზეთში ქამანჩაზე შესრულებული დასაკრავები ან ამ საკრავებით თანხლებული სიმღერები ვერ ასახავს ქართულისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს, რასაც, საბედნიეროდ, ვერ ვიტყვით საჭიბონე მუსიკაზე, რომელიც, გავლენების მიუხედავად, სწორედ ქართუ-



ქაპანჯაჯა (ჭილილჯა) ზემსრულეზელი ჯანგიჯ ერგიულენ, ფოლკლორისტი გიორგი კრავიძისი 2014 წლის ფოლკლორული ექსპედიცია ლაზეთში, ქალაქი ფინდიკლი (ქვ. სახელი ვინა)

ლი მრავალბმიანობის ნორმებზე დაფუძნებული.

სამწუხაროდ, ასევე შესამჩნევია დასახლებული კუთხეების სიმღერების ჟანრული სიმწირეც, დაკარგულია საკულტო ნიმუშები, პრაქტიკულად გამქრალია სანესო ნიმუშებიც, არც სამკურნალო შელოცვები თუ სიმღერები ახსოვს ვინმეს. შავშეთსა და ტაოში კაცის ტირილს ვინ დაეძებს, უმეტესად ქალის ტირილიც დაკარგულია და მიკვალეულს ყურანს უკითხავენ. თამარი დიდ პატივშია, მაგრამ სამწუხაროდ, თითქმის არაფერი იციან მასზე, ზოგმა ისიც კი არ იცის რომ თამარი რეალური პიროვნება იყო და საერთოდაც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთ წარმომავლობაზე. საისტორიო სიმღერები, ცხადია, რომ ასეთ პირობებში საერთოდ არ არის შემორჩენილი. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ძალიან საინტერესო სიმღერები, რომლე-

ბიც, თუ არ ჩავთვლით აჭარას, საქართველოს სხვა კუთხეებში არ შეგვხვდრია, ან ყურადღება არ გამახვილებულა, ეს არის ქორნილის სუფრაზე საცმლის მოსათხოვი სპეციალური ნიმუშები, რომელიც აჭარის გარდა გავრცელებულია ლაზეთსა და შავშეთში.

საგანგებოდ გვინდა შევხვით სიმღერების თურქულ ენაზე შესრულების ფაქტებს. ეთნოფორების უმრავლესობას იგი თურქული სიმღერები ჰგონია, მაგრამ რომ დავუკვირდეთ იმავე მელოდიამზე ქართულ სიმღერებსაც ასრულებენ და ამ შემთხვევაში ნიმუში „თურქული“ აღარ არის. ცხადია, რომ ეთნოფორთა უმეტესობისათვის სიმღერის „თურქობის“ მთავარი საზომი სიტყვიერი ტექსტია. ე.წ. „თურქული“ სიმღერების მუსიკალური მხარის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არა თურქული, არამედ „გადათურქულებული“



გულაგა შემსრულებელი ფაშა ჯანჯარ
2014 წლის ფოლკლორული კონკურსის ლაგატიში, ქალაქი ფაგარი (ქვ. სახელი ათინა)

ნიმუშებია. მათ ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს ბანის მისადაგების შესაძლებლობაც (ასეთი ექსპერიმენტი განახორციელა ტაოელმა ახალგაზრდამ ონურ სარიკაიამ, რომელმაც ერთ-ერთი ასეთი ნიმუში ბიძამისთან, ბატონ იზირთან ერთად შეასრულა და თვითონ ბანს ამბობდა). საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თურქულად გადათარგმნილი ნიმუშები უმთავრესად რომელიმე რიტუალთან (უმეტესად საქორწინო, შრომის, საწესო) არის დაკავშირებული და სხვა შემთხვევაში არ სრულდება. ამგვარი სიმღერების თურქულად თარგმნა, ჩანს, ისტორიულმა ძნელბედობამ განაპირობა, რადგან თურქული ჯარების სიახლოვის პირობებში ხალხი ქართულად სიმღერას, სისხლის შესაძლო დაღვრის გამო, არიდებდა თავს და ასეთ ნიმუშებს უკვე თურქულ ენაზე ასრულებდა. ამ ნი-

მუშების „გადათურქულებას“ ხელს უწყობს ისიც, რომ ზოგჯერ სიმღერის დაბოლოება ქართულ ენაზე ჯდერს. შესაძლოა მავანმა იფიქროს, თუ სიმღერების „გაქართულება“ ზემოხსენებული მიზეზებით მოხდა, მაშინ აჭარულ ფოლკლორში ასეთ მოვლენებს რატომ ვერ ვხვდებით, აჭარა ხომ ის კუთხეა რომელიც თურქთა ბატონობის ქვეშ ორსაუკუნენახევარი იყო? ასეთ შემთხვევაში ჩვენ მოვიხმობთ XIX-XX საუკუნეების ცნობილ ქართველ პუბლიცისტ ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ თურქეთმა ყველაზე გვიან ფეხი აჭარაში მოიკიდაო. შესაძლოა ეს მოსაზრება 100%-იან არგუმენტად ვერ გამოდგეს, მაგრამ, უდავოდ ანგარიშგასანევია, მით უფრო რომ აჭარაში (როგორც ქართულ, ისე თურქულ ნაწილში) სასიმღერო მრავალხმიანობა დღემდე შემორჩენილია. ■

25 ოქტომბერს რუსეთში გაიხსნა სუტუკის პირველი მუსიკალური სკოლა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა რუსეთის მუსიკალურ და კულტურულ ცხოვრებაში შესაძლებელი გახდა რუსეთში არსებული სუტუკის ასოციაციის წყალობით, რომელიც 2014 წელს დაფუძნდა. სინიტი სუტუკი (1898–1998) იყო იაპონელი მევიოლინე, პედაგოგი, „ტალანტების აღზრდის“ ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მან სამპერატორო მუსიკალურ სკოლაში მუშაობის პერიოდში, სადაც ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა, გამოიმუშავა საკუთარი მეთოდი, რომელსაც „ტალანტების აღზრდის მეთოდი“ უწოდა. სუტუკი მიიჩნევდა, რომ მუსიკალური ნიჭი – ეს არაა თანდაყოლილი ნიჭი, არამედ უნარი, რომლის განვითარებაც შესაძლებელია. სუტუკის ასოციაციასთან არსებული სკოლები მრავალ ქვეყანაშია. ეს სკოლები პედაგოგებს სუტუკის საავტორო მეთოდით ამზადებენ. სუტუკის სკოლებში პედაგოგების მიღება კონკურსის წესით ხდება. გამარჯვებულებს ელოდებათ 5 წლიანი სწავლა.

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მევიოლინეს, სიბელიუსის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს (1995), ბეთჰოვენის ბეჭდის მფლობელს (2006), კიფის აკადემიის პრემიის ლაურეატს (2009), BBC-ის “New Generation Artists”-ის გამარჯვებულს ლიბა ბათიაშ-

ვილს აძვერად ჟურნალ “Musical America”-ს პრემია – „წლის საუკეთესო ინსტრუმენტალისტი“ მიენიჭა.

ჟურნალის “Musical America”-ს ლაურეატები ახლახანს გამოცხადდა. წელს მთავარი პრემია „წლის მუსიკოსი“ გადაკეთდა პრემიად „წლის არტისტი“, რომელიც ცნობილ საოპერო რეჟისორ პიტერ სელერსს მიენიჭა. მან წელს ბერლინის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ნიუ-იორკის “Park Avenue Armory”-ში, ლინკოლნ-ცენტრის ფესტივალ “White Light Festival”-ის ფარგლებში განახორციელა ი.ს. ბახის „მათეს პასიონის“ წარმატებული დადგმა. სელერსი ცნობილია აგრეთვე ჰენდელის, მოცარტის, ჯორჯ ადამსის და სხვ. ოპერების დადგმებით. პრემია „წლის კომპოზიტორი“ მიენიჭა ჯონ ადამსს, „წლის დირიჟორი“ – იტალიელ დირიჟორს ჯანანდრუა ნოზედას, „წლის ვოკალისტი“ – ამერიკელ სოპრანოს კრისტიან გოერკს.

„ანა მაგდალინა ბახი: გენიოსი, რომელიც დაივიწყეს?“, – ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანა მაგდალინა ბახი არ იყო თავისი ქმრის ნაწარმოებების მხოლოდ უბრალო გადამწერი, არამედ ნაწილი ამ ნაწარმოებებისა მას ეკუთვნის. ეს თვალსაზრისი დოკუმენტთა სასამართლო რევიზორთა ასოციაციის ორმა წევრმა გამოთქვა. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდნენ ბახის ხელნაწერებს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ანა

მაგდალინა ბახის მიერ გადამწერილი ნაწარმოებების ნაწილი არ არის უბრალო გადამწერის ხელწერის ნიმუში – წინასწარ მომზადებული, მძიმე, დადინჯებული, არამედ ესაა – სწრაფი, შემოქმედებითი ძიებების პროცესისათვის დამახასიათებელი შემოქმედის ხელწერა. მათი აზრით, ასეთებია კარგად ტემპერირებული კლავირიდან №1 პრელუდია და სიუიტა №6 სოლო ვიოლონჩლოსათვის. მართალია, ანა მაგდალინა ბახი მუსიკალურად განსწავლული იყო, კარგად უკრავდა კლავესინზე, თუმცა რამდენად ეკუთვნის ეს ნაწარმოებები მის კალამს, ჯერ კიდევ კამათის საგანია.

ავსტრალიის ჩარლზ დარვინის უნივერსიტეტის პროფესორი მარტინ ჯარვისიცი მიიჩნევს, რომ ბახის ნაწარმოებების გარკვეული ნაწილი მარია მაგდალინას ეკუთვნის, მათ შორის, №6 სიუიტა ჩელოსათვის. 2006 წლიდან პროფესორი აგროვებდა ამის დამადასტურებელ დოკუმენტებს და შეისწავლიდა ხელნაწერებს. აღნიშნულ მასალებზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ხდება მელნიას და ხელწერის დეტალური ანალიზი იმისათვის, რათა დაამტკიცონ რომ ანა მაგდალინამ ბევრად მეტი წვლილი შეიტანა ბახის შემოქმედებაში, ვიდრე აქამდე იყო მიჩნეული. ფილმში შესულია ამერიკელი სასამართლო ექსპერტის ანალიზიც, რომელიც იგივე თვალსაზრისს ამყარებს. ფილმი ნაჩვენებია იქნება „BAFTA“-ზე. მას წარადგენს ბრიტანელი კომპოზიტორი სალი ბიმიში.

დიმიტრი შოსტაკოვიჩის *ექსპერიმენტული ბალეტის „ჭანჭიკი“* გამოფენა გაიმართება **ლონდონში**, GRAD-ის ხელოვნებისა და დიზაინის გალერეაში, სანქტ-პეტერბურგის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მუზეუმთან ერთად. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება 1930-იანი წლების კოსტიუმები, დეკორაციის ესკიზები და ფოტოები.

ექსპერიმენტული ბალეტის პრემიერა შედგა 1931 წელს ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში. პირველი წარმოდგენა აღმოჩნდა ერთადერთი! კრიტიკოსების გამოხმაურება, რომლებიც იდეოლოგიური კუთხით აფასებდნენ ნაწარმოებს, უკიდურესად უარყოფითი იყო. სპექტაკლი სასწრაფოდ მოიხსნა, გაუქმდა დაგეგმილი წარმოდგენები და მომდევნო 74 წლის მანძილზე ბალეტი აღარ დადგმულა. 2005 წელს დაიდგა „ჭანჭიკის“ ალექსეი რატმანსკისეული საბალეტო ვერსია.

ბალეტი მოგვითხრობს მთავარი გმირის, ლოთი და დებოშისტილიონკა გულბას წარუმატებელ მცდელობაზე — ქარხნიდან გაგდებისთვის სამაგიერო გადაუხადოს ყველას. აიყოლიებს ახალგაზრდა გოშას, რათა მან ჭანჭიკი ჩაადოს დანადგარში და ქარხანა მწყობრიდან გამოიყვანოს. ორიგინალურ ვერსიაში გამოყენებული იყო ნამდვილი მანქანები და მუსიკა, რომელიც 1930-იანი წლების ქარხნის ხმაურს გადმოსცემდა, რაც მაყურებელს გროტესკის შეგრძნებას

უქმნიდა. ამ შეგრძნებას აძლიერებდა უჩვეულო კოსტიუმები და დეკორაციები. კოსტიუმების დიზაინის ავტორი იყო ტატიანა ბრუნი. შოსტაკოვიჩის ბალეტი ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც „პროლეტარიატის ზეიმი“, რომელშიც ხალხურ მოტივებს ერწყმოდა საცირკო მუსიკა, ვალსები, მარშები და ტანგო. კრიტიკოსებმა ბალეტში სატირული სანყისი დანახეს, რამაც გადანყვიტა „ჭანჭიკის“ ბედი. გამოფენა გაგრძელდება 2015 წლის 28 თებერვლამდე.

მეტროპოლიტენ ოპერის *ფინანსურ შემონახვას ამჟამად აწარმოებს* სააგენტო “Moody’s”, რამაც, შესაძლოა, თეატრის საკრედიტო რეიტინგი დასცეს. 2013 წლისთვის ოპერის ბიუჯეტის დეფიციტი 2,8 მილიონ დოლარს შეადგენდა. წელს მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. სეზონის დაწყებამდე, 22 სექტემბერს, შესაძლებელი გახდა მოლაპარაკება პროფკავშირებთან, რომელსაც დაახლოებით თეატრის 3 400 თანამშრომელი წარმოადგენს. მათთან გაფორმდა კონტრაქტები. “Moody’s” აზრით ეს თეატრს მნიშვნელოვანი სახსრების დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს. ყველა შემთხვევაში სამეურვეო საბჭომ და სპონსორებმა შემოწმებული უნდა გაზარდონ. “Moody’s” შემონახვა 90 დღეს გაგრძელდება.

საფრანგეთში, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი გიტარისტი, ფლამენკოს დიდოსტატი **მანიტას დე პლატა**, რომელმაც სიცოცხლეში 100 მილიონი დისკი გაყიდა და შთააგონა თვით პიკასო.

წარმოშობით ბომა, ის დაიბადა 1921 წელს, საფრანგეთის სამხრეთში, ცხენებით მოვაჭრის ოჯახში. ფსევდონიმი Manitas de Plata მან შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში დაირქვა, რაც ესპანურად „პატარა ვერცხლის ხელებს“ ნიშნავს, ნამდვილი სახელი და გვარია — რიკარდო ბოლიარდო. ჯაზური მუსიკოსის ჯანგო რეინჰარდტის ხელოვნებით შთაგონებულმა პლატამ 9 წლის ასაკში დაიწყო გიტარაზე დაკვრა. მან პოპულარობის მწვერვალს გასული საუკუნის 60-იან წლებში მიაღწია, როდესაც საფრანგეთის რივერას ერთ-ერთ კაფეში უკრავდა. სწორედ აქ დაუმეგობრდა ჟან კოკტოს, პიკასოს, სალვადორ დალის, ბრიჯიტ ბარდოს. პიკასომ ერთ-ერთ მის გიტარაზე დახატა კიდეც.

მანიტას დე პლატას დაუკრავს ინგლისის დედოფალთან, წარმოადგენდა ევროპას გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ყოველწლიურ ზეიმზე, იგი 11-ჯერ გამოვიდა ლონდონის ალბერტ-ჰოლში და სხვ. პლატამ ბოჰემური ცხოვრება განვლო — დატოვა 28 შვილი და მთელი ქონება ქალებისა და მანქანების დაახარჯა. ბრიჯიტ ბარდოს მანიტას დე პლატაზე უთქვამს: „პატივია იცნობდე მას, მისი დაკარგვა კი — მარცხი“.

SUMMARY

THE FESTIVAL

Nargiza Gardapkhadze The Autumn Festival

This year from the 21st of September till the 18th October the Jansugh Kakhidze festival “Tbilisi Autumn” was held for the 22nd time. The festival was dedicated to the 25th jubilee of the Jansugh Kakhidze Tbilisi Musical Cultural Centre. The author reviews the festival, offers us the interviews with the director of the festival, the conductor Vakhtang Kakhidze with the manager of the Jansugh Kakhidze Musical-Cultural Centre Tea Kakhidze and the musician participants of the festival : the leader of the Israeli jazz-trio, the composer Jazon Gotfrid, the Georgian pianist Dudana Mazmanishvili, working abroad, with the art director of the “Geor-



gian Symphonietta” – Giorgi Kerelashvili, the 20 year old Korean pianist Seong- Gin Choss, the well-known violinist Roman Symovich, the musicologist Nia Bakhtadze, the singer Irma Sokhadze.

THE ARTISTS` DYNASTIES

Rusudan Kutateladze

Wonderful is the Power of Genetics!

On the 19th of October the exhibition of the Balanchivadze dynasty was open at the Georgian National Museum. The exhibition was dedicated to George Balanchini`s 110 anniversary. The pictorial works by the representatives of the Balanchivadze different generations were represented at the exhibition. The two



halls of the Georgian Museum of History couldn` t find the room for the exhibition of the pictorial works by the representatives of the famous Balanchivadze surname. The exposition made a great impression on the eye-witnesses. It is worth noting that the gene coming from the founder of the Georgian professional music Meliton Balanchivadze has given the world Georgian classic composer Andria Balanchivadze and George Balanchini (Giorgi Balanchivadze) the founder of the American Ballet, however everybody is marked by giftedness. At the exhibition were represented the works by the composer Andria Balanchivadze`s wife Natusia (Pana), Tamari - the daughter of the composer Meliton Balanchivadze and the elder sister of the Giorgi and Andria Balanchivadze, Andria`s elder son Amirani (a physicist at the SKP), his son Andria Balanchivadze Jr., Andria Balanchivadze`s younger son Jarji Balanchivadze (the composer, pianist, conductor, artist) and the works by Jarji`s son, the painter Anton Balanchivadze.

RESPONSE

Gulbat Toradze

The Fundamental Publication with the very Pitiful Omission

Recently in Russia the thick book (853pp), the Encyclopedia “The Music of the XX century” has been published. The author of this publication is the mu-

sicologist Levon Akopian (Moscow, the publishing house “Practice”, 2010. The scientific editor – E. Dvosckina). The author remarks the dignities of the book pointing out to the essential gaps in it : “In this capital publication only one letter (about the composer Gia Kancheli) is given while ten letters are dedicated to the Armenian musical culture and its representatives”. The author considers that the Armenian musicians, performers, composers and their musical works deserve the letters in the encyclopedia, but the famous Georgian musicians of the international scale and their musical works deserve it as well. E.g. such as the famous ballet by Aleksii Matchavariani “Othello” which travelled in the whole world with the triumph.

Gulbat Toradze`s letter is followed by the address of the creative Union of Composers of Georgia where



it is noted: The persons similar to L. Akopian with their provocative activity do the harm to the secular friendship between the peoples. Unintentionally we recall the indignant fact of the falsification when in Germany many years ago the compact-discs of

the Georgian Folk songs were on sale with the inscription : “ The Armenian Folk songs”. The Creative Union of Composers of Georgia hopes that the address will be preventive for those, who in future will try to disfigure the historical reality”.

FOLKLOR

Teona Lomsadze

On the Intersection of the Scientific and Performing Traditions

International VII Symposium of the Traditional Polyphony

The article deals with the international symposium

dedicated to the polyphony which has already become the tradition. The symposium is held once in every two years and is the special phenomena for both the Georgian and Foreign investigators interested in folk music. The fact of recognition the Georgian polyphonic song as the oral and not of human making heritage of mankind in 2002 year has grown the scale of the conference and it continued its existence by the name of the symposium.

In different years the unique cultures of the world polyphony, such as Eines (Japan), the American Indians, Lithuanian, African, Tibetan, Corsican, Austrian etc. were represented at the symposiums.



Like the last years, the symposiums of this year were distinguished by the thematic variety. 25 foreigners and 18 Georgian scientists took part in it. The special theme of the symposium was the polyphony of the national minorities.

The article also deals with the concert parts of the symposium where the Georgian and the world polyphony was represented. The author also tells us about the represented three documental films by Renato Mozeli`s (Italy) film “Su Konkordu” , Hugo Zemp`s (France) film “The Swiss Iodel after 30 years”, Ekehard Pistrick and Biorn Rainhardt`s (Germany) joint film “ Polyphony- the Forgotten Voices of Albania”.

SUMMARY

THE PORTRAIT

Nato Moistsrapishvili

My Dearest Elder Friend

For the Designation of Shalva Mshvelidze's 110 anniversary since his birth and 30 anniversary since his death

The article is dedicated to the famous Georgian composer Shalva Mshvildadze. Shalva Msvildadze's creative work (1904-1984) is various in genre. He was the broad-minded composer-symphonist. Many in-



novations are connected with his name, first of all the bringing in the creative work of the composers of next generation. His opera and choir heritage is also interesting. Shalva Mshvelidze's symphonic poems and symphonies are the significant achievement of the Georgian music.

The longstanding friendship was between the composer and the author of the article. The composer's human and professional characteristic features are depicted in a very interesting way. Many facts, Shalva Mshvelidze's considerations, expressions given in the article were told by the composer to Nato Moistsrapishvili and they are being published for the first time.

THE CRONICLE

Academia Belcanto's Prize named after Zakaria Paliashvili

In Austria in the city Gratz on the 31st of August including the 7th of September the international com-



petition of the vocalists of the Accademia Belcanto was held for the first time. The founders of it are the famous Georgian singers Natela and Eter Chkonia. The president and the art director this year is Natela Nicoli Chkonia and the director of the academy- Eter Lamoris Chkonia- Pleasant is the fact, that this year the prize named after the Georgian classic composer Zakaria Paliashvili was established at this international competition. This fact, undoubtedly is of the great importance from the point of view of popularizing Georgian music. In Vienna press it had a great response. The achievements of the pupils of Anzor Shomakhia were especially noted: Mariam Nachke-

bia was awarded the special prize by the international jury. The abilities of the diplomant of the competition Mariam Kadzati, Giorgi Nanava, Tamar Khutsishvili, Tea Subeliani were also noted.

THE DIALOGUE WITH THE ARTIST

Mzia Japaridze

“What my Motherland has told me...”

The Iashvili three generations have been serving the Georgian musical culture almost for the century. Luarsab Iashvili stood at the head of this dynasty and he is the one of the first who founded the Georgian violin performing art. Not to say much about the long



list of his pupils, only Marine, Nana and Irine Iashvili are enough to show his merit. Now his descendants-Gia and Manana Iashvili, Alexander Muzalov, Lali and Natela Politkovski worthily and successfully continue the brilliant ancestral traditions. In spite of the fact that the Iashvili are working abroad, they don't lose the connection with the Motherland and they are great compassionates of their country.


The professor Irine Iashvili has been working abroad for nearly twenty years. In the interview the conversation is about those actual questions which have been accumulated during the most difficult decades in the Georgian professional music.

THE DATE

Shio Abrakhamia

The Forgotten Composer

The article is dedicated to the Georgian composer Archil Chimakadze's (1919-1991) the 95 jubilee date since his birth. The author reviews the best achievements of the composer's creative work. Reminds us of his biographical important moments. The author remarks that in A. Chimakadze's in genre varied creative work the leading place is occupied by the vocal and choir-symphonic music. In the article special attention is paid to the lyrical initial and his a cappella choirs in the composer's creative work. The author also reviews his cantata "The Heart of Kartli" considered as the untrustworthy leader of this genre till sixtieth. Archil Chimakadze is too original figure of the Soviet period Georgian musical art followed by the melodies full of lyricism. In spite of the thrusted ideology free thinking and the connection with the Georgian traditional musical creative work is often felt in his music.



EDUCATION

Manana Anikashvili

The 140 year Jubilee of the Alioz Mizandari School

The article deals with the history of the first music school in the Caucasus where the generations of the musicians were brought up who chose music establishments and concert organizations of the various cities of Georgia, Armenia, Azerbaijan and Russia as the field of their further activity. Great is the impor-



tance of this first music hearth in bringing up the national personnel. That was the foundation on which the history of the professional musical education rich traditions, the famous past and present are developing.

THE REMEMBRANCE

Mamuka Dolidze

The Songs of the Toys

Dedicated to the Memory of My Parents Mary Davitashvili and Givi Dolidze

Mary Davitashvili (1924- 2014) is the famous Georgian composer who would be 90 this year. Many generations of the Georgian children were brought up on her songs for the children.

Mamuka Dolidze, the philosopher, writer, Mary Davitashvili's son dedicates his poetical essay to his parents, recalling those feelings and emotions which his mother's songs have awaken in him up today; he recalls those and uncommon



persons. For the characterizing his father, he offers us the extract from her mother's – the composer Mary Davitashvili's book where Mrs. Mary recalls the personal and professional qualities of her husband. Givi Dolidze was the person, to whom many famous scientists and writers (Tamaz Gamkrelidze, Guram Chilashvili, Karlo Goksadze, Aleksi Chincharauli, Mirian Abuladze) have dedicated the books and works.

The pain of missing the parents follows through the whole essay.

RETORT

Mzia Japaridze

“ Is there anywhere the Nation Happier Than We”

This year Telavi Musical Festival founded by Eliso Virsaladze has become 30 since its foundation and 5 from its renewal. As usual the musicians of high level were the guests at the festival : Natalia Gutman, Edward Brunnez, Kolia Blakher and the others. Liana Isakadze took part in the festival for the first time. Pleasant is the fact that the Georgian modern music occupied the distinguished place – on the 14th of October the choirs by Joseph Kechakmadze were performed by the Gori Women Choir (the choirmaster Teona Tsiramua).



11-18
 ოქტომბერი
 OCTOBER 2014

მუსიკის საერთაშორისო
 ფესტივალის თეატრში


The author tells us about the problems that are before the listeners and musicians.

VIEWPOINT

Sopho Kotrikadze

“ Folk` Instruments Orchestra- Tradition or Innovation?”

`Folk` instrument has been an indivisible part of the Georgian culture since ancient time, but its role was limited mainly by the song and dancing. Traditionally in our village life there wasn't the instruments orchestra. Folk instruments orchestra in Georgia is the first-born of the Soviet epoch. Later the Communist government turned it into the kind of visit card of the mass and collectivity. In the town or village in various institutions and plants and mills formed populous choirs and orchestras were considered as the expression of the man's "agreeable" life. To sound the instruments of various groups or tech-



nical abilities, they made their temperation and the diatonic laying was altered by the chromatic one. The changes referred to the construction of the instruments and quite different instruments in form and size were made: One can find such ensembles and instruments in Georgian reality. The author considers that the instruments of this kind are far from folk tradition in its essence and priority should be given to the traditional instruments.

REMEMBRANCE

Tamar Tsulukidze Flashing

At the Zakaria Paliashvili's House Museum one tradition was founded. Its aim is reminding the posterity from time to time the names connected with the success of the great composers' operas. The photo-exposition represented on the international day of the museums served this aim. It showed the stagings of Z. Paliashvili's opera "Daisi" at the Tbilisi opera stage and accordingly represented the stage groups and the pleiads of the performers. This day was also dedicated to the remembrance of one of the remarkable performers, the singer Tamar Taktakishvili :

Neda performed by her from Leoncavallo "Pagliacci", Margarita from Gound's "Faust", Madame Butterfly from Pucchini's Chio Chio San, "Toska" from Pucchini's "Toska" and certainly, Eteri and Maro from Paliashvili's operas have been forever kept in the memory of the Georgian chronicle and her admirers.



FOLKLORE

Giorgi Kraveishvili

The Musical Folklore of the Historical Places of Georgia – Lazeti, Tao and Shavsheti

The author tells us about the expeditions in Lazeti, Shavsheti and Tao (within the limits of the Georgians, living in Turkey, musical folklore) in 2014 in spring and summer. In the article there are reviewed the musical folklore specimens collected by the author, their characteristic features and those difficulties that accompany the scientific research of the folklore specimens of the places.



A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:



1-8. Exerpts from the 22nd International music festival “Autumn Tbilisi”: a) Ben Bernie and Maceo Pinkard. “Sweet Georgia Brown” . Tbilisi symphony orcherta and Yaron Gottfried jazz –trio. Conductor Vakhtang Kakhidze; b) Paul Abraham Dukas. Symphonic picture “L’apprenti sorcier”. Conductor Vakhtang Kakhidze; c) Sergei Prokofiev. Concerto for piano and orchestra #2 part 2; Solo – Seong-Jin Cho, Conductor Vakhtang Kakhidze; d) Eduard Lalo. Concerto for cello and orchestra; Solo Kerstin Felstz, conductor Vakhtang Kakhidze; e) Bizet/Levitas –“Carmen“ fantasy for two clarinets soloists and string chamber orchestra; soloists –Alexander and Daniel Gurfinkels, conductor Vakhtang Kakhidze; f) Bizet/Waxman “Carmen – fantasy” Roman Simovic and Natela jashvili-Politkovskaia; g) Dmitri Shostakovich –Symphony # 5, Final – Tbilisi Symphony Orchestra. Conductor Vakhtang Kakhidze; h) Soundtrack from the movie “Indiana Jons”; Tbilisi City Hall “Big-Band” and Tbilisi Symphony Orchestra. Conductors Givi Gachechiladze and Vakhtang Kakhidze (feature: “The Autumn Festival”, page 2);

9. Andria Balanchivadze. Nocturne. Performed by Gulnara Kavtaradze (feature: “Wonderful is the Power of Genetics!”, p. 13);
10. Moritz Moszkowski. “In The Autumn”, Op. 36, No. 4. Performed by Jarji Balanchivadze. (feature: “Wonderful is the Power of Genetics!”, p. 13);
11. Traditional Taiwanese polyphony. Performed by Chu-Yin Culture and Arts Troupe (feature: “On the intersection of the Scientific and Performing Traditions (International VII Symposium of the Traditional Polyphony)”, p. 25);
12. Shalva Mshvelidze. Pshauri (Chorale). Conductor: Givi Munjishvili. Soloist: Temur Janelidze. (feature: “My Dearest Elder Friend”, p. 29);
13. Jacques Offenbach. Les contes d’Hoffmann, Barcarole. Performed by Eteri Lamoris-Chkonia, Natela Nicoli-Chkonia; Conductor Zaza Azmaiparashvili. (feature: “Academia Belcanto `s Prize named after Zakaria Paliashvili”, p. 9);
14. Johannes Brahms. Skerzo c moll from F.A.E. Sonate . Performed by Irine Iashvili (violin), Medea Altunashvili (piano). (feature: “What my Motherland has told me...”, p. 44);
15. Archil Chimakadze. “Sheni Dalalni”. Performed by Zurab Andjaparidze. (feature: “The Forgotten Composer”, p. 54);
16. Meri Davitashvili. A Pot-pourri Of Children’s Songs. (feature: “The Songs of the Toys”, p. 62). Children’s chorus of choral-orchestral section of the Central Music School of E.Mikeladze. Author of arrangement and conductor Eka Chikovani.
17. Dimitri Arakishvili. The opera of “Dinar” (“Life _ pleasure”). Dinar’s Aria. Performed by Tamara Taktakishvili. (feature: “Flashing”, p. 73);
18. The folklore specimens of the Georgian historical places. The Taouri jovial song in Turkish in a polyphonyzed way. Performed by Izir Sarikaia (the beginner) and Onur Sarikaia (bass). Recorded in the town Kobak of the Jusopeli district by Giorgi Kraveishvili. (feature: “The Musical Folklore of the Historical Places of Georgia – Lazeti, Tao and Shavsheti”, p. 77).

The editorial board

Editor-in-Chief: MIKAHEL ODZELI
 Editors: MZIA JAPARIDZE, TAMAR TSULUKIDZE
 Design: VAKHTANG RURUA, VANO KIKNADZE
 Translated by: KETEVAN TUKHARELI

Address:
 123, D. Agmashenebeli str., Tbilisi
 Tel: (+995 32) 295 41 64
 Fax: (+995 32) 296 86 78

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია განაგრძობს ცხოვრებას!

1970 წელს შემოქმედებითმა კავშირმა „საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ“ დააარსა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია (საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება №952), რომელიც ათეული წლების მანძილზე, სამ წელიწადში ერთხელ, ენიჭებოდათ გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებს, შემსრულებლებს, მუსიკოლოგებს ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ზ. ფალიაშვილის პრემია ეძლეოდათ ღირსეულ, ჭეშმარიტად დამსახურებულ მუსიკოსებს, რის გამოც აღნიშნულმა პრემიამ მოიპოვა ავტორიტეტი და საამაყო ვაღდოდ იქცა ქართველი მუსიკოსებისათვის. საშუალოდ, ბოლო წლებში ზ. ფალიაშვილის პრემია აღარ გაცემულა საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებაში შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო.

დღეს საქართველოს მუსიკალური საზოგადოება მზად არის გასცეს ეს პრემია.

ამ მიზნით აღვადგენთ ზ. ფალიაშვილის პრემიის მიმნიჭებელ კომისიას. მასში გავერთიანდებიან ცნობილი, ავტორიტეტული მუსიკოსები, რომლებიც დაასახელებენ კანდიდატურებს და ფარული კენჭისყრით ლაურეატს აირჩევენ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველწლიურად გავცეთ მხოლოდ ერთი პრემია, რაც გაზრდის ზ. ფალიაშვილის პრემიის მნიშვნელობას.

პრემია მიენიჭება ქართველ მუსიკოსს (კომპოზიტორს, შემსრულებელსა თუ მუსიკოლოგს) ბოლო 2-3 წლის მანძილზე მოპოვებული და ფართო საზოგადოების მიერ აღიარებული იმ შემოქმედებითი მიღწევისათვის, რომელიც თვალსაჩინო წვლილს შეიტანს ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში ან ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში.

პრემიის გადაცემის ცერემონია გაიმართება ყოველი წლის 21 თებერვალს – „აბესალომ და ეთერის“ ისტორიული პრემიერის ანუ ამ უკვდავი ქართული ოპერის დაბადების თარიღის აღსანიშნავად.

მანანა ახაიშვილი

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე



000000000000000000

000000000000000000 (385)